# იოანე ქართველიშვილის მემუარები

ავთ. იოსელიანის

გამოკვლევით, რედაქციითა
და შენიშვნებით

სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 52

## წინასიტყვაობა

იოანე ქართველიშვილის მემუარები ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია[1]. ავტორი თავის მემუარებში აგრძელებს იმ ლიტერატურულ ჟანრს, რომელიც ჩვენს მწერლობაში დაამკვიდრა იესე ოსეს ძე ბარათაშვილმა თავისი „ცხოვრება-ანდერძით"[2]. საყურადღებოა ისიც, რომ იესეს „ცხოვრება-ანდერძში" წარმოდგენილი მოვლენები ქრონოლოგიურად 1785-იან წლებამდე მოდის (1786 წელს იესე მძარცველმა ლეკებმა მოკლეს); იოანე ქართველიშვილის მემუარები სწორედ ამის მომდევნო პერიოდის ისტორიულ ვითარებას გადმოგვცემს და მთავრდება საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი დღეებისათვის დამახასიათებელი ყოფისა და ისტორიული მოვლენების აღწერით. ამრიგად, ძეგლში ვპოულობთ საყურადღებო ცნობებს საქართველოს ისტორიის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ.

იოანე ქართველიშვილი ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი ქართლელი ღარიბი გლეხის შვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად მძიმე პირობებში იზრდებოდა, საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა და გზა გაიკაფა სალიტერატურო-საზოგადო-

[1] წინამდებარე ნარკვევი წაკითხული იყო მოხსენებად სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის ენიმკის ისტორიის განყოფილების 1941 წ. 10 მაისის სხდომაზე.

[2] იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი" ჩვენ გამოვეცით 1950 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მასალების 28-ე ნაკვეთში ცალკე წიგნად.

ებრაავი მოღვაწეობის ძნელ ასპარეზზე; მშობლიური ხალხისადმი უმწიკვლო სამსახურითა და დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით მან შთამომავლობის წინაშე დაიმსახურა ის, რომ იმდროინდელ მოღვაწეთა შორის მისთვის ღირსეული ადგილი მიეჩინათ; ეს მოღვაწენი იყვნენ: „Варлаам — экзарх Грузии, Давид Алексеевич ректор, Иоанн Осешвили, Николай Хелаев, протоиерей Иоанн Картвелов... Эти лица как светила образованных прошедшего века, действительно были весьма замечательными в глазах народа"[1].

ი. ქართველიშვილი, როგორც თავისი დროის საკმაოდ თვალსაჩინო მოღვაწე, დღემდე, სამწუხაროდ, ნაკლებ არის შესწავლილი და მკვლევართაგან გაკვრით თუ მოიხსენებოდა. უდავოა, წყაროების სიმცირე ზღუდავდა მკვლევართ, თორემ იოანე ქართველიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა, როგორც ირკვევა, იმთავითვე კარგად ჰქონიათ შეგნებული. ი. ქართველიშვილის მოღვაწეობის შესახებ ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსეს და პლ. იოსელიანს ჰქონდათ მსჯელობა. ერთ თავის პირად ბარათში ბროსესადმი პლ. იოსელიანი ასახელებდა 4-მდე ხელნაწერ ნაშრომს, იგი ბროსეს სწერდა: ესენი „...ეკუთვნის... იოანე ქართველოვს... მასვე უწერია სხვა წიგნნი, რომელნიცა დღეს მე მაქვნან მოშოვნილნი. არა ჯერ არს, რათა დაეკარგოს თავისი ღვაწლი კაცსა ღირსსა და ისტორიულსაცა გუამსა უკანასკნელთა დროთა ქართუელთასა"[2].

მემუარების ტექსტის გამოცემასთან ერთად, ჩვენ აქვე ვცადეთ ი. ქართველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქარგაც წარმოგვედგინა.

საქართველოს ისტორიის ღირსშესანიშნავი წყაროების— დოკუმენტური მასალების და წერილობითი ძეგლების მეცნიერული პუბლიკაცია, ჩვენი ისტორიული მეცნიერების შემდგომი აღორძინებისა და წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

---

[1]. პლ. იოსელიანი, „Икортский монастырь", ჟურნალი „Груз. духовн. вестник" 1865 წ., № 2, გვ. 87—88.

[2]. საქართველოს მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფ. S ფონდი, № 4797, წერილები მ. ბროსესადმი.

მემუარულ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლისათვის. ეს ძეგლები ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს უფრო გარკვევით დავინახოთ ხალხი ჩვენს ისტორიაში, გავერკვეთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში, მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობებსა და ხალხის ქვედა ფენების (უმთავრესად გლეხკაცობისა და მოქალაქეების) ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელ უამრავ დეტალში.

ა. ი.

# იოანე ქართველიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

## თავი პირველი

### 1. ი. ქართველიშვილის ბიოგრაფიული ქარგა. მისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური და ლიტერატურული მოღვაწეობა

ქართული კულტურის ერთ-ერთი საყურადღებო მოღვაწე იოანე ოთარის ძე ქართველიშვილი დაიბადა 1772 წლის 20 სექტემბერს ქართლში, სოფ. ფხვენისში. იგი წარმოშობით გლეხია, ბატონიშვილებთან ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი. მამა იოანეს ბავშვობაში გარდაეცვალა. იგი აღუზრდია დედას, თამარს, რომელიც „ზრუნავდა აღზრდისა ჩემისთვის მხნედ, მამაკაცებრ“,— გადმოგვცემს იოანე. წერა-კითხვის შესწავლა იოანესათვის სოფ. ფხვენისშივე დაუწყებინებიათ, რაც შემდეგ განუგრძეია სოფ. შინდისში, ცხინვალში და „სხვაგანაცარ“, გვაუწყებს ავტორი.

1784 წლის ნოემბერში 12 წლის იოანე დედას თბილისში ჩამოჰყავს. აქ იოანე კალოუბნის ეკლესიაში განაგრძობს სწავლას. „მოძღვარ-მასწავლებლად“ ამავე

ეკლესიის „მღუდელი იოანე მოვიგე“, — გადმოგვცემს იგი. იოანე კმაყოფილია, რომ გათვითცნობიერდა, გაეცნო ქვეყანას და საზოგადო საქმეს. იოანე კალოუბნის ეკლესიასთან დაკავშირებული იყო 1784 წლიდან 1787 წლის დასაწყისამდე. ამ პერიოდში ჰყავდა მოძღვარ-მასწავლებელი და სწავლობდა საეკლესიო წიგნებს[1].

1787 წლის ივნისიდან იოანე საპატრიარქოს ეზოშია და მსახურობს ეკლესიაში უკვე „სტიხარცმული იპოდიაკონის“ ხარისხით. იქვე განაგრძობს საეკლესიო და საერო წიგნების შესწავლას.

1788 წლის იანვარში იოანე დაქორწინდა ვინმე ლეკყოფილი დიმიტრის ქალზე — მარიამზე. 1788 წლის 12 მარტს „ხელდასმულ ვიქმენ მთავარ დიაკვნად ტფილელი გერმანეს მიერ“ სიონის ტაძარში, ხოლო იმავე წელიწადს „გარდავწერე ლოცვაები მხედრულად და კვალად წიგნი, მარგალიტად წოდებული“, — გვაუწყებს იოანე.

1789-90 წლებში იოანე ისევ თბილისშია. თავისი მოძღვრის დავალებით მას კალოუბნის ეკლესიისათვის „სადღესასწაულონი“ გადაუწერია.

მე-18 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი მეტად ღირსშესანიშნავ პერიოდს წარმოადგენდა იოანეს მეცნიერული გათვითცნობიერებისათვის. „წელიწადსა 1791 ...აპრილს გულს მომიჴდა სურვილი სამეცნიეროთა წიგნთა სწავლისა“, — წერს იოანე. დასახმარებლად მას კათალიკოს ანტონ მეორისთვის მიუმართავს და „ანტონმა მიმაბარა ერისთვისშვილსა არხიმანდრიტსა თვისსა ვარლაამს, კაცსა ფრიად მეცნიერსა... ამან უკუვე მაწყებინა კითხვა ღრამმატიკისა“-ო.

---

[1] ამ პერიოდში, კალოუბნის გარდა, თბილისში ცნობილი იყო რამდენიმე მოქმედი სასულიერო სასწავლებელი სახელმოხვეჭილი მოძღვრებითურთ, როგორც, მაგალითად, სიონის, მეტეხის, ანჩისხატის, ქაშვეთისა და სხვა, სადაც 400-ზე მეტი მოწაფე ითვლებოდა (ნ. ეპ. კირიონი, „Краткий очерк истории Груз. Экзархата“, გვ. 161, „Акты“, ტომი I, გვ. 530).

1792 წლის იანვარში კათალიკოს ანტონ მეორის მიერ იოანე ხელდასმულ იქნა მღვდლად თბილისში, ქრისტეს შობის ეკლესიაში. „ამისავე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე აღჰხსნით ვარლაამისაგან წიგნნი ესენი: ღრამმატიკა, რიტორ[რ]იკა, კატილორია, ლოღიკა და მეტაფისიკა და გარდავწერეცა წიგნნი ესენი თვინიერჴკატილორიისა",—ამბობს იოანე და დასძენს: „განვ[ვ]ვლე წელიწადიცა 1793... კითხვითა და წერითა ზემო ჰკსენებულთა წიგნთა".

1794 წლიდან იოანე შეუდგომია ფიზიკისა და ფილოსოფიის შესწავლას. მასწავლებლად ჰყოლია ისეთი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე და სახელოვანი მეცნიერი, როგორიც იყო იოანე ოსეს ძე მიქაძე [1].

იოანე ოსეშვილის ხელმძღვანელობით იგი „დამასკელის ოთხნაწილოვან წიგნს" სწავლობდა [2].

1794 წლის ოქტომბერში იოანე ქართველიშვილი თავის ოჯახში მიუწვევია იულონ ბატონიშვილს, როგორც წინაპრებითვე საუფლისწულო ყმა. იოანე წერს: „ნიადაგ საკუთარითა ყმობითა ყოფილიყვნენ წინაპარნი ჩვენი საქართველოს უფლისწულთა, ამას ძლით მორჩილ ქმნილი ვიახელ უგანათლებულობასა მისსა მეფის ძესა იულონს". იოანე ქართველიშვილი მოკლედ აუწყებს შვილებს თავისი წინაპრების ვინაობას: „პაპა ჩემი ყოფილარს დგომით დაბასა გოშიჯვარსა, უფლისწულთა-

---

[1] იოანე ოსეშვილის შესახებ ნ.: ი. ბატონიშვილი, „კალმასობა", გვ. 156; პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", გვ. 81 და 169, აგრეთვე იქვე 121, 163 და 259 გვერდების შენიშვნები, განსაკუთრებით გვ. 221; მისივე „Описание древн. гор. Тифлиса", გვ 119; კ. კეკელიძე, „ქართ. ლიტ. ისტორია", ტ. I, 1941 წ., გვ. 424-25-26; იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი", ჩვენი გამოცემა, გვ. 14, 44, 45, 46, 52, 74, 83, 90, 108 და სხვ. ირკვევა, რომ იოანე ოსეშვილი 1760-იანი წლებიდან ვიდრე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ითვლებოდა თბილისის სემინარიის რექტორად.

[2] იოანე ოსეშვილის (მიქაძის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ დამზადებული გვაქვს დასაბეჭდად მცირე მონოგრაფიული ნარკვევი.

გან გააზატებით და შესაფერისა მოჭელობით“. იგი ყიზილბაშობის გამო აყრილა იქიდან და გადასულა სამშვილდეს. სამშვილდის მპყრობელს აბდულა-ბეგს იოანეს მამა და ბიძა პატივით დაუმკვიდრებია თავის კარზე, მაგრამ, რადგან მერე აბდულა-ბეგიც აყრილა სამშვილდიდან, ისინი (იოანეს მამა და ბიძა) განშორებიან აბდულა-ბეგს. იოანეს ბიძა დაბინავებულა თბილისში და უშვილოდ ამოწყვეტილა, „ხოლო მამასა ჩემსა უცხოვრია შიდა ქართლს სხვა და სხვათა ადგილთა მწირობით“,—დასძენს იოანე.

ამ მეტად არასრული გენეალოგიური მიმოხილვის შემდეგ იგი უბრუნდება თავის თავგადასავალს. 1795 წ. იოანე ისევ თბილისშია და მსახურობს იულონის ოჯახში. იოანე წერს: „ვწუხდი წინა თქმულისა მწირობით ცხოვრებისათვის, გარნა შემდგომი მექმნა უძნელეს და უმწარეს“-ო.

ამის მიზეზად იოანე თვლის იმ საყოველთაო უბედურებას, რომელიც საქართველოს იმავე 1795 წ. დაატყდათავს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად. ქალაქის აოხრების წინა დღეებში, 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში, იოანე სამეფო ოჯახთან ერთად გაიხიზნა ცოლშვილით თბილისიდან, ჯერ დუშეთს, ხოლო 11 სექტემბერს, როცა დუშეთში მოვიდა „ჰამბავი მეფეთა დამარცხებისა და ქალაქსა შინა შესევისა, აიყარნენ ფომილია სამეფო და სხვანი მყოფნი დუშეთით და წარვიდნენ მთიულეთს“,—გადმოგვცემს იოანე. იგი თავისი ცოლშვილით აქაც სამეფო ოჯახს მიჰყვება. უნდა აღინიშნოს, რომ 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, თბილისის ევაკუაციას ისე დაწვრილებით არც ერთი სხვა წყარო არ გადმოგვცემს, როგორც იოანეს მემუარები[1].

---

[1] ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს არტემ არარატელის მოგონებანი „ნაამბობი არტემ არარატელისა საქართველოს მდგომარეობაზედ XVIII საუკ. დამლევს (მასალა ისტორიისათვის), თარგმანი გ. არჯევანიძისა“. დაბეჭდილია ჟურნ. „იევერიაში“, 1885 წ. № 9, 10, 11. არსებობს 1913 წლის რუსული გამოცემა სახელწოდებით: „Приключения Артемия Араратского“.

იოანე ქართველიშვილი, როგორც მღვდელი, არ მონაწილეობდა ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ერეკლეს სარდლობით გადახდილ გმირულ და თავგანწირულ ბრძოლებში; ამიტომ მის მემუარებში თვით ამ დიდი ბრძოლის მსვლელობისა და ეპიზოდების შესახებ თითქმის არაფერია თქმული.

იოანე დაწვრილებით აღწერს გახიზნული ხალხის ჭირ-ვარამს და აუწყებს შვილებს, თუ რა უბედურება გადახდა პირადად მას იმ დროს. „აწ ვიწყებ პირველისავე სიტყვისგან, ჟამსა ამას თუ რანი გარდამხდნენ მე". დუშეთიდან მთიულეთს წასულნი ანანურზე გავლით სამი დღის შემდეგ (13 სექტემბერს) ცხაოტს მისულან; იქვე ჩასული მეფე ერეკლესთვის იოანეს ცისკრისა და მწუხრის ჟამი ულოცნია, „თვინიერ ყოვლისა ცერემონიისა", რადგან „არავინ იყო მღუდელი დღესა მას, გარდა ჩემისა", — დასძენს იგი. გახიზვნისას იოანეს მთელი თავისი საოჯახო ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა დუშეთში დაჰკარგვია. შემდეგ ბევრს ცდილა, რომ მოენახა დანაკარგი, მაგრამ ამაოდ (გარდა რამდენიმე საეკლესიო წიგნისა). იოანე პირუთვნელად აღწერს უკანდახეული ლაშქრისა და სამეფოს იასაულების მიერ ჩადენილ ძარცვა-გლეჯას, ეხება იმ ზომებსაც, რომელნიც მეფე ერეკლეს მიუღია დუშეთში ამ ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.

1795 წ. ოქტომბერში მეფე ერეკლე თავისი ოჯახით კახეთს გადავიდა, ხოლო „თავისი შვილი იულონ ქართლში გაგზავნა; წამოვყევ მუნიდამ მეფის ძეს იულონს... ჩავედით გორს", — დასძენს იოანე. მას თან მოჰყავდა თავისი ცოლ-შვილიც. ამ დღიდან ვიდრე 1801 წლამდე იოანე თითქმის განუყრელად ახლდა იულონს. გარდა იმისა, რომ იგი იულონის კარის მღვდელი იყო და შვილების მასწავლებელი, ამასთანავე დროდადრო ემსახურებოდა იულონს „წერით, მდივნობის რიგზე", რადგან, როგორც ირკვევა, იულონს „სხვა მწერალი არავინა ჰყოლია". იულონთან ერთად იოანე ხან გორში იყო,

ხან ბელოთს, ქრცხინვალს, კულბითას და სხვ. იგი რამდენადმე ჩამოშორდა სამეცნიერო მუშაობას და დროებით უფლისწულის კარის მსახურ მოხელედ გადაიქცა.

1800 წლის 4 მაისს იოანეს ბელოთში გარდაეცვალა საყვარელი დედა, თამარი. მეორე დღეს სოფ. არბოს ეკლესიაში დაუმარხავს იგი, რადგან ბელოთს, იოანეს ცნობით, საყდარი არ ყოფილა.

* *

მეფე გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ უფლისწულებს შორის უკიდურესობამდე გაწვავდა ცილობა სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად; განსაკუთრებით ორ პრეტენდენტს—იულონ ერეკლეს ძესა და დავით გიორგის ძეს შორის ბრძოლამ, როგორც ცნობილია, მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო.

უფლისწულთა შორის ეს უშინაარსო ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა. პლ. იოსელიანის ცნობით, „მეფის ძენი იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე, იოანე და ბაგრატ დაიყვნენ: თვითეულსა ამათგანსა ჰყავდნენ ოცოცნი დიდთა კაცთაგანნი მხლებელნი. ერთი წილი, განსრულთა ერთობისაგან, ერიდებოდა მეორესა. ერთი მეორესა ეწინაალმდეგებოდა, ერთი მეორეს ეცინოდა“ [1].

ეს ყოველად უაზრო ბრძოლა უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ისედაც გართულებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. „უთანხმოებისა დროთა ამათ ქალაქი ტფილისი ღელავდა. გაჩნდნენ მეამბოხენი, რომელთაც ზოგთა სურდათ რუსნი, ზოგთა უნებდათ მემკვიდრედ დავით. ზოგთა არცა იულონი და არცა სხვანი, ზოგთა უნებდათ იქმნეს აღრჩევათ მეფე, მიუხედავად პირმშოობისა, და ვიეთთამე დასაწყნარებლად შფოთისა სურდათ მეფედ დედოფალი დარეჯანი“ [2].

---

[1] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 222. აკ. გაწერელიას რედაქციით.
[2] იქვე, გვ. 223.

1801 წლის იანვარს, იოანე ქართველიშვილის ცნობით, იულონ ბატონიშვილი თავისი ძმების ვახტანგისა და მირიანის და სხვა ქართველთა თანხლებით მუხრანიდან კახეთს გამგზავრებულა, რომ ქართლ-კახეთის დიდებულთა თანხმობით სამეფო ტახტზე ასულიყო[1]. უკვე მარტყოფში მისულთ, იოანე ბატონიშვილი და გენერალი გულიაკოვი ლაშქრით ასდევნებიათ. სულ ოთხასი კაცი ვიყენებოდითო, დასძენს იოანე. მდევარმა ლაშქარმა კახეთში მიმავალთა ერთი ნაწილი შეიპყრო და თბილისს დააბრუნა „ავის მოპყრობითო“[2], ხოლო დიდ ნაწილს მაინც მოუხერხებია და იულონის მეთაურობით ქიზიყს მისულა. იქ ქიზიყელებმა „იულონის მეფობაზე შემოგვფიცეს“, — ამბობს იოანე, მაგრამ როცა დაინახეს, რომ მდევარი რუსის ჯარი გვიახლოვდებოდა, ჩამოგვშორდნენ ქიზიყელნი და ჩვენც უკანვე ქართლში გამოვბრუნდით მარტყოფის და მუხრანის გზით. ჯარიაშენს გადმოგვცეს, რომ „დავით მოდის რუსის ჯარით თქვენზედაო“. ამ მიზეზით ფებერვლის ვ(6) მეფის ძე იულონ ფომილიით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისაკენ წამოსასვლელათ გამოემგზავრა“, — დასძენს იოანე.

ასეთ ვითარებაში იულონის თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიული ზომები მიიღეს. დააპატიმრეს და უფლება აჰყარეს იულონის მომხრე ყველაზე გავლენიან ერისკაცებსა და მღვდელმსახურებს. „ჩამოართვეს მღვდელმთავრობა ამბროსი ნეკრესელსა, დასტუქსეს ნიკოლოზ ხარჭაშნელი. მასვე დროსა შეიპყრეს და მისცეს პყრობილებას ოთარ ამილახვარი... ივანე ამილახვარი, არქიმანდრიტი ბარსანოფე ავალიშვილი... ელევთერ მღვდელი, იოსებ ქავქავაძე და თვით დავით ალექსიშვილი, რექტორი თელავის

---

[1] ამ საკითხის შესახებ იხ. ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, თ. ლომოურის რედაქციით, 1941 წ., გვ. 76—77.

[2] შეპყრობილთა ჩვენებანი დაცულია „Акты“-ს II ტომში.

სემინარიისა“ [1]. დააპატიმრეს იოანე ქართველიშვილის მასწავლებელი სიონის დეკანოზი იოანე ოსეშვილიც, ს. ლეონიძეც და სხვ[2]. სოლომონ ლეონიძე „თვით საპყრობილესაცა შინა არა დასცხრებოდა სიტყვითა და თქმითა გლოვითათა: „დავითმან დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოსჭრა ყელი მეფობასა და დააჭცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი“ [3].

სხვა მიზეზებსაც თვლიდნენ „სამეფოს დაღუპვის კარამდე მიყვანისთვის“. მაგ., 1803 წ. 16 მაისს გიორგი ავალიშვილი განმარტებაში, სხვათა შორის, წერს: „Известно, царь Ираклий дав преимущество кахетинцам против карталинских князей, вселяя в них непримиримую вражду, отчего и постигли все несчастья Грузию“ [4] და სხვა და სხვა.

ასე რომ, თითქმის ყველა თავისებურად განმარტავდა იმ დიდ ისტორიულ აქტს, რომელიც საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის გაუქმებასა და რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან იყო დაკავშირებული. ერთი კი ცხადია: საქართველოს რუსეთთან დაკავშირება მიაჩნდათ მეფე ერეკლეს ანდერძად და ამ დიდ ანდერძს მოსახლეობის ფართო ფენები თანაუგრძნობდნენ.

გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე რუსული მმართველობა დამკვიდრდებოდა, შეიქმნა დროებითი მმართველობა დავით ბატონიშვილის, როგორც მემკვიდრის, გამგებლობით.

აქ დავით ბატონიშვილის დროებითმა მმართველობამ უფრო პირადი ანგარიშსწორების ხასიათი მიიღო, ვიდრე წინდახედული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა. დავითმა სასტიკი იერიში მიიტანა იულონის მომხრე თავადებზე და განუკითხავად დასაჯა ბევრი მათგანი. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ოთარ ამილახვარი, რომლის საჩივრიდან ჩანს, რომ დავითის „დროებითი

[1] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 222.
[2] იქვე, გვ. 221.
[3] იქვე, გვ. 230.
[4] ნ. „Акты“, ტ. II, გვ. 175.

მმართველობა“ მას უკანონოდ მიაჩნია. ამის შესახებ ოთარ ამილახვარი 1803 წ. 26 მარტს ციციანოვთან უჩივის დავით უფლისწულს, უკანონოდ თვლის მის მიერ გადაწყვეტილ საქმეს და მოითხოვს მის დარღვევას: „Взявшего на себя во время безначалия самовластно управление Грузиею... поелику он хотя и был призван наследником царства Грузинского, но по причине открытия здесь в непродолжительном времени после смерти царя Георгия российского временного правительства, не имел права на непосредственное управление Грузиею. Находясь в таковом сомнении, я решился грамотам царевича Давида не давать никакого весу“[1].

როგორც ცნობილია, ო. ამილახვარს შთამომავლობით ჰქონდა საამილახვროს სარდლობა და გორის მოურავობა და იგი ამჯერადაც მოითხოვდა შესაბამ სამოხელეო უფლებრივ მდგომარეობას.

იოანე ქართველიშვილი, როგორც ერთგული და თავდადებული ყმა იულონ ბატონიშვილისა, არ შორდება მას და თან მიჰყვება იმერეთში ლტოლვილს, ცოლ-შვილს კი ცხინვალში ტოვებს.

1801 წლის 29 აპრილს იულონი ამალით ქუთაისში ჩადის და იქვე, „სასაყდროსა ქალაქსა შინა“, ბინავდება. ამ ამალაში მყოფი იოანე, იულონის ნებართვით, ემსახურება სოლომონ მეფეს მდივნობის რიგზე. ხშირად თან ახლავს მას, მაგალითად, კულაშში, ცხრაწყაროში და სხვაგან. 1801 წლის დეკემბერში იოანეს არზები დაუწერია სოლომონ მეფისა და იულონის სახელით რუსეთში წარსაგზავნად „დიდებულებისა და ჩინებულთა გვამთაღმი“[2].

---

[1] ნ. „Акты“, ტ. II, გვ. 174.

[2] იულონ ბატონიშვილი 1803 წ. 16 თებერვალს პ. ციციანოვთან მიწერილ ბარათში იხსენიებს სწორედ ამ არზებს. იგი წერს: „იმერეთს ყოფასა შინა ჩვენთა წარგზავნა მეფემ სოლომონ—ელჩი თვისი თავადი იმერეთისა და არზა ჩვენი“ (ნ. „Акты“, ტ. II, გვ. 124 — 125) რუსეთში ხელმწიფესთან. ეს არზები, როგორც ირკვევა, იოანე ქართველიშვილს დაუწერია.

იმერეთში მყოფი იოანე მწუხარებას შეუპყრია. მას დიდად ადარდებდა ცოლ-შვილისაგან ხანგრძლივად დაშორება. ამასთანავე განსაკუთრებით აწუხებდა 1797 წელს იულონ ბატონიშვილის მიერ იოანესთვის ნაწყალობევი „მეორე, ანუ შუა აზნაურშვილის შესაფერი ყმა და მამულის“ ხარისხისა და პატივის განუსრულებლობა ქვეყნის არეულობის გამო.

საგონებელში ჩავარდნილი და „მოწყინებასა შინა მყოფი“ იოანე 1801 წლის სექტემბრის 10-ს ქუთაისში იწყებს წერას თავისი მემუარებისას, რომელსაც ანდერძად უტოვებს შვილებს.

1802 წლის 31 იანვარს იოანე, იულონ ბატონიშვილის ნებართვით, იმერეთიდან ქართლში მოემგზავრება და სურამზე გამოვლით თებერვლის დამლევს თბილისში ჩამოდის. ქართლში წამოსული იოანესთვის იულონ ბატონიშვილს იმერეთიდან წერილი გამოუტანებია და ბაიდარის მოურავის—იოსებ მისკარბაშისათვის უბრძანებია: ჩემს მღვდელს იოანეს „თავის ხიზნებში წასასვლელად ცხენი უშოვნეო“[1]. 1802 წლის 10 მარტს იოანე ხვდება თავის ცოლ-შვილს.

თბილისში ჩამოსული იოანე ავლაბარში დაბინავებულა და დარეჯან დედოფლის კარზე სამსახურს შესდგომია (ალბათ, იულონის დავალებით). 1 აპრილს „აულია ბილეთი“ კვლავ იმერეთში წასასვლელად, მაგრამ ადგილობრივ რუს მოხელეებს, ალბათ, პოლიტიკური მოსაზრებით, არ გაუშვიათ იგი. ამრიგად, იოანე 1802 წლის მარტიდან თბილისში იმყოფება და ახლავს დედოფალს დარიას ავლაბარში. ამ მდგომარეობაშია იგი იმავე წლის დასასრულსაც[2].

---

[1] ე. თაყაიშვილი, „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გვ. 89—90.

[2] დარეჯან დედოფალი 1803 წელს იძულებით გადაასახლეს რუსეთს. აი რას სწერს დარეჯან დედოფლის შესახებ ციციანოვი კოჩუბეის 1803 წლის 27 ოქტომბერს: „В течений 9-ти месяцев время проходило в одних переговорах и отсрочках; наконец приступил я к единственному средству на азиатские нравы действующему, к страху и принуждению“ („Акты“, т. II, стр. 103—114). არ გასჭრა დარეჯან დედოფლის მუდარამ, რომ მოხუცსა

აქ წყდება იოანეს მემუარები, ამიტომ იძულებული ვართ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღსადგენად სხვა წყაროებს მივმართოთ[1].

ირკვევა, რომ 1803 წლიდან იოანე ჩამოშორდა დარეჯან დედოფალს, ისევე როგორც უფრო ადრე იულონ ბატონიშვილს, შევიდა რუსული მმართველობის სამსახურში და დაუბრუნდა საგანმანათლებლო-სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იულონ ბატონიშვილმა იოანე ქართველიშვილი ხანგრძლივად ჩამოაშორა მეცნიერულ-შემოქმედებითს მუშაობას და თავისი კარის უბრალო მოხელედ გაიხადა, მან შეაფერხა იოანეს მყუდრო სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა, გადააქცია იგი თავისი აწეწილი, დაძაბული და არასასიამოვნო პოლტიკური ცხოვრების თანამგზავრად. იულონისაგან ჩამოშორებით პირველ ხანებში იოანე თითქოს უკმაყოფილო იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მისი თავისუფალი პირადი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მხოლოდ ამ ჩამოშორების შემდეგ იწყება.

საკითხავია, სად დაიწყო იოანემ მოღვაწეობა დარეჯან დედოფლის რუსეთში გადასახლების შემდეგ? ამ კითხვის გასარკვევად მემუარებში გადაჭრილ პასუხს ვერ ვპოულობთ, მაგრამ მისი გარკვევა რამდენადმე მაინც ხერხდება. იოანე ქართველიშვილის „შემოსავლის ნუსხაში“, სხვათა შორის, ნათქვამია: „დედოფალმა

---

და დაავადებულს ღირსებოდა თავისი მეუღლის მეფე ერეკლე მეორის გვერდით განსვენება. დარეჯანს ნება დართეს მხოლოდ მცირერიცხოვანი მხლებლებით გამგზავრებულიყო საქართველოდან. საკითხავია ვინაობა „დიაკონი იოანესი“, რომელიც დარეჯან დედოფალს გაჰყოლია. დაცულია სახელობითი სია იმ პირებისა, რომლებიც დარეჯან დედოფალს გაჰყვნენ რუსეთში (40 კაცამდე), მაგრამ ამ სიაში იოანე ქართველიშვილი არ იხსენიება. თანგაყოლილთა სიაში მოხსენებულია „დიაკონი იოანე“. იგი შეუძლებელია იოანე ქართველიშვილი ყოფილიყო, ვინაიდან იოანემ დიაკვნობა მიიღო ჯერ კიდევ 1788 წლის მარტის 12-ს, მღვდლობა კი—1792 წლის იანვრის 6-ს (ნ. ტექსტი მემუარებისა). ამიტომ შეუძლებელია იგი 1803 წელს დიაკვნად იწოდებოდეს.

[1] ასეთად კი სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, გამოდგებოდა „მემუარების“ შემადგენელი სხვა ნაწილები: „მოსაგონებელნი რიცხვნი“, „შემოსავლის ნუსხა“, „შესანდობელი“ და სხვა წყაროები.

(დარეჯანმა) მიბოძა საწირავათ. კიდევ წასვლის დროს გზაზედ მომცა კაიშაურის კარს". ჩანს, იოანემ კაიშაურამდე გააცილა რუსეთში მიმავალი დედოფალი[1].

მეფის დაშლილ ოჯახს იძულებით ჩამოშორებულ იოანეს უკან გამობრუნებისას კათალიკოს ანტონ მეორისთვის მიუმართავს, ეკლესიისათვის შეუფარებია თავი და თბილისიდან ოჯახით ჯერ მუხრანში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მცხეთაში გადასულა. იქ მას ფრიად საპასუხისმგებლო საეკლესიო ხარისხი და თანამდებობა მიუღია. იგი იხსენიება საქართველოს საკათალიკოსოს დიკასტერიის წევრად და მცხეთის დიდი ეკლესიის პროტოიერად: „Мцхетской великой церкви протоиерей Иоанн“[2].

დიდხანს არ გაგრძელებულა იქ იოანეს მოღვაწეობა. 1804 წლის 16 იანვარს თბილისში სკოლის გახსნის[3] სამზადისით დაინტერესებულ პ. ციციანოვს ანტონ ირაკლის ძისთვის უცნობებია, რომ მას ესაჭიროება ქართული ენის მასწავლებელი და უთხოვნია:

„Я способнейшим к такой должности нахожу священника Иоанна Картвелова и иеромонаха Неофита, то прошу покорнейше Ваше святейшество, уволив их от должностей, какие на них возложены, приказать им прибыть ко мне в Тифлис. Я уверен, что ваше святейшество по известному мне усердию к пользе Грузии и по доброжелательству соотечественникам вашим, не откажите в сем моем к вам соотношении, хотя бы вы их находили и не безнужными для вас“[3].

---

[1] „Акты“, ტ. II, გვ. 105.

[2] იქვე, გვ. 180.

[3] ნ. „Акты“, ტ. II, გვ. 180; კეთილშობილთა სასწავლებელი თბილისში პირველად 1802 წლის 21 სექტემბერს გაიხსნა. საქართველოს მმართველი კოვალენსკი იმავე წლის 5 სექტემბერს ასე მიმართავდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას: „ამას წლის 22 სექტემბერს განზრახული მაქვს სასწავლებლის გახსნა. სწავლა უფასოდ იქნება...“ და სხვ. სასწავლებელი მართლაც გაიხსნა. შეიკრიბა სულ 45 მოწაფე.

ანტონ II კათალიკოსს სისრულეში მოუყვანია პ. ციციანოვის თხოვნა და იოანე ქართველიშვილი მცხეთიდან თბილისში ციციანოვის განკარგულებაში გაუგზავნია, ხოლო აქ „1804 წლის 1 მაისს სკოლაში განწესებულ

---

საქართველოში მოვლენილი ახალდანიშნული მმართველი პ. ციციანოვი განათლების მინისტრს ზავადოვსკის 1802 წ. 28 დეკემბრის თარიღით გიორგიევსკიდან სწერდა: „შევიტყვე, რომ 22 სექტემბერს თბილისში სასწავლებელი გახსნილაო“ („Акты“, ტ. II, გვ. 195), მაგრამ ციციანოვი იმავე ზავადოვსკის 1803 წ. 27 ივნისს სწერს: „Поскольку велико было мое удивление, когда по приезде моему в Тифлис не нашел я ни учеников, ни учителей, ни даже училища“.

ამგვარი მდგომარეობის გასამართლებელ მოტივად კოვალენსკის განუცხადებია: „Ученики перестали ходить по необычайности и дикости нравов здешняго народа“ (ნ. „Акты“, ტ. II, გვ. 196). პ. ციციანოვი თავიდან იწყებს ამ საქმეს, იგი ადგენს პროექტს: „О просвещении грузинского дворянства и об учреждении училища в Тифлисе“ („Акты“, ტ. II, გვ. 196) და პეტერბურგს გზავნის დასამტკიცებლად 1803 წ. 27 ივნისს. ეს პროექტი იმპერატორ ალექსანდრეს ბრძანებით დამტკიცებულ იქნა იმავე წლის 8 აგვისტოს. ხოლო თბილისში მიუღიათ 6 სექტემბერს („Акты“, ტ. II, გვ. 198), მაგრამ რადგან იმ დროს თბილისში გადამდები სენი „ჭირი“ მძვინვარებდა, აგრეთვე რადგან პ. ციციანოვი იმერეთის საქმეებით იყო გატაცებული, სკოლის გახსნა თითქმის ერთი წლით გადადებულა. 1804 წ. 31 მაისს ციციანოვი ზავადოვსკის სწერს: „Отвлечен будучи доселе приобретением Имеретинского царства, наконец сего месяца 21-го дня Тифлисское училище... учреждено“ („Акты“, ტ. II, გვ. 193). იოანე ქართველიშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს: „სკოლა გაიხსნა 1804-სა წელსა, მაისის 21-სა დღესა“. მართლაც, ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი სინამდვილეში არსებობდა არა 1602 წლიდან, არამედ 1804 წლის მაისიდან. შემდეგში, 1827 წელს, კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად ცნობილი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი დანიშნეს. თუ როგორ გამოიყურებოდა სკოლა 1815-20 წლებში, რას წარმოადგენდა იქ დამკვიდრებული რეჟიმი და სხვ.,—ამის შესახებ ნახეთ იმავე სასწავლებელში აღზრდილი ცნობილი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“, პროფ. სიმ. ხუნდაძის რედაქციით (1930 წ., გვ. 38-39) და ოფიციალური ცნობები 1819 წელს სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ („Акты“, ტ. VI, გვ. 134—144).

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დაფინანსებაზე ცარიზმი ნაკლებად ზრუნავდა. სკოლის დაფინანსების მთავარი წყარო იყო ახლად დამორჩილებული ჭარ-ბელაქნის თემებიდან მიღებული გადასახადი, საიდანაც ყოველწლიურად სკოლას ეძლეოდა 10 ათასი მანეთი. მაგრამ ეს ურჩი თემები გადასახადს რეგულარულად არ იხდიდნენ, ამიტომ ხშირად ფერხდებოდა კიდეც სასწავლებლის ფინანსური საქმეები.

ვიქმენ ქართულის ენის პირველ მოძღურად, ჯამაგირი მოეცა ორმოცი თუმანი თეთრი ფული", — გადმოგვცემს იოანე[1].

იოანე ქართველიშვილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი ხალისით შესდგომია.

1806 წ. ამ სასწავლებელში მოწაფეთა საჯარო გამოცდები მოხდა. „Успехи учеников Тифлисского благородного училища... возбудили во многих родителях желание отдавать детей своих для обучения"[2]. ლიტვინოვის მოხსენების საფუძველზე განათლების მინისტრი ზავადოვსკი 1806 წლის 16 ოქტომბერს გუდოვიჩს სწერს: „Донося мне об отличных успехах, оказанных воспитанниками Тифлисского благородного училища, при открытом испытании, и относя оные к неусыпным трудам и особенному усердию, представлял... к получению ордена..." იქვე ჩამოთვლილია პედაგოგიურ-ადმინისტრაციული პერსონალი, თუ ვინ რა ორდენზე იქნა წარდგენილი[3]. სხვათა შორის, დასახელებულია იოანე ქართველიშვილიც: „Протоиерея Иоанна Картвелова награждению золотым крестом"[4]. იოანეს მემუარებიდანაც ირკვევა, რომ იგი დაუჯილდოებიათ: „ჯუარი მებოძა ხელმწიფისაგან და მომემატა ათი თუმანი ჯამაგირი 1806 წელსა დეკემბრის 2-სა დღესა[5].

---

[1] იოანეს „მემუარები", „Акты", ტ. II, გვ. 198. „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში", 1937 წ. გამოცემა, გვ. 19; ირკვევა, რომ ქართული ენის მეორე მოძღვრად ამავე სასწავლებელში ზაქარია სიდამონოვი დაუნიშნავთ.

[2] „Акты", ტ. III, გვ. 24.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 24—25.

[5] ნ. იოანეს მემუარები; 1803 წ. 25 ივლისს მიღებულ იქნა დებულება თბილისის კეთილშობილთა ოთხკლასიანი სასწავლებლისა. აქ მოწაფეებს უნდა შეესწავლათ: რუსული და ქართული წერა-კითხვა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია (სამოქალაქო

მართალია, იოანე ასე გულმოდგინედ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ საეკლესიო მღვდელმსახურებისათვის მაინც არ მიუნებებია თავი, პირიქით, მას ახალი საეკლესიო ხარისხი მიუღია იმავე 1806 წელს კათალიკოს ანტონ მეორისაგან. იოანე წერს: „პროტოპოპად კურთხეულ ვიქმენ ამავე მარტის 25-სა დღესა კათალიკოზის ანტონისაგან“.

ფეოდალურ საქართველოში, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე არსებობდა მრავალი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი. გვიანფეოდალურ საქართველოში, უცხოელ დამპყრობთა სისტემატური შემოსევის შედეგად, მრავალი ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი ჩაქრა. მეფე ვახტანგ VI-მ ბევრი მათგანი განაახლა, სტამბაც გამართა და სხვ. მეფე ერეკლე მეორის დროს საქართველოს დამოუკიდებელ სამეფოში მოქმედებდა თბილისისა და თელავის სახელგანთქმული სემინარიები. გარდა ამისა,

---

და სასულიერო), გეოგრაფია, კატეხიზმისი, სამხატვრო ხელოვნება და, დასასრულ, მოძღვრება ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ.

სკოლის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო საჭირო სახელმძღვანელოებით მისი უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ცალკეული დისციპლინების მიხედვით მზრუნველობას იჩენენ როგორც ხელისუფლება, ისე კერძო პირები და თვით კეთილშობილთა სასწავლებლის მოწინავე პედაგოგები. მაგალითად, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ გაიოზმა, იმჟამად პენზის არქიეპისკოპოსმა, სასწავლებელს საჩუქრად გამოუგზავნა ქართული ანაბანისა და ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო 600 ცალამდე. 1804 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში 60 მოსწავლე ირიცხებოდა.

ვინაიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს არ შეეძლო საჭირო სპეციალური განათლების მქონე პირთა მომზადება, ამიტომ ადგილობრივი მთავრობა იმთავითვე ითვალისწინებდა ამას და 1803 წლიდან შესაბამისი ბრძანებაც გამოიცა უმაღლესი სპეციალური განათლების მისაღებად საქართველოდან აქ სკოლადამთავრებული თავად-აზნაურთა ბავშვების რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში გაგზავნის შესახებ. 1805 წლიდან საქართველოდან ასევე იგზავნებოდნენ თავად-აზნაურთა შვილები სპეციალურ სამხედრო სასწავლებლებში — კადეტთა კორპუსში და სხვაგან (ნ. „Памятная книжка Кавказского учебного округа на 1880 г.“, Тифлис, 1880 г., стр. 8).

მაგალითად, მარტო თბილისში საქართველოს სამეფოს უკანასკნელ წლებში ცნობილია სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ქაშუეთის, ანჩისხატის და სხვა სკოლები, სადაც 400-მდე მოსწავლე ითვლებოდა და ასწავლიდნენ: გრამატიკას, კატეხიზმისს, ისტორიას, ღვთისმეტყველებას, გალობას, ფილოსოფიას, რიტორიკას და სხვ [1].

რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველ ორ-სამ წელს დიდად შეფერხდა და თითქმის უმეტესად გაუქმდა საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს დროს არსებული აქ. დასახელებული სემინარიები [2] და ზოგი სხვა ტიპის სასწავლებლებიც. ხოლო 1803 წლიდან, აქ მმართველად პ. ციციანოვის დანიშვნის შემდეგ, როდესაც საქართველოში მკვიდრად მოიკიდა ფეხი ცარიზმის მმართველობამ, ცარიზმი საქართველოში მონდომებით ნერგავს კოლონიური ჩაგვრის შესატყვის სწავლა-აღზრდის უკუღმართ რუსიფიკატორულ სისტემას. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ამ მხრივ ტიპიური და სამაგალითო იყო [3]. აქ მასწავლებლად უმეტესად რუსობა იყო, მაგალითად, ბუკრინსკი, მალცევი, მარტინი და სხვ. ამგვარ რთულ პირობებში იოანე

---

[1] „Акты", ტ. I, გვ. 530; ეპისკოპოსი კირიონი, „Краткий очерк истории Груз. Экзархата", გვ. 161. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1937 წ.

[2] მაგალითად, 1801 წელს გაუქმებულ იქნა თელავის სემინარია და დავით რექტორს, რომელიც წინაღუდგა ამ გადაწყვეტილებას, დევნა დაუწყეს. (ნ. აკად. კ. კეკელიძე, „ქართული ლიტ. ისტორია", ტ. II, 1941 წ., გვ. 79; ქ. სანიკიძე, „თელავის სემინარია და დავით რექტორი": ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ., გვ. 73).

იგივე ითქმის თბილისის სემინარიის ყოფ. რექტორის იოანე ოსეშვილის შესახებ. როგორც ამას ი. ქართველიშვილიც მიუთითებს, იოანე ოსეშვილი 1801 წელს შეპყრობილ იქნა, ხოლო 1802 წლიდან იგი საერთოდ აღარ იხსენიება საბუთებში. საფიქრებელია, რომ იგი ამ პერიოდში გარდაიცვალა.

[3] დიმიტრი ყიფიანი, „მემუარები", ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 8—9.

ქართველიშვილი ბავშვებს ასწავლიდა მშობლიურ, ქართულ, ენასა და ლოგიკას, აღვივებდა მათში პატრიოტულ შეგნებას მის მიერვე შეთხზული თუ ნათარგმნი თხზულებებით და სხვ.

იოანე პედაგოგიურ მოღვაწეობას საეკლესიო მღვდელმსახურებასთან ათავსებდა: მისი შემოსავლის ნუსხაში აღებულ ჯამაგირთან ერთად არა ერთხელ არის მოხსენიებული აღებული „საწირავი“, „სამტვერიო“, „მარხვის სალოცავი“, „სანათლავი“ და სხვ. (ნ. „შემოსავლის ნუსხა“).

იოანეს თავის მემუარებში შეაქვს დაწვრილებითი ცნობები საოჯახო მდგომარეობისა და შვილების შესახებ. მაგ., 1792 წელს შეეძინა ვაჟი შიო, 1800 წელს მეორე ვაჟი გაბრიელი, ხოლო 1806 წელს მიხეილი. ეს უკანასკნელი 1845 წლის მარტში ბერად შემდგარა დავით გარეჯის უდაბნოში. იოანეს გარდა ვაჟებისა ქალებიც ჰყავდა. მას უკანასკნელად შვილი შესძენია 1812 წელს. იოანე ქართველიშვილი მემუარებს თავის შვილს გაბრიელს უტოვებს ანდერძად.

1811 წლის ივნისში, ქალაქში ჭირის გაჩენის გამო, იოანე ოჯახითურთ თბილისიდან გახიზნულა და უკან დაბრუნებულა 1811 წლის 14 დეკემბერს. ჭირი იმ წელს მთელ საქართველოში მძვინვარებდა და მას დიდი შიმშილობა და სიძვირე დაერთო[1].

1812 წლის დეკემბერში იოანეს უფროსი ვაჟი შიო ჭირით გარდაეცვალა გორში. ამის შემდეგ მემუარების დანართები, როგორც პირველი, ისე მეორე, იოანეს აღარ გაუგრძელებია და ჩვენც იძულებული ვხდებით ცნობები იოანე ქართველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის

---

[1] ამის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი გვაუწყებს: „წელსა 1811 იქმნა შიმშილი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა ოდიშ-გურიათურთ და ჭირი და სრვა დიდი, და მოსწყდა მრავალი სული. წელსა ამას ისყიდებოდა პური კოდი რვას მინალთუნად, რომელი არა თქმულა არასოდეს. და იყო შიმშილი ესე ვიდრე წელი ერთი“ (ნ. „ახალი მოთხრობა“, გვ. 117, თ. ლომოურის რედაქციით).

შესახებ სხვა წყაროებში ვეძებოთ. მაგრამ სანამ ამ უკანასკნელთ შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ იოანეს „შემოსავლის ნუსხაზე", რომელიც ავტორს 1797 წლიდან 1812 წლის დეკემბრამდე უწარმოებია (ნ. ტექსტი). ამ ნუსხიდან ჩანს, თუ როგორ თანდათან იზრდება იოანე ქართველიშვილის ოჯახის შემოსავალი. იქვე ნაჩვენებია ამ შემოსავლის ზრდის საშუალებები და წყაროები. პირველ პერიოდში (1797—1804) მის შემოსავალს უმეტესად შეადგენს „წვრილად ნაშოვნი" და ბატონიშვილის, მეფის, დედოფლის, კათალიკოსისა და სხვა დიდებულების „ნაბოძები".

1804 წლიდან იოანეს შემოსავლის ახალი წყარო უჩნდება—სახლების ქირა და ჯამაგირი. 1805 წლიდან მისი შემოსავალი ყოველწლიურად თვე და თვე იზრდება, მაგ.: თუ 1797 წელს იოანეს წლიური შემოსავალი 7 თუმანს, 5 მანეთს და 24 კაპიკს უდრიდა, 1808 წელს იგი 109 თუმანს და 27 კაპ. აღწევს. იგი ეწევა მღვდელმსახურებას და ღებულობს საწირავებსა და ხანათლავებს სალოცავებითურთ და „სამტვერიოთი", გასამრჯელოს ფულით, ნატურით და სხვ.

თუ რა ბედი ეწია იოანე ქართველიშვილს ან როგორ წარიმართა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა 1812 წლის შემდეგ, ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. დღემდე არ ვიცოდით არც ზუსტი თარიღი იოანეს გარდაცვალებისა. პლატონ იოსელიანს მოეპოვება იოანე ქართველიშვილის გარდაცვალების ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის ცნობა. პლატონი წერს: „В этот же горький для Тифлиса день, убиты персами в ограде храма ключарь (კანდელაკი) Иоанн Картвелов, отец нынешнего протоиерея Гавриила, старца 84 лет, живого еще свидетеля кровавых дней Тифлиса с 12 по 20 сентября 1795 года"[1].

---

[1] П. Иосалиани. „Описание древн. гор. Тифлиса", გვ. 199; მისივე —„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", გვ. 134.

ამ ცნობაში ჭეშმარიტება ის არის, რომ გაბრიელი შვილი იყო იოანე ქართველიშვილისა[1],—ეს ჩვენ მემუარებიდან ვიცით. მაგრამ სინამდვილეს არ შეესაბამება ის ცნობა, თითქოს იოანე მოკლეს 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას. იოანე იმ დროს 23 წლის ჭაბუკი იყო. ი. ქართველიშვილს თავისი „შემოსავლის ნუსხა“ უწერია 1812 წლის დამლევამდე, მაშასადამე, ამ დროს იგი ცოცხალია. პლატონ იოსელიანს იოანე ქართველიშვილის გარდაცვალების შესახებ მოეპოვება სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის სხვა ცნობა, სადაც წერს: „იოანე ქართველიშვილი იყო მასწავლებლად თბილისის საკეთილშობილოსა, რომელიც გამართა კნიაზმან ციციანოვმან 1803 წელსა, და გარ-

---

[1] გაბრიელი პლ. იოსელიანის თანამედროვე იყო. პლატონი მას პროტოიერეად ასახელებს. იოანე თავის შვილებს შიოს და გაბრიელს ანდერძით ავალებს, რომ ეკლესიის მსახურებას არ ჩამოშორდნენ, „მღვდლად გაიზარდონ“. როგორც ირკვევა, შვილებიდან გაბრიელს ყურადღებით მამის ანდერძი და სასულიერო მოღვაწე გამხდარა. ამას ადასტურებს „შესანდობლის“ ტექსტიც. რაც შეეხება მიხეილს, იოანეს უმცროს ვაჟს, ის 1846 წ. გარეჯის უდაბნოში ბერად შემდგარა (ნ. მემუარები). პლ. იოსელიანი გაბრიელ იოანეს ძე ქართველიშვილის პიროვნებასაც ეხება თავის წიგნში— „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ (გვ. 194). მას გაბრიელი გიორგი მეცამეტის თანამედროვედ ჰყავს წარმოდგენილი. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დაობლებულ და გაღატაკებულ გაბრიელს მეფე იბრალებს და წყალობას უვლენს. იოსელიანი დასძენს, გაბრიელი 1866 წ. გარდაიცვალაო. ეს თარიღი იქნებ ჭეშმარიტებას შეეფერებოდეს, მაგრამ არ არის სწორი ის მითითება, თითქოს გაბრიელი მოსწრებოდეს მეფე გიორგი მეცამეტეს, რადგან იგი 1800 წ. დაიბადა (ნ. იოანეს მემუარები). ასევე სწორი არ არის ცნობა, რომ გაბრიელი მომსწრე იყო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისა თბილისში (ნ. პლ. იოსელიანის „Описание древн. гор. Тифлиса“, გვ. 199). თუ გაბრიელი 1866 წ. გარდაიცვალა, პლატონის ცნობით (ნ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 134), შეუძლებელია მას მიეღწია 84 წლის მოხუცებულობამდე, როგორც ამას მისივე ცნობა გადმოგვცემს (ნ. „Описание древн. гор. Тифлиса“, გვ. 199). ხომ არ არის აქ ლაპარაკი სხვადასხვა პირებზე? უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს რაღაც აღრევასთან.

დაიცვალა 1816 წელს“ (ნ. „ცხოვრება გიორგი მეცა-მეტისა“, გვ. 184, შენიშვნა). ეს უკანასკნელი ცნობა პლატონ იოსელიანისა სინამდვილეს შეეფერება. ამას არაპირდაპირ გვიდასტურებს იოანე ქართველიშვილის შთამომავლის „შესანდობელიც“, დაწერილი იოანეს ვა-ჟის გაბრიელის მიერ. როცა იოანე გარდაიცვალა, გაბ-რიელი 16 წლის ყრმა იყო (დაიბადა 1800 წ.). მას თავისუფლად შეეძლო „მცხედარსა ზედა მდებარე მა-მის“ მოგონება. „შესანდობლითვე“ დასტურდება, რომ იოანე 1812 წლის შემდეგ ჩავარდნილა „სიღრმესა შინა სნეულებისა“. 1816 წელს იოანე გარდაიცვალა კიდეც[1]. ერთი საარქივო საბუთი (ნ. საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 16, საქმე № 1879 ფურც. 3) პირდაპირ მიუთითებს იოანეს გარდაც-ვალების თარიღად 1816 წლის 9 თებერვალს. საფიქრე-ბელია, რომ 1812 წლის შემდეგ, ავადმყოფობის გამო, იოანე ჩამოშორდა როგორც სამღვდელო სამსახურს და საკუთარ ოჯახზე ზრუნვას, ისე ლიტერატურულ-პედა-გოგიურ მოღვაწეობას. „ოდეს მდებარე იყავ სიღრმე-სა შინა სნეულებისასა, უგუნურებითა ჩემითა არა ერთ-ხელ შეგაწუხე“, — მიმართავს იოანეს თავისი შვილი გაბრიელი და ითხოვს შენდობას (ნ. „შესანდობელი“). 1812 წლიდან ჩვენ ვერ ვხვდებით სხვა ლიტერატურულ ძეგლს, რომელიც იოანეს შეეთხზას, გადაეწეროს ანდა ეთარგმნოს.

## 2. იოანე ქართველიშვილის ქართული ენის გრამატიკის გამო

მე-18 ს. 90-იან წლებში იოანეს, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გადაეწერა მთელი რიგი სასულიერო და ფი-ლოსოფიური შინაარსის წიგნები. 1800-იან წლებში მან

---

[1] პროფ. ა. ხახანაშვილის ზეპირსიტყვიერი მცდარი ცნობით, იოანე ქართველიშვილი გარდაიცვალა 1825 წ.

თავისი მემუარები დაწერა[1]. ამ წლებიდან, როგორც უკვე ვთქვით, იოანე დიდი ინტერესით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას იმავე სკოლისათვის, სადაც ის მოღვაწეობდა, შეუდგენია სახელმძღვანელო „ქართული ღრამატიკა“. იოანე ქართველიშვილის გრამატიკის შესახებ „ქართული წიგნი“ ჩვენ ასეთ ცნობას გვაწვდის: „1801—1815 წ. წ. არა გვაქვს არც ერთი თბილისში დაბეჭდილი წიგნი. გამონაკლისს წარმოადგენს იოანე ქართველიშვილის უთარიღო გრამატიკა, რომელიც ვარაუდით თბილისში 1815 წ. გამოცემულად ითვლება“[2]. პროფ. ა. ცაგარელი გვაუწყებს: „В каталоге грузинских книг библиотеки светлейшего князя Иоанна Григорьевича Грузинского, значится еще „Грузинская грамматика“, составленная Иоаном Картвеловым. Тифлис, 1809 г. рукопись“[3].

საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში S ფონდის № 4432-ით დაცულია ხელნაწერი ტექსტი ამ გრამატიკისა. გარეკანზე აწერია: „ქართული ღრამატიკა, შეთხზული ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოძღურის პროტოპაპის იოანე ქართველიშვი-

---

[1] გარდა მემუარებისა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში (ფონდი S $\frac{d\ 2161}{s\ 1491}$) დაცულია იოანე ქართველიშვილის მცირე „ჩვენების“ ტექსტი. „ჩვენება“ ასახავს იმ ინცინდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს პროტოიერეი ალექსი პეტრიევსა და ტფილელ მიტროპოლიტ არსენს შორის. იოანე ქართველიშვილი მოწმე ყოფილა ამ არასასიამოვნო ინცინდენტისა. „ჩვენება“ დაწერილია 1810 წ. შავი მელნით, ორად მოკეცილ, მოლურჯო მცირე ზომის ქაღალდზე, იგი უსათაურო და უთარიღოა. ამ საბუთს „ჩვენებას“ ვუწოდებთ მისი შინაარსის საფუძველზე.

[2] ნ. „ქართული წიგნი“, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 88—97.

[3] ნ. მისი „О грамматической литературе грузинского языка“. გვ. 39, პარაგრ. 81. დასასრულ, ა. ცაგარელი დასძენს: „Я не видел этой грамматики“.

ლისაგან სახმარად მისვე სასწავლებელსა. 1809 წ. ტფილისი" (ხელნაწერის ზომაა 22×16, სისქე 1,5 სმ. იგი შეიცავს 127 გვერდს, დაწერილია ლამაზი ხელით, ლურჯ ქაღალდზე. ავტოგრაფი არ უნდა იყოს). გრამატიკის წინასიტყვაობაში ავტორი იუწყება: მართალია, მოგვეპოვება ანტონის გრამატიკა, „გარნა ვინათგან სივრცისა გამო მისსა არა ადვილძალუძსცთ ჰსწავლად იგი მცირეწლოვანთა ყრმათა... თანამემულეთა ჩემთა", ამიტომ „დავშჟჸრ შეთხზვასა შინა წინამდებარისა ამის წიგნისა"-ო. თანაც დასძენს: სისტემად, მართალია, რუსული გრამატიკა დავუდევ, მაგრამ „არა წინააღმდეგ სხვათა ღრამატიკა ქართულსა ენასა ზედა ქმნულთა"-ო[1]. ამჯერად მეტს ვერაფერს ვიტყვით ამ გრამატიკაზე, რადგან დღემდე მის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ა. ცაგარლის ზემომოტანილი განცხადების მეტს ვერაფერს ვხვდებით[2]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1830-იან წლებამდე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო თაობები ი. ქართველიშვილის სწორედ ამ გრამატიკაზე იზრდებოდნენ.

### 3. იოანეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა

იოანე ქართველიშვილის პედაგოგიურ-ლიტერატურული მოღვაწეობა, აღნიშნულს გარდა, დამშვენებულია ერთი მეტად ღირსშესანიშნავი მომენტითაც: დასტურდება, რომ იოანე რუსული ენის კარგი მცოდნე ყოფი-

[1] საქართველოს მუზეუმში დაცულია იოანე ქართველიშვილის გრამატიკის სახელმძღვანელოს კიდევ ერთი ხელნაწერი (ნ. H ფონდის № 239), იგი გადაწერილია 1609 წელს და ამ დროს ისევ მიჩნეული ყოფილა სახელმძღვანელოდ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეებთათვის. ირკვევა, რომ იოანე ქართველიშვილის გრამატიკის სახელმძღვანელო თითქოს მასობრივად უნდა ყოფილიყო გავრცელებული აღნიშნულ სკოლაში როგორც სახელმძღვანელო მოწაფეთათვის. ჩვენამდე კი მხოლოდ ამ ეგზემპლარებს მოუღწევია.

[2] პროფ. ა. ხახანაშვილი ორი სიტყვით გვაუწყებს, რომ იოანე ქართველიშვილის გრამატიკა ხმარებაში იყო 1821 წლამდე („Очерки..., вып. 3", 1901, გვ. 350. ქართული გამოცემის გვ. 450).

ლა და თავისი თარგმანებით მას დიდი სამსახური გაუწევია საერთოდ ქართველი მოზარდი თაობისათვის, კერძოდ კი იმ სასწავლებლის მოწაფეთათვის, სადაც ის ასეთი გულმოდგინებით ეწეოდა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას.

სკოლისათვის იოანეს, სხვა მრავალთა შორის, რუსულიდან უთარგმნია დელაპორტის შრომის ის ადგილები (გამოკრეფით), რომელნიც შეეხებიან ქართლსა და იმერეთს[1]. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ტექსტი ამ თარგმანისა (H ფ. № 609 ხელნაწერთა კრებულში. ზომა ხელნაწერისა: 35,5×22, სისქე 1,6 სმ). იოანეს ამ თარგმანის ტექსტი მოთავსებულია 6,5 ფურცელზე, იწყება 131 ფურცლიდან და გრძელდება 137 ფურცლამდე; დაწერილია თეთრ ქაღალდზე, გაკრული ხელით, შავი მელნით[2].

---

[1] დელაპორტის შრომა, ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი 1779 წ. ვ. ს. სოპიკოვის მიერ, ასე იწოდება: „Всемирный путешественник или познание старого и нового света, т. е. описание всех по сие время известных земель в четырех частях света, изданное господином аббатом де ла Порт, а на Российский язык переведенное с французского В. С Сопиковым“.

ცნობები საქართველოს შესახებ რუსულ თარგმანში მოთავსებულია მე-2 ტომის მე-17 და მე-18 თავებში. მე-17 თავს აწერია: „Грузия и Имеретия“ (გვ. 90—122), ხოლო მე-18 თავს „Мингрелия. или древняя колхида“ გვ. (123—147).

[2] პლ. იოსელიანის ცნობებით, დელაპორტს საქართველოში უმოგზაურია 1768 წ.: „Всемирный путешественник аббат Иосиф Делапорта, бывший в Тифлисе в 1768 г.“ (ნ. მისი „Описание древностей г. Тифлиса“, გვ. 274). პლ. იოსელიანის ამ ცნობაზე დაყრდნობით არის განმეორებული სხვა ლიტერატურულ წყაროებში დაცული ანალოგიური ცნობები. მაგალითად, „1768 году во время царствования Ираклия II, бывшего в Тифлисе аббата Иосифе Делапорт“ (ნ. „Сборник свед. о Кавк.“, 1880 წ., ტ. I, 292). აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, თავის ნაშრომში — „დასავლეთ-ევროპული მოგზაურ-დესპანების ცნობები საქართველოს შესახებ“ ამბობდა, საქართველოში დელაპორტის მოგზაურობის გამო წყაროები არაფერს გვაუწყებენო (ნ. „საქართველოს ეკონო-

თუ რა მიზნები ამოქმედებდა იოანე ქართველიშვილს დასახელებული ნაშრომის თარგმნისას, გარკვევით არის ნაჩვენები წინ წამძღვარებულ „მკითხველთადმი უწყებაში“. მთარგმნელი ბოდიშს იხდის, რომ მთლიანად ვერ თარგმნა ნაშრომი სიდიდის გამო. აი ტექსტიც: „უწყება მკითხველთადმი მხილველსა ამის წიგნისა. ფრიადი სურვილი მქონდა თარგმნა ჩვენსა ზედა ენასა; ვერ შემძლებელმან სრულად თარგმნად მისდა, ვსთარგმნე მხოლოდ აღწერა ქვეყნისა ამის ჩვენისა: ესე იგი ქართლისა და იმერეთისა, რათა სარგებელ ექნას მკითხველთა ერთმემამულეთა ჩემთა, მეტნავათ (sic) რომელ განათლებულნი ერნი ნიადაგ მეცადინეობენ განხილვად ზნეთა და ჩვეულებათა კერძოობითა ერთაცა და რათა თვით მათაცა იმეცადინონ დატევებად ბოროტთა ზნეთა და მიღებად განათლებისა.

---

მიური ისტორია“, 1930 წ., გვ. 120—123). აკად. ს. ჯანაშია თავის სპეციალურ გამოკვლევაში „დელაპორტის ცნობები საქართველოს შესახებ და წყარო ინტერპოლაციებისა მათს რუსულ თარგმანში“ (ნ. ენიმკის „მასალები“, ნაკვეთი 3, 1937 წ., გვ. 217—225), სხვათა შორის, ეხება თარიღს, 1768 წელს, და დასძენს: „არა ჩანს, რაზეა ეს თარიღი დამყარებული“ (ნ. დასახ. „მასალები“, გვ. 217).

აკად. ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ „დელაპორტი საქართველოში არასოდეს ყოფილა და მისი ცნობები კი საქართველოს შესახებ მხოლოდ შარდენის განმეორებაა“ (ნ. „მასალები“, გვ. 224—225). რაც შეეხება დელაპორტის დასახელებული შრომის რუსული თარგმანის იმ ადგილებს, რომლებიც საქართველოს შეეხება, ისინი არსებითად განსხვავდებიან ფრანგული დედნისაგან და „უმნიშვნელო პარაფრაზს წარმოადგენენ“ კაპიტან იაზიკოვის ცნობებისას საქართველოს შესახებ (ნ. ენიმკის „მასალები“, გვ. 218 და 223. სრული ტექსტი „Записки капитана Языкова“, ნ. პროფ. ალ. ცაგარელის მიერ გამოცემული „Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии“, ტ. I, СПБ., 1891, გვ. 183—196).

პროფ. მელიქსეთ-ბეგი თავის შრომაში — „Тифлис, его основание и кратк. исторический очерк“, (თბილისი, 1925 წ., გვ. 21—22) იმეორებს პლ. იოსელიანის აზრს, რომ დელაპორტი საქართველოში იყო 1768 წელს.

პლ. იოსელიანი, აღნიშნულ თარიღს გარდა, საქართველოში დე-

ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღუარმან, პროტოიერეი იოანე ქართველოვმან, მასვე სასწავლებელსა შინა სასარგებლოდ ამისა 1811 წელსა“ [1].

იოანე ქართველიშვილს, როგორც ირკვევა, სხვა წიგნებიც უთარგმნია რუსულიდან. ამას ადასტურებს „შესანდობელის“ შემდეგი ადგილი: „რუსულსა ენასა ზედა... ჰთარგმენით... ჭაბუკთა ყრმათადმი არა მცირენი წიგნი, სახსოვარისადმი ღირსნი“[2]. მაშასადამე, იოანე რუსულიდან ქართულად თარგმნიდა უმეტესად სახელმძღვანელო წიგნებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონიათ „ჭაბუკთა ყრმათათვის“.

---

ლაპორტის მოგზაურობის შესახებ არაკატეგორიულ, მიახლოებით სხვა თარიღსაც ასახელებს. იგი წერს: „Был (დელაპორტი—ა. ი.) в Тифлисе около 1760 г.“ (გვ. 250). ჩანს, თვით პლ. იოსელიანიც დაეჭვებული იყო ამ თარიღის სისწორეში.

[1] ნ. საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილება, H ფონდი № 609 ხელნაწერი, გვ. 130, verso.

[2] დელაპორტის ცნობები საქართველოს შესახებ იოანე ქართველიშვილს 1811 წელს პირველად უთარგმნია რუსულიდან. რაც შეეხება მოსე ჯანაშვილის თარგმანს, იგი მცირე ნაწყვეტია მთლიანი ტექსტისა და შესრულებულია ბევრად გვიან და სრულიად დამოუკიდებლად იოანე ქართველიშვილის თარგმანისაგან (მ. ჯანაშვილი, „საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი“, ქუთაისი, 1899 წ., გვ. 118 და შემდ.). აკად. ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ „დელაპორტის ცნობები ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში პირველად გამოაქვეყნა პლ. იოსელიანმა“ (ნ. ენიმკის „მასალები“, 1937 წ., ნაკვეთი 3, გვ. 217) და მიუთითებდა პ. იოსელიანის ნაწარმოებზე „Описание древностей г. Тифлиса“ (გვ. 274). სინამდვილეში კი პლ. იოსელიანს ამოუკრებია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი ადგილი რუსული თარგმანიდან და რუსულადვე დაუტოვებაია, ხოლო შემდეგ ეს ამონაკრები გადაუბეჭდავს კრებულში (ნ. „Сборник сведений о Кавказе“, т. I, Тифлис, 1860 г., гл. XIII—„Краткий исторический очерк Тифлиса“, გვ. 292—293. მ. ჯანაშვილს ამ უკანასკნელთაგან უთარგმნია და შეუტანია თავის დასახელებულ ნაშრომში. აკად. ს. ჯანაშია ვერ იცნობდა იოანე ქართველიშვილის დასახელებულ თარგმანს.

ამრიგად, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში დელაპორტის ცნობებმა საქართველოს შესახებ პირველად, ვიდრე პლატონ იოსელიანი გამოაქვეყნებდა, მიიქცია იოანე ქართველიშვილის ყურადღება; მანვე პირველად თარგმნა ტექსტი რუსულიდან ქართულად ჯერ კიდევ 1811 წელს „თბილისის საკეთილშობილო სასწავლებლის სასარგებლოდ“, სადაც ეს თარგმანი ისწავლებოდა კიდეც, როგორც სახელმძღვანელო.

პროფ. ა. ხახანაშვილი ყოველგვარ წყაროზე დაუმყარებლად მიგვითითებს, რომ იოანე ქართველიშვილმა თარგმნა „Путешествие Делапорта“ (ნ. „Очерки...“, вып. III, გვ. 350 და შდრ. მისივე ქართული თარგმანის 1919 წლის გამოცემას, გვ. 449).

იოანე ქართველიშვილის მიერ თარგმნილი ტექსტები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა მოწაფეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შორის. ეს თარგმანები ოფიციალურად იყო მიჩნეული სახელმძღვანელოდ მოწაფეთათვის.

იოანე ქართველიშვილი რომ რუსული ენის კარგი მცოდნე ყოფილა, ამას პლატონ იოსელიანიც ადასტურებს, იგი წერს: „1799 წელსა, თთვესა ნოემბერსა 26 შემოვიდა თბილისსა ჯარი რუსისა... შემდგომად ათისა დღისა ინება მეფემან მოსმენა რუსულად წირვისა... მოხსენებისა დროსა იმპერატორისა და სახლეულთა მისთა მღვდელმან მოიხსენა მხოლოდ მეფე და დედოფალი. მემკვიდრემან დავით იწყინა ესე და აყვედრა მღვდელთა რუსულის ენისა მცოდნეთა ზაქარია სიდამონ[იძე] სა, იოსებ წინამძღვრიშვილსა და იოანე ქართველიშვილსა“ [1].

ამრიგად, იოანე ქართველიშვილის პიროვნება და ღვაწლი მრავალმხრივ საინტერესოა ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით: 1. იგი ჩვენს ყურადღებას იპყრობს როგორც მემუარისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 2. როგორც გამოჩენილი პედაგოგი, რომელსაც ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ღირსეული ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს[2]; 3. იოანე ქართველიშვილი იყო თავისი დროის კვალობაზე თვალსაჩინო ენათმეცნიერი, ავტორი ქართული ენის გრამატიკისა, მიღებული ჰქონდა ფილოსოფიური განათლება და ასწავლიდა ლოგიკას, იყო მცოდნე რუსული ენისა და მთელ რიგ ნაწარმოებთა მთარგმნელი რუსულიდან; 4. იგი ცნობილი იყო როგორც კარგი გადამწერი სასულიერო და სამეცნიერო წიგნებისა.

---

[1] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 182, 183 და 184. ვსარგებლობთ ყველგან ა. გაწერელიას გამოცემით.

[2] პროფ. გ. თავზიშვილი იცნობს ი. ქართველიშვილის „მემუარებს“, მაგრამ „მემუარებში“ დაცულ პედაგოგიურ შეხედულებათა განხილვის ცდა მას არ მოეპოვება. მიუთითებს კი, რომ „იოანეს ძვირფასი პედაგოგიური იდეები გაბნეულია მის „მემუარებში“, რომელიც ჯერ კიდევ არაა გამოცემულიო“ (ნ. მისი „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801—1870 წ. წ.“, თბილისი, 1948 წ., გვ. 177).

## თავი მეორე

### მემუარები როგორც ისტორიული წყარო

ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის ამ საყურადღებო ძეგლს წინამდებარე გამოცემაში სრული სახით პირველად ეცნობა მკითხველი. იოანე ქართველიშვილის მემუარები ხასიათდება უბრალოებით, გულწრფელობით, მრავალმხრივობით და იკითხება შეუნელებელი ინტერესით. იოანეს მემუარები ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის თავისებური ტრაქტატია, რომელშიც ავტორის პირადი ცხოვრება-თავგადასავალი მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ისეთი შერწყმითაა დახატული, რომ მკითხველს ცოცხლად წარმოუდგება თვალწინ საქართველოს იმდროინდელი ყოფა თავისი ავ-კარგით. ავტორი, როგორც ვიცით, შვილებისთვის წერდა თავის ამ ნაწარმოებს. ერთგან იგი ამბობს: „უკეთუ ჰნებავს ღმერთსა საჴსოვრად რაიმედ გაქვნდესთ თქვენ, ძეთა ჩემთა,.. აღწერილი ესე“-ო. ამრიგად მემუარები, პირველ ყოვლისა, არის შვილებისათვის დაწერილი მამის ანდერძი, ამასთანავე ავტობიოგრაფია და თავგადასავალი.

ამ ნაწარმოებში მკაფიოდ არის აღწერილი აღა-მაჰმად-ხანის ველური შემოსევა და თბილისის აოხრება. მემუარებში ასევე საყურადღებო ცნობებია დაცული ერეკლეს გარდაცვალებისა და გიორგი XII-ის გამეფების პირობების შესახებ, გიორგი XII-ის უდღეო ჵეფობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ „რეფორმასა“ და სხვა ისტორიულ მოვლენებზე; მემუარებში დაწვრილებითაა გადმოცემული გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ უფლისწულთა შორის ატეხილი ბრძოლა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის.

* *

ცნობილია, რომ საქართველოში მოვლენილი მუსინ-პუშკინი ჯერ კიდევ 1800 წლის 17 დეკემბერს ვრცელი მოხსენებითა და საქმიანი წინადადებით წარდგა იმპერიის სახელმწიფო საბჭოში[1]. მუსინ-პუშკინი საბჭოს არწმუნებდა, რომ მეფე გიორგი XII-ის დღეები დათვლილია, ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ „იმპერატორი მფარველის სახელით დაეპატრონოს საქართველოს“[2].

ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის მხედრობა გენ. ლაზარევის მეთაურობით და მასთან ერთად მოქმედებდა მეფის რუსეთის ერთგული მოხელე კოვალენსკი. ცარიზმისათვის იმთავითვე გამორკვეული იყო, რომ კოვალენსკი საქართველოში მოემგზავრებოდა „არა როგორც შუამავალი, არამედ როგორც გუბერნატორი“, რადგან რუსის ჯარს საქართველოში ამ ქვეყნის მფარველობის გარდა სხვა მისიაც ეკისრებოდა[3]. 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა მანიფესტი საქართველოს

---

[1] მუსინ-პუშკინზე ბევრად ადრე გრაფი ვალერი ზუბოვი არა ერთგზის არწმუნებდა და განუმარტავდა იმპერატორს და სახელმწიფო საბჭოს საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდ სტრატეგიულ და ეკონომიურ მნიშვნელობას.

[2] Архив Гос. Совета, II, 1888 წ., 1881—1882.

[3] Н. Дубровин, Георгий XII, С.-Петербург, изд, II, გვ. 189.

რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იყო გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე ექვსიოდე დღით ადრე — 1800 წ. 22 დეკემბერს.

1801 წ. 14 თებერვალს თბილისში მიღებულ იქნა პავლე იმპერატორის ორი რესკრიპტი, ერთი ხალხის, მეორე— უფლისწულ დავითის სახელზე (ხელმოწერილი იყო 18 იანვარს). ეს რესკრიპტი 16 თებერვალს წაიკითხეს სიონის ეკლესიაში. საქართველოდან რუსეთში გაიგზავნა დელეგაცია ფიცის მისაღებად. რუსეთს გაემგზავრენ მეფის ძენი: იოანე, ბაგრატი და მიხეილი. ამ საქმის ფაქტიური ორგანიზატორი გენ. ლაზარევი კარლ კნორინგს სწერდა: „წელიწადნახევარია აქ ვცხოვრობ და დღემდე არ მინახავს ასეთი ნამდვილი და სრული კმაყოფილება, როგორიც ახლა მეფობს. მანიფესტის მიღების დღიდანვე როგორღაც ყოველივე ხელახლა დაიბადა და გამოცოცხლდა“ [1].

სინამდვილეში ეს იყო რელაცია, ხოლო საქმის ფაქტიური ვითარება არსებითად განსხვავდებოდა. ნ. დუბროვინის ცნობით, უგავლენიანესი თავადები აშკარად აღუდგნენ წინ ამ აქტს და ამიტომ ისინი „კნორინგის განკარგულებით დააპატიმრეს“ [2].

პავლე იმპერატორის ბრძანებით, 1801 წ. 6 მარტს სენატის მიერ რუსეთიდან საქართველოში გამოგზავნილ იქნა მმართველ მოხელეთა პირველი შემადგენლობა.

1801 წ. 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა საქართველოში სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტს. ამ მანიფესტის საფუძველზე კნორინგი 1802 წ. მაისში ქართულ ენაზე 4.000 ცალად დაბეჭდილ მოწოდებას აქვეყნებს მანიფესტითურთ [3].

---

[1] „Акты“, I, გვ. 516.

[2] Н. Дубровин. Закавказье от 1603—1806 года, СПБ. 1866 г., стр. 33.

[3] პლ. ი. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 224.

ჯერ კიდევ პავლე იმპერატორი სწერდა კ. კნორინგს: „Я хочу, чтобы Грузия... была губерния“ [1]. კნორინგი იმ პერიოდში დროებით რუსეთში გაიწვიეს. სულ მალე, 1802 წ. 9 აპრილს, კნორინგი უკვე საქართველოში დაბრუნდა [2], ხოლო, ი. ქართველიშვილის ცნობით, „12 აპრილს ეკლესიასა შინა სიონისასა, ნინას ჯვარსა ზედა, რომელთა თანა ვიყავ მეცა... აღსრულდა წარკითხვა მანიფესტისა და დაფიცება“. ი. ქართველიშვილის ამ ცნობას ეთანხმება დავით ბატონიშვილიც, როცა იგი წერს, რომ „წელსა 1802 მოვიდა კვალად კნორინგი. აფუცნა ერნი ერთგულებასა როსიისასა“ [3].

ერთგულების ფიცის მიღებისას სიონში იმყოფებოდნენ აგრეთვე „ღენერალი რუსთა ჯარისა ლაზარევი, გულიაკოვი, კარიაგინი და კოვალენსკიცა, ელჩად რუსეთისა ყოფილი თფილისს მეფისა კარზე. 10.000 რუსეთისა ჯარი იდგა და იცავდა საქართველოსა“ [4].

ამ ფიცის მიღებიდან სულ მალე რუსული მმართველობის სისტემა მკვიდრდება საქართველოში.

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო და სამხედრო საქმეთა გამგებელი მთავარსარდალი იყო. ამ თანამდებობაზე გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი დაინიშნა. საკუთრივ „საქართველოს უზენაესი მთავრობის“ ფუნქციები უშუალოდ პ. კოვალენსკის მიენდო. იგი კარგად იცნობდა საქართველოს.

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, აღნიშნულ პერიოდში მშვიდობის აღდგენა შეუძლებელი გახდა. სისტემატური მღელვარება და მასთან დაკავშირებული ცარიზმის სასტიკი რეპრესიები ამ პერიოდის დამახასიათებელი მოვლენაა. ქვეყნის ამ დაძაბულ მდგომარეობას უფრო ამწვავებდა სამეფო ოჯახის წევრთა პირადი უთანხმოება-

---

[1] „Акты“, т. I, стр. 414.

[2] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 233.

[3] დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია“ თ. ლომოურის რედაქციით.

[4] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 245.

ნი. კვლავ გრძელდებოდა ლეკთა შემოსევები. ასე იყო 1803 წლამდე, ვიდრე ქვეყნის გამგებლად აქ გენერალი პ. ციციანოვი არ იქნა დანიშნული. პ. ციციანოვმა დალაშქრა ლეკეთი, რუსეთში გადაასახლა სამეფო ოჯახის წევრები და საქართველოში განამტკიცა ცარიზმის კანონები.

რუსეთის დამკვიდრება საქართველოში ამისდა მიუხედავად დადებითი მოვლენა იყო, რადგან: „რუსეთი... იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა"[1].

იოანე ქართველიშვილის მემუარებში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამკვიდრების ამ უაღრესად დაძაბული ისტორიული სინამდვილის სურათია წარმოდგენილი.

იოანე ქართველიშვილი თავის მემუარებში საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდს თითქმის დაწვრილებით ეხება და მას რუსეთის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. იგი გვერდს არ უვლის რუსეთის ისტორიის ზოგიერთ ფრიად ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენას, თარიღსა და ფაქტს აღებული პერიოდიდან. ეს გარემოება ადვილი ასახსნელია: საქართველოს პოლიტიკური ბედი ამ პერიოდიდან იმგვარად გადაეჯაჭვა თვითმპყრობელური რუსეთის ბედს და მოექცა მის ორბიტში, რომ ავტორი გვერდს ვერ აუქცევდა ამას. მემუარებში არა ერთხელაა მოხსენიებული რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე. იოანე თითქოს გაუოცებია რუსეთიდან მოსულ რესკრიპტს, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ეკატერინეს სიკვდილი იყო უბედურება საქართველოსიო"[2]. ასევე მოხსენიებულია მემუარებში იმპერატორ პავლეს

[1] ნ. ბერძენიშვილი. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950 წ. გვ. 424.

[2] თუ როგორი მწუხარებით შეჰგებებია ამ ფაქტს საქართველოს სამეფო ოჯახი, ამის შესახებ პლ. იოსელიანი გვაუწყებს: „გარდაც-

როგორც გამეფება, ისე გარდაცვალება. იოანეს მემუარები იმითაც არის საინტერესო, რომ შეიცავს მრავალ ცნობას რუსი მხედართმთავრების, მოხელეებისა და სხვა უფრო დაბალი სამხედრო ხარისხის მქონე პირთა შესახებ, მაგალითად, ბურნაშოვის, კნორინგისა და კოვალენსკის შესახებ. მათ შორის იოანე ეხება პოლკოვნიკ სირეხნოვის ჩამოსვლას 1795 წ. ნოემბერში, ზუბოვისას — 1796 წელს, ზუბოვის უკანვე გაწვევას ჯარით, ეკატერინეს გარდაცვალების გამო, და იმავე ზამთარს კურციკოვის მოსვლას საქართველოში 6.000 ჯარისკაცით. იოანე სურამს ჩაყენებული რუსული გარნიზონის ვინმე „კაპიტანის პართენ ეკტიმიჩის" შესახებაც კი მოგვითხრობს თავის მემუარებში. მან იმერეთიდან ქართლში მომავალი იოანე ორი კვირით, „ვითარცა პყრობილი", სურამში დააკავა, ვიდრე „ბილეთს" მისცემდა თბილისში წამოსასვლელად.

ამრიგად, იოანე ქართველიშვილის მემუარები ღირსშესანიშნავ ისტორიოგრაფიულ ძეგლს წარმოადგენს, მასში უხვად წარმოდგენილი ისტორიული თარიღებით, ფაქტებით, პიროვნებებით, ავტორი გვევლინება ისტორიული მოვლენების რამდენადმე ობიექტურ ამსახველად. ის დამაჯერებლად გადმოგვცემს იმ დაძაბული ისტორიული ვითარების დამახასიათებელ ამბებს, რომელთა მომსწრე და მნახველი თვითონ იყო. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ის სისადავე და გულწრფელობა, რომელიც ბოლომდე გასდევს ტექსტს. ამდენად მემუარები სანდო ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

---

ვალებისა გამო 6 ნოემბერს იმპერატრიცასი ეკატერინასი, ბრძანებითა მეფისა ირაკლისა 23 დეკემბრით ჩაიცვა თვით შავი და დასდვა გლოვა 40 დღით საუფლისწულოთა და სამეფოსა თვისსა" (პლ. იოსელიანი, „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა").

# თავი მესამე

## მემუარების ტექსტის კრიტიკა

### ა) წყაროები, რომლებითაც ავტორს უსარგებლია

მემუარებში ამ საკითხის გასარკვევად რამდენიმე თავისებური ცნობა მოიპოვება. იოანე თავის მემუარებში პირველ გვერდზე იუწყება იმ „წყაროების“ შესახებ, რომლებსაც იგი მემუარების წერისას ეყრდნობოდა; იოანე წერს: „რომელიცა არს მეხსიერებას შინა ჩემსა, ანუ ხილული ჩემგან და ანუ მოთხრობილი წინაპართა ჩემგან დღითგან შობისა ჩემისა ვიდრე აქამომდე“-ო. ტექსტის სხვა ადგილას იოანე აუწყებს შვილებს: „რაც მახსოვდა წარსული თავსა ზედა ჩემსა ქმნილი საქმენი, ყოველივე ამას ზევით აღვწერე და შემდგომი უწყის ღმერთმან, შვილო შიო და გაბრიელ!“

უნდა ვიფიქროთ, რომ გარდა საკუთარი მეხსიერებისა იოანე ქართველიშვილი მემუარების წერისას ეყრდნობოდა „მოსაგონებელნი რიცხვნის“ წიგნსა და

„შემოსავლის ნუსხას“, რომელთაც იგი წლების გან-მავლობაში აწარმოებდა და შემდეგ მისი მემუარების ორგანული ნაწილი შეიქნა.

ცხადია, „მოსაგონებელნი რიცხვნის“ პირველი ნაწილი იოანე ქართველიშვილს უწარმოებია უფრო ადრე-ვიდრე იგი თავისი მემუარების წერას შეუდგებოდა. 1795 წლიდან 1802 წლამდე მომხდარი ამბები მთლიანად შეუტანია მემუარებში. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „მოსაგონებელნი რიცხვნში“ ხელაღებით გამოტოვებულია 9 წლის ამბები (1795-იდან 1804 წლამდე), ამასთან ავტორისათვის მნიშვნელოვანი ისეთი ამბავიც კი, როგორიც არის შვილების შეძენა, მაგალითად: თებრონიას დაბადება 1796 წლის თებერვალში, სოფიოს დაბადება 1798 წლის სექტემბერში და გაბრიელის დაბადება 1800 წლის იანვარში. სამაგიეროდ, ამ პერიოდის ამბები (კერძოდ, საოჯახო ამბები და შვილების შეძენა) მეტად ვრცლად და საფუძვლიანად არის აღწერილი მემუარებში. ამრიგად, უდავოა, რომ ერთ-ერთ წყაროდ თავისი მემუარების წერისას იოანეს გამოუყენებია „მოსაგონებელნი რიცხვნი“.

მემუარები 1802 წლის ამბებზე წყდება შემდეგი სიტყვებით: „გარნა შემდგომი უწყის მხოლოდ განგებამან საღმთომან“. ამის შემდეგ (წინა პერიოდის ჩათვლით ვიდრე 1812 წლამდე) მემუარებს რამდენადმე ცვლის მშრალი შემოსავლის ცხრილი, ე. ი. „შემოსავლის ნუსხა“ (გვ. 98—108) და „მოსაგონებელნი რიცხვნი“ (გვ. 94—107).

იოანე რომელიმე ფაქტის აღსადგენად ხშირად ემყარებოდა საკუთარ მეხსიერებას; იქნებ ამით აიხსნებოდეს ტექსტში შემჩნეული ისეთი შესწორება, როგორიცაა: „მარტს“ წაშლილია და დაწერილია „აპრილს“ ავტორისავე ხელით და სხვ.

ზემოთ დავრწმუნდით, რომ როცა იმერეთში მყოფი იოანე ქართლისა და კახეთის ამბების გადმოცემას ცდილობდა, თავის მემუარებში იგი უდავოდ იყენებდა აქე-

დან მიღებულ „წიგნებს“ თუ „ჰამბებს“ და ლიტერატურული თუ ზეპირი ხასიათის სხვა ცნობებს.

ცნობების სიმცირე საერთოდ არ იგრძნობა იოანეს მემუარებში. ჩანს, ავტორი ბევრის მომსწრე და მნახველი იყო, როგორც მეფის ოჯახთან[1] დაახლოებული პირი. იოანე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების

---

[1] იოანე ქართველიშვილს, როგორც თავისი დროის განათლებულ ადამიანს, სასულიერო პირსა და პედაგოგიურ მოღვაწეს, უფლისწულ იულონის ოჯახში პატივს სცემდნენ და მოკრძალებით ექცეოდნენ სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც. მაგალითად, დარეჯან დედოფალი იოანეს მზრუნველი და პატივისმცემელი იყო გაჭირვების მძიმე წუთებში. ალექსანდრე ბატონიშვილს იოანეს უფროსი შვილი შიო მოუნათლავს. იოანეს მეორე ვაჟი, გაბრიელი, მოუნათლავს მეფის ძის ძეს ლეონს. ლეონის აღმზრდელი და მასწავლებელი ხომ თვით იოანე იყო. „ეს ლეონ იყო უფროსი შვილი იულონისი, მხნე, გამბედავი და გულადი, ათსა წელსა მდევნელი ბედისა და ვერ ღირსებული ბედის მოღალატისა“, — გვაუწყებს პლ. იოსელიანი (ნ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 161). ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, „1812 წელს ოქტომბრის 26 წარემართა ოვსეთით ახალციხეს მეფის ირაკლის ძის ძე, ძე იულონისა ლეონ. მისრულნი ესენი ხეობაში პეტრეს ციხესა, ისტუმრეს ლეკთა... და რა განუსვენეს, მძინარე ლეონ მოკლა ლეკმან“ (ნ. „ახალი მოთხრობა“, გვ. 117). პლ. იოსელიანის ცნობით, ლევან „მოიკლა ზაკვით და მოსყიდვით ოსისაგან“ (ნ. მისი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 16). თარიღად იგი მიიჩნევს 1810, თუ 1811 წელს; 1794 წელს იოანე მიწვეულ იქნა იულონთან, როგორც მოძღვარ-მასწავლებელი უფლისწულისა, იოანე გვაუწყებს: „ვმსახურობდი... ძესა მისსა წიგნის კითხვითაო“ (ნ. მემუარები).

იულონ ბატონიშვილის ვაჟი ლეონი თავგამოდებით იბრძოდა და ახერხებდა ხალხის აჯანყებას რუსული მმართველობის წინააღმდეგ, იგი დაკავშირებული იყო ალექსანდრე ბატონიშვილთან. „Пробившись через Ахалцих, Имеретию и Рачу в Лиахвское ущелье, Леван 26-го июля 1810 года прибыл в селение Кехви и отсюда обратился к грузинским князьям с воззванием, приглашая их присоединиться к нему“ (ნ. „Утверждение русского владычества на Кавказе,“ თბილისი, 1902, გვ. 228).

დასახელებულ ნაშრომშივე ვკითხულობთ, რომ საქ. მთავარმართებელმა ტორმასოვმა მტკიცედ გადაწყვიტა: „Но иметь никакой пощады к бунтовщикам. Но в то же время, надеясь еще образумить Левана мерами кротости, подписал послать к пос-

კურსში იყო, ზოგჯერ როგორც მისი უშუალო მონაწილე, უფრო ხშირად კი — მხილველი. დაკვირვებული და განათლებული მწერლის კალამს, რასაკვირველია, არ გაუძნელდებოდა თვალით ხილულის და გაგონილის აღწერა.

## ბ) როდის და სად იწერებოდა იოანეს მემუარები

იოანე ქართველიშვილს მემუარების წერა დაუწყია მას შემდეგ, რაც იგი იულონ ბატონიშვილთან ერთად იმერეთში გადაიხვეწა. ეს იყო 1801 წლის 3 თებერვალს.

იოანე რომ იმერეთში შეუდგა თავისი მემუარების წერას, ამას ავტორი ტექსტის დასაწყისშივე გვაუწყებს. „დასაბამითგან წელსა 7309, ქრისტეს აქეთ 1801 ქრონიკონს უპთ თთვესა სეკდემბერსა 10... სასაყდროსა ქალაქსა შინა იმერეთისასა ქუთაისს, ეზოსა სამეფოსა, გულად მივიღე აღწერა შემდგომთა განცხადებათა ვითარებათა ჩემთასა“. სხვა ადგილას ავტორი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, თუ როდის შეუდგა იგი მემუარების წერას: „ამის წერას სეკდემბრის 10 მოვყევ“. თუმცა იოანეს 1801 წლის 10 სეკდემბერს დაუწყია ქუთაისში მემუარების წერა, მაგრამ იმის გამო, რომ მან იმერეთში 1802 წლის 31 იანვრამდე დაყო, ვერ მოუსწრია მისი დასრულება. როგორც ტექსტიდან ირკვევა, მემუარების დიდი ნაწილი მაინც იმერეთში დაუწერია იოანეს.

---

леднему для усовещевания протоиерея Картвелова как бывшего воспитателя царевича“ [„Предписание Тормасова ген.-майору Ахвердову от 2-го августа 1810 г. № 751 (см. „Утверждение русского владычества на Кавказе“, том II, Тифлис, 1902 г., стр. 229)]. ჩანს, იოანეს სხვებთან ერთად უსაუბრია ლეონთან მისი რუსებთან მშვიდობიანად შერიგების მიზნით, რის შედეგადაც ქართველიშვილი იძულებული გამხდარა მოეხსენებინა ტორმასოვისათვის: „Сей мальчик, закоренелый в дикости, не имея чувствований преданности ни к отечеству своему, ни даже к родителю“ (там же, стр. 134).

ტექსტიდან ჩანს, რომ 1802 წლის აგვისტოში თბილისში, ავლაბარში, მყოფი იოანე კვლავ აგრძელებს მემუარების წერას. 1802 წლის „აგვისტოს 7 აღვწერე პუნქტი ესე, ვიდრე ამად ადგილამდე“ (გვ. 92). ან კიდევ (იმავე 1802 წელს): „აწ უკვე ვიმყოფები კვლად ტფილისს შინა, მსახურებასავე შინა დედოფლის დარიას, აწ უკვე დაწყებასა შინა თთვისა დეკემბრისასა და ვწერცა პუნკტსა ამას“, წერს იოანე (გვ. 93).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მემუარების წერა იოანე ქართველიშვილს დაუწყია 1801 წლის 10 სექტემბერს ქ. ქუთაისში და შეუწყვეტია 1802 წლის დეკემბრის დამდეგს ქ. თბილისში. მაშასადამე, მემუარები იწერებოდა ერთი წლისა და ოთხი თვის მანძილზე. ამასთან ერთად საინტერესოა საკითხი მემუარების რომელი ნაწილი როდის და სად დაიწერა?

იოანე ქართველიშვილი გადმოგვცემს: „ამის წერას სექდემბრის 10 მოვყევ. დღეს ოკდომბრის ორი არის, რომ მოვაწიე აქამდინ დავწერე“. ამრიგად, პირველი გვერდიდან 23-ე გვერდამდე ავტორს უწერია 22 დღის განმავლობაში ქ. ქუთაისში. ავტორი ფიქრობს, რომ მან მეტად ცოტა ამბების აღწერა მოასწრო დასახელებული დღეების განმავლობაში. „ჩამორჩენილობის“ მიზეზს იგი ასე განუმარტავს შვილებს: „უფრო მალე დავწერდი, მაგრამ მეფის ძემ ფარნაოზმა მეორე ტომი ღუთისმეტყველება მათხოვა, იმას ვკითხულობდი და ეს კი დამრჩა“ (გვ. 87).

მემუარების დიდი ნაწილი (უდავოდ წინასწარ შერჩეულ მასალაზე დამყარებით) იოანემ 22 დღის განმავლობაში დაწერა (დროგამოშვებით და არა ერთბაშად, გარდა „მოსაგონარნი რიცხვნისა“ და შემდეგ მომდევნო 6 გვერდი „შემოსავლის ნუსხისა“), დაწყებული 1801 წლის ოქტომბრის 2-იდან ვიდრე 1802 წლის დეკემბრამდე აუწერია. იოანე გვაუწყებს; „წელიწადსა 1801 ქრონიკონსა უპთ, ოკდომბრის ვ(6) ამის წერა შევასრულე“. ამ დროს იგი ქუთაისში იყო და მემუარებს

წერდა „სამეფოს კარის საყდრის კარის ბჭეში“ (იქვე). 1802 წლის დასაწყისში იოანე ისევ ქუთაისშია და განაგრძობს მემუარების წერას. „1802 წელს იანვრის 1 ვარ ქუთაისს... ვწერ ამას (მემუარებს,—ა.ი.) ჟამისა მწუხრის დარეკვისასა“. ხოლო 1802 წლის 31 იანვარს იოანე ტოვებს ქუთაისს და ქართლში გამოემგზავრება. ასე რომ მომდევნო ამბების აღწერას აღმოსავლეთ საქართველოში განაგრძობს. 1802 წლის აგვისტოში თბილისში მყოფი იოანე გვაუწყებს: „დღესა ამის აგვისტოს 7 ავწერე პუნკტი ესე, ვიდრე ამად ადგილადმდე“-ო. მაშასადამე, მემუარების 26 გვერდიდან 28 გვერდამდე ავტორს დაუწერია თბილისში 1802 წლის 7 აგვისტოს, ხოლო მემუარების დასასრული, ე. ი. უკანასკნელი 28 გვერდი დაუწერია 5 თვის შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში, ისევ თბილისში.

მემუარების ბოლო ნაწილიდან ჩანს, რომ ავტორი კვლავინდებური გულმოდგინებითა და სიყვარულით აღარ განაგრძობს მემუარების წერას, თითქოს ამიერიდან აღარაფერი დარჩენოდეს მას სათქმელი. მკითხველი და, პირველ ყოვლისა, ალბათ, ავტორი რწმუნდება, რომ ასე გაგრძელებული მემუარები ნაკლებად საინტერესო იქნება, ამიტომ თითქოს ბუნებრივი აუცილებლობით წერტილი უნდა დასმოდა მას. ასეც მოხდა: მემუარები მოულოდნელად წყდება 1802 წლის დეკემბრის ამბებით. სამაგიეროდ „მოსაგონებელნი რიცხვნი“ და „შემოსავლის ნუსხა“ გრძელდება 1812 წლამდე.

## გ) რა მიზნით წერდა იოანე მემუარებს

ავტორის ზრახვები, რომლებიც მას თავისი მემუარების წერისას ამოქმედებდა, ერთი შეხედვით, მეტად ვიწროა და განისაზღვრება წმინდა საოჯახო, პრაქტიკული ინტერესებით. იოანე ქართველიშვილი მემუარებს შვილებს უტოვებს სახსოვრად. იგი წერს: „სახსოვრად

რაჲმედ გაქვენდესთ თქვენ, ძეთა ჩემთა, შიოს და გაბრიელს, აღწერილი ესე-“ო. მემუარებს ბოლომდე გასდევს მშობლიური გულწრფელობა და თხრობის მამაშვილური კილო. იოანეს ყოველთვის თვალწინ უდგანან თავისი შვილები — შიო და გაბრიელი; იმერეთში გადახვეწილი მწუხარებით საუბრობს მათთან. მაგალითად, იოანე წერს: „ვარ ქუთაისს, მწუხარებითა თქვენითა გარემოცული, ვწერ ამას ჟამისა მწუხრის დარეკისასა“. თავის მემუარებში იოანე ძალიან ხშირად ასე მიმართავს შვილებს: „მიგითხრა, შვილო ჩემო შიო“; „იქნებ შენც გახსოვდეს, შვილო შიო, და იქნებ არა“; ან კიდევ: „შვილო შიო და გაბრიელ!“ და სხვ.

რას მოუთხრობს იოანე შვილებს? პირველ ყოვლისა, საკუთარ თავგადასავალს თავისი დაბადების დღიდან ვიდრე 1802 წლამდე (ნაწილობრივ 1812 წლამდეც), ამასთან იგი პოულობს შემთხვევას გააცნოს შვილებს თავისი წინაპრების ვინაობა, „თუ ვინაჲთ არს ადგილობა ჩვენი და ვითარ“ და სხვ.

აღნიშნულს გარდა, მემუარების წერის დროს იოანეს პრაქტიკულ-საოჯახო ინტერესები ამოძრავებდა: იგი მემუარების სახით ანდერძს უტოვებდა სიცოცხლეშივე (გარკვეული ისტორიული პირობების გამო) ჩამოშორებულ შვილებს. საფიქრებელია, იქნებ ეს უკანასკნელი მოტივი გახდა მემუარების წერის საბაბი.

ქონებრივ-საოჯახო ინტერესები და შთამომავლობის წინაშე პასუხისმგებლობა მოსვენებას არ აძლევდა და საგონებელში აგდებდა ქუთაისს გადახვეწილ, წვრილი შვილების პატრონ იოანეს. იგი თითქოსდა პატიებას ითხოვს შვილებისაგან, როცა გულისტკივილით წერს: „ყმა არა გრჩებათ, მამული და სხვა ასეთი რამ, იმის გარიგება ანდერძად დაგიწერო“-ო. ტექსტიდან ჩანს, რომ იოანეს საკმაოდ უზრუნვია ყმისა და მამულის მოსაპოვებლად. იგი წერს: „ჩემი ამას ზევით რაც მწუხარება სწერია... ახლაც იმერეთში გადმოყოლა...

ეს მიზეზი არის, რომ თქვენთვის საბოლოო რიგიანი ბინა მინდა დამეგდო", და იქვე აუწყებს შვილებს: „სანამდინ იმერეთში გადმოვყვებოდი ბატონისშვილს, [იულონისგან] მანამდიხვე წიგნი მაქვს ნაბოძები 1797 წელიწადს ქრონიკონსა უპე, 495 მეორე ანუ შუა აზნაურ შვილის შესაფერი ყმა და მამული ჩემგან მოგეცემა... პატივი და სისხლიც შუა აზნაურ შვილისა უნდა გქონდესო. ჩემი ცდა ეგ იყო, რომ ამისათვის სისრულე მიმეცა... და ახლაც ეს არის".

ქართლიდან იმერეთს გადახვეწილი იოანე ანაზდად წარმოიდგენს, რომ იქნებ არც კი ეღირსოს შვილების ნახვა, მაშასადამე, თავისი ზრახვების განხორციელებაც. ამიტომ იგი წერს: „ვინ უწყის, შვილნო, თუ ჩემი ცოდვით თქვენი ნახვა აღარ მეღირსოს... რა ვიცი რა მეწიოს. ახლა რომ არც ერთს ჭკუა და გონება არა გაქვსთ, ყმაწვილები ხართ: სრულ ჰასაკში რომ მიიწიოთ, თუ ამ ჩემგან დაწერილმა თქვენთან მოაწიოს და ნახოთ ჩემი საქმე ყოველივე ასე იუწყეთ"-ო. აღნიშნულს გარდა, იოანე იქვე ჩამოთვლის, თუ რა და როგორ „იუწყონ" შვილებმა, ამისთვის უტოვებს მათ რამდენიმე მუხლისაგან შემდგარ დარიგებას თუ ანდერძს. დასასრულ, წვრილი შვილების გულშემატკივარი მამა ღმერთს ევედრება: „ნუგეშინის მცემელო სულო წმიდაო, ნუ განმიყვანებ მე კერძთაგან დღეთა ჩემთასა"-ო (გვ. 89)

ასეთია ზოგადად ის მიზეზები, რომლებიც ამოქმედებდა ავტორს მემუარების წერის დროს. იოანეს სჯეროდა, რომ თუ თვითონ დაიღუპებოდა და ვერ ეღირსებოდა შვილების ნახვას, მისი „დაწერილი" მაინც მიაღწევდა შვილებამდე და „სისრულეს მიეცემოდა".

იმერეთიდან ქართლში დაბრუნებული იოანე, განაგრძობს მემუარების წერას, მაგრამ მეტად შენელებული ინტერესით: სულ 6 გვერდი დაწერა აქ და იგრძნობა ნაძალადევად. სამაგიეროდ, ეტყობა, ამის შემდეგ იგი დიდი გულდასმით ადგენდა საოჯახო შემოსავლის ნუსხებს.

## დ) ძეგლის ლიტერატურული გარემო

შვილებისადმი ანდერძობრივ საოჯახო-საყოფაცხოვრებო მასალასა და პირად თავგადასავალზე დაყრდნობილი, მამაშვილური გულწრფელობით აღსავსე მემუარული ჟანრი პირველად ჩვენს მწერლობაში შესანიშნავი ოსტატობით დაამკვიდრა მე-18 საუკუნის ცნობილმა მოღვაწემ იესე ოსეს ძე ბარათაშვილმა [1].

იოანე ქართველიშვილის მემუარებს გარკვევით ემჩნევა იესე ოსეს ძის „ცხოვრება-ანდერძის" გავლენა. ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იოანეს ხელი მიუწვდებოდა იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძზე". იესე ბარათაშვილი იოანე ქართველიშვილის თანამედროვე იყო (იოანე 1772 წ. დაიბადა, იესე კი 1786 წ. გარდაიცვალა) და, შესაძლებელია, პირადადაც კი იცნობდა იესეს. გარდა აღნიშნულისა, თვით იოანე ქართველიშვილის მემუარებში დაცული ზოგი ცნობა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს.

მემუარებიდან ვტყობილობთ, რომ 1794 წ. იოანე ქართველიშვილს „მოძღვრად მასწავლელად ფიზიკისა და საღმრთოჲსა დამასკელის ოთხნაწილოვან წიგნისა პროტოპაპი სიონისა, ოსეს ძე იოანე" ჰყოლია. იოანე ოსეს ძე, თავისი დროის დიდად განათლებული მოძღვარი და დიდი მწიგნობარი, ღვიძლი ძმა იყო იესე ოსეს ძე ბარათაშვილისა. იგი დაიბადა თბილისში 1750

---

[1] რაც შეეხება უცხო ქვეყნების მოხილვას, მოგზაურობებს და სხვა სახის რამდენადმე მსგავსსავე მემუარულ ჟანრს, მაგალითად, როგორიცაა: საბას მოგზაურობა, გაბრიელ გელოვანის, ამილახვრისა და სხვ. ანალოგიური ხასიათის ძეგლები, ისინი არსებითად განსხვავდებიან იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძისა და იოანე ქართველიშვილის მემუარებისაგან; ამ უკანასკნელთ ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ანდერძს შვილებისადმი და საოჯახო-სათავგადასავლო მემუარულ ჟანრს ჩვენს მწერლობაში. ეს პრობლემა გარკვეულია ჩვენს სადისერტაციო შრომაში, რომელიც დაცულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში.

წელს. „იოანე ჩემი ძმა“, — არა ერთგზის გვაუწყებს იესე. დასაშვებია, რომ იოანე ქართველიშვილს იოანე ოსეს ძის მეშვეობით ჩავარდნოდა ხელში იესეს „ცხოვრება-ანდერძის“ ხელნაწერი ტექსტი და ამ გზით განეცადა ქართველიშვილს „ანდერძის“ ლიტერატურული გავლენა.

ვრწმუნდებით, რომ იოანე ქართველიშვილს მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონია იესე ბარათაშვილის შვილებთან. ირკვევა, იოანე ქართველიშვილი დაახლოებული ყოფილა იესე ბარათაშვილის ვაჟთან დავით ბარათაშვილთან, რომელიც სათავეში ჩაუდგა იესეს დიდ მეურნეობას მამის გარდაცვალების შემდეგ. იოანე ქართველიშვილს 1798 წელს შვილი შესძენია, იგი „იესე მდივნის ძეს დავითს“ მოეანათლინეო, გვაუწყებს იოანე.[1]

დავითი რომ იესე ოსეს ძე ბარათაშვილის შვილია, ამას ადასტურებს თვით იესე თავისავე „ცხოვრება-ანდერძში“, როცა წერს: „ამის წერაში რომ ვიყავი ღმერთმა წყალობა მიყო, პაწაწა დავითი დაიბადა“. 1768 წელსო[2]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იოანე ქართველიშვილი კარგად იყო დაახლოვებული იესე ბარათაშვილის ოჯახთან; იგი ნათელმირონობით იყო დაკავშირებული მის შვილთან დავითთან; ხოლო მას-

---

[1] იოანე ქართველიშვილს დავით იესეს ძე ბარათაშვილი იულონ ბატონიშვილის ოჯახშიაც შეეძლო გაეცნო. იესეს „ანდერძიდან“ ვიცით, რომ იესემ თავისი შვილი, მცირეწლოვანი დავითი, იულონ ბატონიშვილის ცოლს მიჰგვარა: „პაწაწა ყურუხჩათ“ იყოლიეო („ცხოვრება-ანდერძი“, გვ. 92). ჩვენ არ ვიცით რამდენ ხანს დაჰყო იქ დავითმა, მაგრამ ვიცით, რომ 1795 წ. იოანე ქართველიშვილი განუყრელად დაუკავშირდა იულონის ოჯახს და ამგვარი დამოკიდებულების შედეგად იოანეს შეეძლო ჯერ გასცნობოდა და დაახლოებოდა, შემდეგ კი შვილი მოენათლინებინა დავით იესეს ძე ბარათაშვილისათვის. ამგვარ ვითარებაში საკვირველი არ არის, რომ თვით დავითისაგან ჩაევარდნოდა ხელთ იოანე ქართველიშვილს იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“.

[2] ნ. იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“, ჩვენი გამოც., 1950 წ., გვ. 50—51.

წაველბლად იესეს ძმა იოანე ჰყავდა. ყველა ამის შემდეგ, ვფიქრობთ, სავსებით შესაძლოა მას სცოდნოდა იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ და მისი გავლენა უშუალოდ განეცადა. მართლაც ლიტერატურული გავლენა იმდენად აშკარაა და ცხადი, რომ ამ ორი მემუარული ძეგლის მსგავსების მტკიცება ზედმეტად მიგვაჩნია. უფრო მიზანშეწონილად ვთვლით ვიმსჯელოთ განსხვავებასა თუ სპეციფიკურობაზე.

იოანე ქართველიშვილი ცდილობს რაც შეიძლება მეტი წესრიგით განალაგოს მის განკარგულებაში არსებული მასალა, ცალკეულ საკითხებს თავისი ადგილი მიუჩინოს, მაგრამ ისე, რომ მემუარები ზედმეტად არ დატვირთოს, არ დაამძიმოს საოჯახო მნიშვნელობის წვრილმანი რეალიებით, თარიღებით, ოჯახის შემოსავლისა თუ გასავლის „მომაბეზრებელი“ გადმოცემითა და ციფრებით, როგორც ამას ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“.

ამ მოსაზრებიდან უნდა გამოდიოდეს ავტორი, როცა თავის მემუარებს არსებითად 3 ნაწილად ჰყოფს: 1. თვით მემუარები, 2. „მოსაგონარნი რიცხვნი“ და 3. „შემოსავლის ნუსხა“. ამიტომ იოანე ქართველიშვილის მემუარები შედარებით უფრო მსუბუქად იკითხება, ვიდრე იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ საოჯახო წვრილმანი ამბებით დამძიმებული ზოგიერთი ადგილი.

გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იოანე ქართველიშვილმა იგრძნო ეს სიმძიმე იესეს „ცხოვრება-ანდერძის“ ტექსტისა, გაითვალისწინა იგი თავისი მემუარების წერის დროს და თავი დააღწია მას დანართების შედგენით (იგულისხმება „მოსაგონარნი რიცხვნი“ და „შემოსავლის ნუსხა“). ამ „წვრილმანი“ საოჯახო ამბების სრულიად გამოტოვება, ეტყობა, იოანესაც შეუწყნარებლად ეჩვენებოდა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ იოანე ქართველიშვილი სულ სხვა დროის, სხვა მდგომარეობისა და შეგნების პიროვნება იყო, ვიდრე იესე ოსეს ძე ბარათაშვილი. ცნობილია, რომ

იესე ბარათაშვილი მდგომარეობით მოხელე იყო ერეკლე მეორის სამეფო კარზე. იესეს შეგნება და მსოფლმხედველობა ფეოდალურ-ბატონყმურია. იგი ორი სათავადო მამულის მფლობელი და რიცხვმრავალი ყმების მებატონე იყო.

სავსებით განსხვავებულია იოანეს როგორც მდგომარეობა, ასევე მსოფლმხედველობა. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე იგი „შუა აზნაურის" წოდებრივ და ქონებრივ მდგომარეობაზე ოცნებობდა, შეერთების შემდეგ კი მისი იდეალები ახალი ვითარებით განისაზღვრა. იოანე ამიერიდან ცხოვრების ძირითად საარსებო წყაროდ პედაგოგიურ მოღვაწეობას იხდის, ამასთანავე იგი განაგრძობს ეკლესიის მსახურებას. ამიერიდან მისი სოციალური მდგომარეობა და მსოფლმხედველობა უფრო წვრილბურჟუაზიულ-მოქალაქური ხასიათისა ხდება.

ამრიგად, იესე ოსეს ძის „ცხოვრება-ანდერძი" და იოანეს მემუარები არსებითად საქართველოს ისტორიის განსხვავებულ ეპოქებს, სხვადასხვა პიროვნებათა ზრახვებსა და მისწრაფებებს გადმოგვცემენ.

აქვე ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთ გარემოებას. იოანე ქართველიშვილის მემუარები თითქოს იესე ოსეს ძის „ცხოვრება-ანდერძის" გაგრძელებაა ქრონოლოგიური თვალსაზრისით. მართალია, იოანე ქართველიშვილი, იესე ბარათაშვილის მსგავსად, თავისი დაბადების დღიდან (1772 წ.) გადმოგვცემს იმ ამბებს, რაც მას შეემთხვა, მაგრამ უფრო გულისხმიერად და დაწვრილებით ეხება მათ (თავსგადამხდარ თუ მის მიერ ნახულ ამბებს) მას შემდეგ, რაც ასაკში შედის (დაახლოებით 1786 — 1788 წლებიდან). იესე ოსეს ძის „ცხოვრება-ანდერძი", როგორც ვიცით, 1786 წლის ამბებით წყდება. ეს გარემოება თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით.

იოანე 1802 წლის ამბებზე წყვეტს მემუარების წერას,

შიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ 10 წელზე მეტხანს იცოცხლა. რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება?

ცარიზმის მძაფრი რეჟიმი და მისი სასტიკი ცენზურა, საფიქრებელია, აიძულებდა იოანეს, რომ ასე მოქცეულიყო. მაგ., 1802 წლის გლეხთა აჯანყებას იგი შეგნებულად უვლის გვერდს შემდეგი სიტყვებით: „თთვესა ამას შინა (1802 წ. აგვისტოს—ა. ი.) მოხდა სხვა და სხვა რიგად აღრეულობითი დრონი კახეთსა და ქართლსა შინა, რომელსაცა ვინცა წაიკითხავ მაშინდელი დროს მოგაგონებს"; ეს სიტყვებიც წაშლილია ავტორის მიერ. ცარიზმის ბიუროკრატიული მმართველობის დამკვიდრებით საქართველოში თითქოს დასრულდა დიდი ბრძოლისა და ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენების პერიოდი. იოანე ქართველიშვილსაც ამიერიდან თითქოს აღარაფერი დარჩა სათქმელი „დიდი მნიშვნელობის" საკითხებზე, რომ თავის მემუარებში შეეტანა, და ისიც 1802 წლის დასასრულით წყვეტს მემუარების წერას და მას „საოჯახო წვრილმანი" ამბებითა და „მშვიდობიანი" „შემოსავლის ნუსხით" ცვლის (ვიდრე 1812 წლამდე).

იოანე ქართველიშვილი თავის მემუარებს, როგორც ცნობილია, შვილებისთვის წერდა. იგი დიდაქტიკური ნაწარმოებია, იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძის" მსგავსად. მართალია, გარკვეული მიზეზების გამო ჩვენამდე არ მოუღწევია ამგვარი ხასიათის სხვა ძეგლებს (ამათგან განსხვავებულია „დავითიანისა" და „არჩილიანის" დიდაქტიკა), მაგრამ უდავოა, რომ ეს ჟანრი ქართული მწერლობისა ბევრად უფრო ძველი უნდა იყოს. მე-17—18 სს. მოღვაწეს ფარსადან გორგიჯანიძეს თავის „საქართველოს ისტორიაში" გაკვრით მოეპოვება დიდაქტიკური რჩევა-დარიგება შვილებისადმი; თუმცა მას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ იგი საქართველოს ისტორიას წერდა და არა პირად საოჯახო-სათავგადასავლო ტრაქტატს და ანდერძს შვილებისათვის, ისე როგორც ამას შეგნებულად აკეთებდნენ იესე ბარათაშვილი და იოანე ქართველიშვილი.

ჩვენ მოგვეპოვება მემუარულ და სათავგადასავლო ლიტერატურულ ჟანრთან ახლო მდგარი მიმართულების, ე. წ. უცხო ქვეყნებში მოგზაურობათა და „წმიდა ადგილების მოხილვათა“ საყურადღებო ძეგლები. ასეთებია: სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“[1], რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“[2], რუისისა და სურამის მიტროპოლიტის იოანე გედევანიშვილის „მოგზაურობა“[3], ქართლის მთავარეპისკოპოსის ტიმოთე გაბაშვილის „მოგზაურობა“, ანუ „მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა“[4]. ასევე საყურადღებოა პოლიტიკურ-სათავგადასავლო ხასიათის ზოგი შემონახული ძეგლი, მაგ., ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“[5], ხოშტარიას მემუარები, რომელიც შეეხება სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელ დღეებს[6] და სხვა.

აქ დასახელებული მოგზაურობანი და მოხილვანი იოანე ქართველიშვილის მემუარებისა და იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძისაგან“ სავსებით განსხვავე-

[1] ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბილისი. 1940 წ. საბამ იმოგზაურა 1713—1715 წ. წ., როგორც მეფე ვახტანგ VI-ის ელჩმა. მან დღიურების სახით აღწერა უცხო ქვეყნებში გაგონილი მისთვის საყურადღებო ამბები და გადმოგვცა პირადი შთაბეჭდილებანი. ამიტომ საქართველოს იგი გაკვრით ეხება.

[2] იმოგზაურა 1795—1813 წ. წ. გაგზავნა მეფე ერეკლე მეორემ. თხზულება ს. იორდანიშვილის რედაქციითა და შენიშვნებით გამოცემულია 1950 წ.

[3] მოვლო და მიმოიხილა სინას მთა, იერუსალიმი, სტამბოლი, ეგვიპტე, პოლონეთი, რუსეთი და სხვა. აღწერა „წმიდა ადგილები“ — ქართული მონასტრები. იმოგზაურა 1805—1810 წლებში. ძეგლი გამოსცა პლ. იოსელიანმა 1852 წელს.

[4] მოგზაურობის დღიურებში დაცულია ცნობები ქართულ მონასტრებზე ათენსა და იერუსალიმში. პირველად გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა 1846 წ., ხოლო მეორედ პლ. იოსელიანმა 1852 წ.

[5] დაიწერა 1770-იან წლებში, პირველად ითარგმნა რუსულიდან და გამოიცა 1773 წ. ს-პეტერბურგში. რუსულიდან თარგმნა გ. ქიქოძემ და გამოაქვეყნა „მნათობში“ (1939 წ. № 8, გვ. 125—156).

[6] ხოშტარიას მემუარების ტექსტი დაცულია საქართველოს ცენტრ. ისტორიულ არქივში ხელნაწერის სახით.

ბულია. პირველნი თუ უცხო ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემენ, მეორენი სამშობლოს მდგომარეობას ხატავენ. მსგავსება მათ შორის მხოლოდ ფორმალური შეიძლება იყოს იმ მხრივ, რომ ორივენი დღიურების მსგავსად არიან უმეტესად შედგენილი უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილებებით. ამიტომ არსებითია სხვაობა ამ ორი სხვადასხვა მიმართულების ძეგლებისა და მეტად უმნიშვნელოა მათი მსგავსება. მართლაც, ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ ეს სხვაობა არ დაგვენახა და ხელაღებით, გამოუძიებლად, იგივეობის ნიშანი დაგვესვა უცხო ქვეყნებში მოგზაურობა-მოხილვის მიზნით შედგენილ რამდენადმე მაინც შეუმოწმებელ და ყოვლად საეჭვო ცნობა-ჩანაწერებსა და ისეთ ძეგლებს შორის, რომლებშიაც ავტორი მხოლოდ პირად საოჯახო ცხოვრებას აგვიწერს მშობლიური ქვეყნის ყოფის დამახასიათებელ ნამდვილ მდგომარეობასთან განუყრელ მთლიანობაში. ამასთანავე ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ ეს აღწერა როდია ოფიციალური ხასიათისა, იგი მამაშვილური დამოკიდებულების სიყვარულითაა სავსე და თავიდან ბოლომდე გულწრფელობითაა გამსჭვალული. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი ძეგლები მხოლოდ შვილებისთვის იწერებოდა, როგორც საყურადღებო, სახსოვარი და სახელმძღვანელო საოჯახო ანდერძი.

## ე) ტექსტის დადგენის შესახებ

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში, A ფონდის 1196 ხელნაწერში, დაცულია იოანე ქართველიშვილის მემუარების სრული ტექსტი (დანართებითურთ).

ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფს. ხელნაწერის ზომაა 22,5×18 სმ, სისქე=1 სმ, ძედნისეული პაგინაცია recto-ზეა წარმოდგენილი და აღწევს 34 ფურცელს, ე. ი. 68 გვერდს, ხელახალი პაგინაცია კი ითვლის 27

ფურცელს. დედნისეული პაგინაციით 34 ფურცლიდან დაწერილია 24 ფურცელი, ხოლო დაუწერელია 10 ფურცელი.

ხელნაწერი შეკრულია რვეულად, შედგება სხვადასხვა ფერის (თეთრი, მოთეთრო და მოლურჯო) ქაღალდისაგან, დაწერილია წვრილად, შავი მელნით და ოდნავ გაკრული, შედარებით ლამაზი ხელით. გარეკანი უბრალო, თეთრი, ფენებად შეწებებული ქაღალდისა აქვს და საკმაოდ დაზიანებულია, სიძველისაგან მოშავო ფერი გადაჰკრავს, მრავალგზის ნაჩხაპნია მელნითა და ფანქრით.

თვით ტექსტი ხელნაწერისა დაზიანებული არ არის. ძნელად იკითხება (მელნის გადასვლისა და ხშირი წაშლა-ჩაწერის გამო) „შესანდობელი", რომელიც არ ეკუთვნის იოანე ქართველიშვილის კალამს, იგი მიწერილია შემდგომ იოანეს შვილის მიერ.

ავტოგრაფი შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება და ასეთი თანამიმდევრობითაა დალაგებული:

1. „მოსაგონებელნი რიცხვნი", რომელიც მოთავსებულია 2—4 ფურცელზე ავტორისეული პაგინაციით. ამის მომდევნო 5 და 6 ფურცელი დაუწერელია. ამ უკანასკნელს მოსდევს II განყოფილება — „შემოსავლის ნუსხა", ანუ, როგორც იოანე უწოდებს, „სია შემოსავლისა". ეს უკანასკნელი იწყება მე-7 ფურცლიდან და გრძელდება მე-12 ფურცლამდე. ამ ფურცლის მომდევნო მე-13 და მე-14 ფურცელი აგრეთვე დაუწერელია. 7—14 ფურცელი შეკრულია ცალკე რვეულად მოლურჯო ფერის ქაღალდით. ამ უკანასკნელის შემდეგ იწყება III და მთავარი განყოფილება, ე. ი. ტექსტი მემუარებისა, რომელიც იწყება მე-15 ფურცლიდან სიტყვებით „სახელითა მამისათა და ძისათა..." და გრძელდება 27-ე ფურცლამდე, ხოლო verso-ზე გადადის ერთი სტრიქონი, დანარჩენი ნაწილი ამ გვერდისა დაუწერელია.

IV, ანუ ბოლო ნაწილი — „შესანდობელი" (ასე ვუწოდებთ ჩვენ), შემდეგ მიუწერია იოანე ქართველიშვილის შვილს (ვფიქრობთ, გაბრიელს). იგი იწყება 28-ე ფურცლიდან სიტყვებით „სანატრელო და საყვარელო ბატონიშვილო" და გრძელდება 30-ე ფურცლამდე (ამ ფურცლის ჩათვლით). 30-ე ფურცლის verso გვერდზე $5^1/_2$ სტრიქონია მხოლოდ დაწერილი, დანარჩენი დაუწერელია. დაუწერელია აგრეთვე მომდევნო 31—34 ფურცელი (ყველგან იგულისხმება დედნისეული პაგინაცია). „შესანდობელი" მოულოდნელად წყდება „დ" ასოზე, — უეჭველია, ავტორი ფიქრობდა მის გაგრძელებას შემდეგში, მაგრამ რატომღაც ვერ მოუხერხებია ეს. ასეთი თანმიმდევრობით მთავრდება ხელნაწერი ტექსტი.

წინამდებარე გამოცემაში, ჩვენ მემუარების ეს შემადგენელი ნაწილები ასე გადავაჯგუფეთ: პირველ განყოფილებაში მოვათავსეთ თხრობითი ნაწილი, ე. ი. მემუარები, მეორე განყოფილებაში — „მოსაგონებელნი რიცხვნი", მესამე განყოფილებაში — „შემოსავლის ნუსხა" და დასასრულ — „შესანდობელი", როგორც ეს უკანასკნელი ხელნაწერ ტექსტშია წარმოდგენილი.

იქ, სადაც შევამჩნიეთ, რომ ტექსტი აშკარადაა დაზიანებული, ჩვენი შესწორებანი — მიმატებული ასოები ან ცალკე სიტყვები — ფრჩხილებში ჩავსვით. ჩვენვე დავსვით სასვენი ნიშნები, რადგან დედანში ისინი უადგილოდ არიან გაბნეული, და ტექსტი დავყავით აბზაცებად.

იოანე ქართველიშვილი თავის მემუარებს ანტონისეული დამძიმებული ორთოგრაფიული ნიშნებით წერს. იგი ხმარობს: „რაჲმე", „უკუჱ", „ტრიფილე", „ფისიკა", „ფომილია", „ფილოსოფია", „ფებრონია" და სხვ. ირკვევა, რომ ავტორი „ფ"-ს ხმარებაში ყოველთვის ვერ იჩენს თანამიმდევრობას. მაგალითად,

იოანეს ზოგიერთ ადგილას „ფომილია“ აქვს ნახმარი. უხვად არის გაფანტული იოანე ქართველიშვილის მეჰუარებში რუსული სიტყვები. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: „ისპრავის ექსპედიციაში პერიოჩიკათ“, „ხარაქტიკა“, „სომბორი“, „აგლინსკი“ და სხვ.[1]

მოვლენების დათარიღება ავტორს რამდენადმე თავისებურად აქვს ტექსტში წარმოდგენილი, იგი მოკლებულია თანამიმდევრობას. იოანე ფაქტებს ზოგჯერ „დასაბამითგან“ ათარიღებს, უფრო ხშირად კი — „ქრისტეს აქეთ“ განვლილი დროით. როცა იოანე აჩვენებს თვეების რიცხვს, ზუსტი თარიღის წარმოსადგენად, ავტორი ზოგჯერ არაბულ ციფრებს ან ქართულ ასოებს, ზოგჯერ კი რიცხვითს სიტყვასაც წერს. მაგალითად: „ნოემბრის 14“, „ნოემბრის 15“ და სხვ.; „სეკდემბრის იდ“, „სეკდემბრის იე“, „კზ“ და სხვ.; ან კიდევ: „ოკდომბრის ორი“, „იანვრის ექვსი“ და სხვ.

ხშირად დედანში გვხვდება წაშლილი ადგილები, რომელთა გარჩევა ადვილად ხერხდება. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა ავტორი ცდილობს წინადადების გამართვას ან შევსებას (ალბათ, ხელახალი გადაკითხვის შემდეგ), ტექსტში სიტყვებისა და ზოგჯერ წინადადებათა ჩამატებას. ქანწილი არც ერთხელ არ არის ნახმარი იოანეს ავტოგრაფში, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა იგი აბზაცით დაწყებული წინადადების პირველი სიტყვების პირველ ასოს ასომთავრულით წერს; ასევე იქცევა ზოგი ისტორიული პიროვნების დასახელების დროს ან კიდევ მაშინ, როცა ღმერთს ევედრება. ასომთავრულ დაწერილობას ჩვენს გამოცემაში მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში ვტოვებთ.

ტექსტში არის ძნელად გასარჩევი ადგილებიც. მათ ჩვენ უცვლელად ვტოვებთ, ე. ი. დედნისეულად, ხოლო

---

[1] ტექსტში მრავლად არის გამოყენებული ქარაგმები, რომლებიც გახსნილია ჩვენს მიერ.

იმათ, რომელთა აღდგენა-გამართვა ხერხდება, ვასწორებთ და ფრჩხილებში ვსვამთ.

იოანე ქართველიშვილის „შემოსავლის ნუსხა“ უცვლელად არის წარმოდგენილი, ისე როგორც ავტორს შეუდგენია, ხოლო ქართულ ანბანთა ფულადი მნიშვნელობის ცხრილის გარკვევისათვის ცალკე ფურთავთ განმარტებით ცხრილს, როგორც დამხმარე აპარატს ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად. ნუსხა ძვირფასი მასალაა საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, კერძოდ, ფასების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

მემუარებისა და, კერძოდ, ამ ნუსხის მნიშვნელობა ქართლ-კახეთის მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობის გასათვალისწინებლად მეტად დიდია. ძნელად შეიძლება დავასახელოთ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიური ცხოვრების რომელიმე მხარე, რომლის შესახებ ამ ძეგლში საინტერესო მასალა და კონკრეტული ცნობები არ იპოვებოდეს. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს შემოსავლის ნუსხა, როგორც ეკონომიური მასალა. ჩვენი თანამედროვე მკითხველისათვის ეს ნუსხა რომ უფრო გასაგები იყოს, აქ მოვიტანთ თეიმურაზ ბატონიშვილის საყურადღებო განმარტებას, თუ „როგორ იწერებოდა ძველ საქართველოში ფულის ანგარიში“. ისტორიკოსი თეიმურაზ ბატონიშვილი ამის შესახებ წერს: „ა. ეს ხომ ერთი რიცხვი არის, და როდესაც ა-სა ზევიდამ გადმოხრილი ნიშანი დააჯდება ⌒-ს სახედ, მაშინ ერთ თუმანს ნიშნავს, ბ ორს თუმანს ნიშნავს, გ სამს თუმანს და ასეა რიცხვის ბოლომდის“.

ამრიგად, ფულის ანგარიშწარმოება საქართველოში უმთავრესად არაბული ციფრებით კი არ სრულდებოდა, არამედ ქართული ანბანით იყო გავრცელებული. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ იცოდნენ არაბული ციფრის ხმარება. ამის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი

ბროსეს განუმარტავდა: „თუმცა საქართველოს მოანგარიშეთა კაცთა ადრევეცა და ახლაც არითმეტიკის ანგარიში იციან და იციოდნენ, მაგრამ ნამეტნავად ვაჭარნი საქართველოსანი ყოველთვის ამ თავიანთ ძველს ანგარიშს ხმარობდნენ და ახლაც ამასვე ხმარობენო"[1]. სულხან-საბა ორბელიანმა იცის, რომ ძველად ხმარობდნენ არაბულ ციფრს და მას თითქოს უკვირს, თუ რატომ „დაუტევეს წმიდა მამებმა"[2] იგი. მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია არაბული ციფრების ხმარების უტყუარი ძეგლები, როგორიცაა ბაგრატის ტაძრის იატაკის განმტკიცების თარიღი, „სოლომონ მეფის ნიხრის დება" და სხვ[3]. კერძოდ, ქართული ანბანით ანგარიშწარმოება იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, რომ მას მიმართავდნენ და იყენებდნენ საზოგადოების გარკვეული ფენები მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე და ამის შემდეგაც. ამდენად არაა გასაკვირველი, რომ იოანე ქართველიშვილი თავის საოჯახო შემოსავლის ნუსხას ამ წესით აწარმოებდა.

* *

რაც შეეხება „შესანდობელს", იგი მემუარებისათვის იოანეს გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიუწერია იოანეს შვილს გაბრიელს, მაგრამ მისი ტექსტი მაინც ბევრად უფრო ცუდად არის დაცული, ვიდრე დედანი მემუარებისა.

„შესანდობლის" ხელნაწერი ქაღალდიდან მელანი თითქმის გადასულია. იგი ორთოგრაფიულად და ენობრივად უფრო მეტადაა დამძიმებული არქაიზმებით, ვიდრე იოანეს მემუარები. ამით არის გამოწვეული სიძნელე-

[1] ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის № 4797 ხელნაწ.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, რაფიელ ერისთავის გამოცემა, გვ. XVIII.

[3] ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე — ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1935, გვ. 036—039. ივ. ჯავახიშვილი, საფას-საზომის ისტორია, გვ. 34—35, გაზ. „დროება", 1858, № 21 და სხვ.

ები, რომლებსაც წავაწყდით ხელნაწერი დედნის ამ ნაწილში და რომლებსაც საბოლოოდ მაინც ვერ დავაღწიეთ თავი „შესანდობელის“ ტექსტის აღდგენის დროს.

დედანს აქვს მინაწერი ორ ადგილას. პირველი მოთავსებულია დასაწყისში, ცალკე ფურცლის თავში, და დაწერილია განსხვავებული მელნით. იგი შემდეგი შინაარსისაა: „1846 წელს მარტსა ბიძა ჩვენი მიხეილი ბერად შესდგა და წავიდა დავით გარეჯის მონასტერში“. მეორე მინაწერი ანალოგიური შინაარსისაა, მოთავსებულია ხელნაწერი ტექსტის მე-4 ფურცლის verso გვერდზე. ის გარემოება, რომ მინაწერში ნათქვამია: „ბიძა ჩვენი მიხეილი“-ო, გვაფიქრებინებს, რომ იოანეს მემუარების ხელნაწერი დედანი დაცული იყო უფროსი ძმის გაბრიელის ოჯახში, ხოლო მინაწერი ეკუთვნის გაბრიელის შვილს, დავითს, რომელიც ბერად შემდგარ მიხეილს, ცხადია, ბიძად იხსენიებს.

იოანე ქართველიშვილის ვაჟებიდან შიოს შემდეგ, რომელიც 1812 წ. გარდაიცვალა, გაბრიელი უფროსი იყო. იგი 1800 წ. დაიბადა, მიხეილი კი ყველაზე უმცროსი იყო ვაჟთა შორის (დაიბადა 1806 წ.). იოანემ თავისი მემუარები, როგორც აღვნიშნეთ, შიოს და გაბრიელს დაუტოვა ანდერძად, ამიტომ ბუნებრივია, რომ შიოს გარდაცვალების შემდეგ ეს მემუარები, როგორც საოჯახო ხასიათის მამისეული დოკუმენტი და ანდერძი, გაბრიელს დარჩებოდა. ეს მიმოხილვა ჩვენ იმისათვის დაგვჭირდა, რომ ამ უკანასკნელით საბოლოოდ გაირკვეს „შესანდობელის“ მინაწერის ავტორის ვინაობა.

ზემოაღნიშნულთან ერთად სხვა ცნობებიც იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ „შესანდობელის“ ავტორი გაბრიელი იყო. ამას ადასტურებს (არაპირდაპირ) გაზეთ „ივერიის“ რედაქციის შენიშვნა, რომელიც იოანე ქართველიშვილის მემუარების ნაწყვეტების დაბეჭდვის დროს სქოლიოში მიუწერიათ. აი ეს შენიშვნა: „ეს ხელთნაწერი აწ განსვენებულსა დავით გაბრიელის ძეს ქართველიშვილს გადაუცია მღვდლის მ. პ. კარბელაშვილისათ-

ვის, რომელმაც ჩვენ გადმოგვიგზავნა დასაბეჭდადო" (გაზ. „ივერია", 1889, № 203). მაშასადამე, ი. ქართველიშვილის მემუარები ინახებოდა გაბრიელის ოჯახში და გაბრიელსავე დაუმატებია „შესანდობელი", ხოლო მის შთამომავალს, დავითს, მემუარების ნაწყვეტი გადაუცია მ. პ. კარბელაშვილისათვის. მისი მეშვეობით გაზეთის რედაქციას შესაძლებლობა მიეცა დაებეჭდა იოანეს მემუარების ნაწყვეტები[1].

გაზ. „ივერიაში" მოთავსებული მემუარების ნაწყვეტების ტექსტუალურმა შედარებამ დედანთან შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა: ხშირად გაზეთში დაბეჭდილი ტექსტი, დედნისაგან განსხვავებით, უაბზაცოდ გრძელდება. სამაგიეროდ დედნისაგან განსხვავებით აბზაცებით იწყება სულ სხვა წინადადებები. ვხვდებით ტექსტუალური ხასიათის სხვა განსხვავებასაც. მაგალითად, მე-2 გვერდზე „ნოემბრის" ნაცვლად „დეკემბერი" სწერია, „სხვის" ნაცვლად — „ივრის" (გვ. 3), „ჭარსა" ნაცვლად „ჯარსა" (გვ. 6), „ლუთისა" ნაცვლად — „უფლისა" (გვ. 4). „იანვარი" დედანში სრულიად გამოტოვებულია, დაბეჭდილ ტექსტს კი შემოუნახავს. იმავე გვერდზე სრულიად უადგილოდ ჩამატებულია „და ცერემონიისა", „მას" (გვ. 12), რიცხვ „იზ"-ის ნაცვლად „კზ" (გვ. 5), „ამათ" ნაცვლად ნაბეჭდ ტექსტში „ამ ათ" იკითხება და სხვ.

ამრიგად, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებული ნაწყვეტები უშუალოდ ავტოგრაფისაგან მომდინარეობ-

---

[1] ნ. 1889 წლის „ივერია" №№ 203, 205, 253, 262, 268, 273 და სხვ. გაზ. „ივერიიდან" გადაუბეჭდავთ და თავიანთ ქრესტომათიაში შეუტანიათ ეპისკოპოს კირიონს და გრ. ყიფშიძეს ნაწყვეტი იოანეს მემუარებისა, კერძოდ „ტფილისის აოხრება ალა-მაჰმად-ხანის მიერ" (ნ. მათი „სიტყვიერების თეორია და ქრესტომატია", გვ. 177—184). 1946 წ. 27 ოქტომბერს გაზ. „ინდუსტრიულ ქუთაისში" დაიბეჭდა ჩვენი სტატია: „იოანე ქართველიშვილის მემუარები და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა".

დეს. სხვა მომენტებთან ერთად ამას გვაფიქრებინებსის გარემოებაც, რომ დედანში ძნელად წასაკითხი ადგილები, „ივერიაში“ ყოველთვის გაუგებრად და გაუმართავად როდია დაბეჭდილი. თუმცა უმეტეს შემთხვევაში შეცდომები მეორდება.

რედაქციას ასო „ჶ“ ყველგან უარუყვია, ხოლო სასვენ ნიშნებად ორი წერტილი (:) შემოუნახავს ხელნაწერისაგან. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ სასვენი ნიშნები დაბეჭდილ ტექსტში მეტწილად არასწორადაა ხმარებული. ტექსტის ნაწყვეტი რედაქციას ასე დაუსათაურებია: „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მასალა“.

წინამდებარე გამოცემა ემყარება ავტოგრაფულ დედანს, რომელიც ამ 15-იოდე წლის წინათ ჩვენ მიერ იქნა მიკვლეული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

---



იოანე ქართველიშვილის ავტოგრაფი
(ფოტოპირი შემცირებულია $2^{1}/_{2}$-ჯერ).

# მემუარები

# I

## [მ ე მ უ ა რ ე ბ ი]

...დასაბამითგან[1] წელსა 7309, ქრისტეს აქეთ 1801, 12a ქრონიკონნს უპთ (489). თთვესა სეკდემბერსა 10, მყოფ-მან ფრიადსა მოწყინებასა შინა და სულისა ურვასა, ვითა ცხად ჰყოფენ ქვემო წლისა ამის აღრიცხულნი, ხარაკტიკა (sic) ნიშანნი ჩემ ზედა, სასაყდროსა ქალაქსა შინა იმერეთისასა ქუთაისს, ეზოსა სამეფოსა, გულად მივიღე აღწერა შემდგომთა განცხადებათა ვითარებათა ჩემთასა, რომელიცა არს მეხსიერებას შინა ჩემსა, ანუ ხილული ჩემგან და ანუ მოთხრობილი წინაპართა ჩემთაგან დღითგან შობისა ჩემისა, ვიდრე აქამომდე; რათა უკეთუ ჰნებავს ღმერთსა საკსოვრად რაჲმედ გაქვენდესთ თქვენ, ძეთა ჩემთა, შიოს და გაბრიილს, აღწერილი ესე, და კვალად უკეთუ ვინმე კელჰყოთ, თვინიერ ძეთა ჩემთა განხილვად, ამის წერილისა, გევედრები თქვენცა ღუთისათვის რათა ლოცვა ჰყოთ ჩემ გლახაკისათვის.

---

[1] მემუარები იწყება სიტყვებით: — „სახელითა მამისთა და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ. შემეწიე მე. სულო ყოვლად წმიდაო ღმერთო",— ჩვენ სქოლიოში ჩამოვიტანეთ იმ დროისთვის საჭიროდ მიჩნეული ეს შესავალი.

ვინაჲთგან არა იყო ჰკსოვნასა შინა ჩემსა სიცოცხლე მამისა ჩემისა, გარდა აჩრდილებრ მოგონებისა, მიზეზითა სიყრმისათა. არა მყვა ძმა და არცა სხვა ვინმე. მოვედ რა ცნობიერობისა ჰასაკსა შინა, ვიხილავდი დედასა ჩემსა თამარს და დასა ჩემსა მარიამს მხრდელად ჩემდა, მეუწყებოდა დედისა ჩემისაგან შობა ჩემი თთვესა სეკდემბერსა 20, დღესა დიდისა მოწამისა ევსტათისსა, ‖ წელიწადსა დასაბამითგან 7280, ქრისტეს 12b აქეთ 1772, ქრონიკონს უჲ (460) ქართლს, დაბასა ფხვენისს. მოვაკლდი რა სიცოცხლესა მშობელისა მამისა ჩემისა ოთარისსა, ჟამსა ფრიადისა სიყრმისასა, უბედურებისა ძლით ჩემისა, ზრუნვიდა ნიადაგ დედა ჩემი აღზრდისა ჩემისათვის მკნედ, მამაკაცებრ, რათა ესწავლებინა ჩემდა წერილნი სამღუდელონი და აღზრდილ ვიყავცა სამღუდელოდ, და ესრეთ მრავლითა ღვაწლითა სრულ ჰყოცა, რომელსა არა ძალმიძს ერთისაცა წლისა ჩემ ზედა აშაგდებულებისა მისისა გარდახდა; რომლისათვისცა გამომცველელმან სხვათა და სხვათა მასწავლებელთა მოძღვართამან, ხოლო მდაბიურ წოდებით ოსტატთამან, ოდესმე მუნვე ფხვენისს და შინდისს, ოდესმე ქრცხინვალს და სხვაგანაც, მივაწიე კითხვადმდე პარაკლიტიკოსისა.

წელიწადსა 1784, ქრონიკონს უობ (472), თთვესა ნოემბერსა, ვიქმენ რა წლისა ათორმეტისა, წარმიყვანა დედამან ჩემმან ქალაქსა ტფილისს. აქა უკუჱ მოვიგე მოძღვრად მასწავლელად ჩემდა, წმიდის დიდის მოწამის გიორგის კალუბნად წოდებულის ეკკლესიის მღუდელი, იოანე, რომლისაგანცა ვისწავლე წიგნნი საეკლესიონნი; უმჯობეს მოვიდა ჩემდა დროსა მას ცნობა ქვეყანისა და სხვათა საზოგადოთა საქმეთა, ჰასაკისა ძლით.

ჟამსა ამას, ფრიადსა ბედნიერობასა შინა იყო წარმართებულ სამეფო ქართლისა და კახეთისა; რამეთუ გა-

ნევლო წელსა რაოდენსამე, რომელ არღა მიიღო ოხრება არცა უცხო თესლთაგან, არცა სრვისა და არცა სიყმილისაგან, ხოლო უმეტეს ყვაოდა შორის ყოვლისა საქართველოსა ქალაქი ტფილისი ყოვლითა წარმართებითა, რომელსა ზედა მეფობდა ძე ცხებულისა მეფისა თეიმურაზისა ირაკლი მეორე, ხოლო მამათმთავრობდა ძე მეფისა იესესა ანტონი. ესხნეს მეფესა ირაკლის ძენი: გიორგი, იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე და ფარნაოზ და კვალად ანტონი შემონოზნებული. ესე ორნი ძენი, ანტონი და მირიან, ჰყვეს წინაშე რუსეთის იმპერატორის ეკატირინესა, რამეთუ || საქართველო მას 13a
ჟამსა კელდებულ იყო [2] იმპერატორის ეკატირინესაგან და იყო ორი ბატალიონი ჯარი რუსისა წინაშე მეფისა ირაკლისა მცველად საქართველოსა, რომლისა კამანდირი იყო პოლკოვნიკი ბურნაშოვი. და ესრეთ მყოფმან ტფილისსა, გან[ვ]ვლე ზამთარი ჰკსენებულისა მის წლისა.

წელიწადსა 1785, ქრონიკონს უოგ (273), წმიდასა ორმეოცსსა შინა მეუფლა სენი საოფლეე წოდებული, რომელმან შემაქცია კვალად, გარნა განვერი ძალითა ღმრთისა და კაცობრივ მხოლოდ მოვლითა დედისა ჩემისათა. ზაფხულსა ამას კავკასიით, ანუ დაღისტნით, გამოვიდა ხუნძახის ბატონი ომარხნად წოდებული ლეკის ჯარით, გამოვლო კახეთის ბოლო, შემოსრული სომხითს, მოადგა ახტალას. აღიღო იგი და აღვიდა სამცხეს, ახალციხეს. მუნიდამ შთასრული მოადგა ვახანს, აღიღო იგიცა და წარვიდა ახალციხეს ფაშასათანა, რამეთუ სადგურად აქვნდა იგი. ზამთარსა მას დაიბანაკა მუნ და გაზაფხულ წარვიდა სახლსა თვისსა. გამოსვლასა შინა და აღებასა ორთა ამათ დაბათასა, ვერ მოხვდენ ჯარი ქართველთა და რუსთა, თვარა დამარცხებულ ჰყოფდენ მას. ესე იყო პირველი ნიშანი საქართველოსა ზედა მომავალთა უბედურებათა შემდგომთა.

კვალად წელიწადსაცა 1786 ქრონიკონს უოდ (474) გა[ვ]ნელე მუნვე ეკლესიასა შინა კოლუბნისას ყოფნითა და კითხვითა საეკლესიოთა წერილთათა.

წელიწადსა 1787, ქრონიკონს უოე (475), თთვესა ივნისსა, დაწინდულ მყო დედამან ჩემმან მისის უწმინდესობის ილუმენის ტრიფილეს ძმის წულსა ზედა, თთვე ხუთი ვიყავ უკჵ ამასთანა საპატრიარხოსა ეზოსა შინა და ვმსახურებდი ეკკლესიასა შინა სტიხარ ცმული იპოდიაკონობით და ვსწავლულობდი წერილთა საეკკლესიოთა და წერასა მჴედრულსა წიგნითურთ. თთვესა სეკდემბერსა, წლისა ამის რიცხვსა შინა, წარვიდა მეფე ირაკლი ჯარითა ქართლისა, კახეთისა და რუსთათა განჯასა და ყარაბაღსა ზედა; აქა უკჵ მოერთოთ რუსთა დაბარება რუსეთით. არღარა მომცდელნი ჯარნი რუსთანი, ‖ უკმრიქცენ მსწრაფლ და წარვიდენ რუსეთად. 13ხ
ჟამსა ამას გაიმარჯვა ყარაბაღელთა ზედა ჯარითა ქართველთათა მეფის ძემან იულონ. ამასვე ჟამსა მიერთო ჰამბავი მუნვე ყოფასა შინა მეფესა ირაკლის ჩამოსვლა ქარსა შინა ხუნძახის ბატონის ომარხანისა; განვიდა ყაზახიდამ ქიზიყს, ზავ ჰყო მისთანა და მოიქცა მშვიდობით.

ჟამთ ამათ შინა, მყოფ ვიყავ რა საპატრიარხოსა ეზოსა ილუმენსა ტრიფილეს თანა, თთვესა ნოემბერსა შინა, მიზეზითა რაითამე დაწინდული ჩემი, ძმის წული მისი, განუტევე ნებითა ჩემითა და მისითა. სრულ იქმნა რა თთვე ესე ნოემბერი დაწყებასა შინა [თ]თვისა დეკემბერისასა, კვალად დაწინდულ მყო დედამან ჩემმან ნებითა ჩემითა, ლეკ ყოფილისა ვისმე დიმიტრის ქალსა ზედა, მარიამს. ესე დიმიტრი იყო კაცი მართლმორწმუნე და მტკიცედ მყოფი სარწმუნოებასა ზედა ქრისტიანებრსა მართლმადიდებლობითსა და ესრეთ სრულ იქმნა რა[1] წელიწადიცა ესე.

---

[1] დედანში: „იპოლ დიაკონობით".

წელიწადსა 1788, ქრონიკონს უოვ (476), თთვესა იანვარსა 16, ვიქორწინე დედასა თქვენსა ზედა მარიამს, შვილნო ჩემნო; ამასვე უკუჳ მომავალსა წმიდასა ორმეოცესა პირველსა შინა შვიდეულსა, გარდაიცვალა ღირსი ნეტარებისა პატრიარხი ანტონი და მოაკლდა ქვეყანა საქართველოსა მწყემსსა ამას დიდსა ღმრთის მეტყუჳლსა, ფილოსოფოსსა და რიტორსა წარჩინებულსა, ხოლო ღრამმატიკოსობისა და ცერემონიისათვის ეკკლესიისა, არღარა ვიტყვი, — რამეთუ ავქსონობითა უკუჳ მისითა მოპოებულ იქმნა საქართველოსა შინა; მეორესა შაბათსა წმიდისა ამის ორმეოცისასა, თთვესა მარტსა 12, ჴელდასხმულ ვიქმენ მთავარ დიაკონად ტფილელის გერმანეს მიერ, სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, ეკკლესიასა შინა სობოროსა [1] სიონისასა. და ესრეთ გან[ვ]ვლე წელიწადი ესე მსახურებით სხუათა[2] და სხუათა ეკკლესიათა ტფილისს შინა და ეგრეთ მორეწვითა საზრდელისათა ამისვე წელიწდისა სივრცესა შინ[ა], გარდავწერე ლოცვაები მჴედრულად და კვალად წიგნი მარგალიტად წოდებული. ‖ 14a

წელიწადსა 1789, ქრონიკონს უოზ (477), კვალად წელიწადს 1790, ქრონიკონს უოჱ (478), ვცხოვრებდი ეგრეთვე ქალაქსა შინა ტფილისსა. ამათ წელიწადთა შინა გარდამაწერინა სადღესასწაულო ცხრა თთვე მჴედრულათ, მოძღვარმან ჩემმან, მღუდელმან კალუბნისამან იოანე ეკკლესიისა თვისისათვის. ამასვე წელიწადს 1790 ქორონიკონს უოჱ (478) ნოემბრის 28 გარდაიცვალა და ჩემი მარიამ.

წელიწადსა 1791 ქორონიკონს უოთ (479), თთვესა შინა აპრილსა, გულად მომიკდა სურვილი სამეცნიეროთა წიგნთა სწავლისა. ამისთვის შევევედრე პატრიარხსა, ძესა მეფის ირაკლისასა ანტონისა და მიმაბარა ერისთვისშვილსა, არხიმანდრიტსა თვისსა, ვარლაამს, კაცსა ფრიად მეცნიერსა, რომელმან შემდგომად მიიღო ეპისკოპოსობა ახტალისა, წარვიდა რუსეთს და აწ არს

---

[1] ავტოგრაფში „სომბოროსა“ მის მაგიერ „სომბისა“ წერია.
[2] ავტოგრაფში: „სხვათა“.

მუნ. ამან უკუე მაწყებინა კითხვა ღრამმატიკისა და გან[ვ]ვლე წელიწადი ესეცა ესრეთ.

წელიწადსა 1792 ქრონიკონს უპ (480) თთვესა იანვარს ექვსსა დღესა, უფლისა ჩუენისა იესოს განცხადებისასა, ჴელ დასხმულ ვიქმენ მღუდელად, უწმინდესობისა მისისა, კათალიკოს პატრიარხის, მეფის ძის ანტონისგან, ქალაქსა ტფილისს, ეკკლესიასა შინა ქრისტეს შობისასა. ამასვე წელსა, თთვესა ფებერვალსა იბ (12) ხუთშაბათსა ყველიერისასა, იშვე შენ, შვილო ჩემო შიო. ამასვე თთვესა შინა ნათელ-ღებულ იქმენ შენ, მეფის ძის, ალექსანდრესაგან. ამისვე წლისა სივრცესა შინა, ვკითხულობდი და ვისწავლე ალჰჴსნით ვარლაამისაგან წიგნნი ესენი: ღრამმატიკა, რიტო[რ]იკა, კატიღორია, ლოღიკა და მეტაფისიკა, და გარდავწერეცა წიგნნი ესენი თვინიერ კატიღორიისა. აგრეთვე გან[ვ]ვლე წელიწადიცა 1793 ქრონიკონს უპა (481) კითხვითა და წერითა, ზემო ჰჴსენებულთა წიგნთათა. ჟამსა ამას ფრიადითა შრომითა მოვირეწდი საზრდელსა და ვცხოვრებდითაცა მწირობით, რამეთუ არა მაცალებდა კითხვა და წერა ზემო ჰჴსენებულთა მათ სასწავლოთა, არცა მყვანდა ვინმე ‖ 14b
შემწე კითხვასა შინა და სწავლასა ამათ წიგნთასა. — რამეთუ იციან ქართველთა ერმან ესე და აქვსთ მიღებული ანაგებად, უკეთუ ვისმე იხილვენ ტრფიალად სიბრძნის მოყვარებისა, ნაცვლად შეწევნისა ზედა დასხმენ სიტყვათა გიობისათა და ჰყოფენ საყვედრელ და საკიცხელ.

ამავე წელიწადსა, თთვესა სეკდემბერსა კგ (23) მომეცა ღმრთისაგან ასული, რომელსა [ვ]ეწოდეთ თეკლა, მოვანათლინე ესე არხიმანდრიტსა ქვათახევისასა, თარხნისშვილს ანტონის.

წელიწადსა 1794 ქრონიკონს უპბ (482) მოვიგე მოძღვრად მასწავლელად ფისიკისა და სალმრთოსჲსა დამასკელის ოთხ ნაწილოვან წიგნისა, პროტოპაპი სიონისა, ოსეს-ძე იოანე. სიმრგულესა შინა მის წელიწდისასა

შევექეც კითხუასა ამათ ორთა წიგნთასა და ვცხოვრებდი ეგრეთვე მწირობით. ამასვე წელიწადსა შინა, თთვესა ოკდომბერსა, ებრძანებინა უგანათლებულესსა მეფის ძეს იულონს, თავადისა როპიკაშვილის იოსების პირით, ჴლება ჩემი თვისთანა და მობარება ძეთა თვისთა სწავლად წერილთა. ვინათგან ჰაზრი ჩემიცა იყო, რათა მომეგო ვინმე შესავედრებელი და მის ძლით წარმეელო ცხოვრება ჩემი და განრინებულ ვიყავ ფრიადისა მწირობით ცხოვრებისაგან და თქვენ, ძეთა ჩემთათვისცა, მომეგო საბოლოო რაჲმე ბინაჲ; ამისთვის და კუალად, ვინათგან ნიადაგ საკუთარითა ყმობითა ყოფილიყვნენ წინაპარნი ჩვენნი საქართველოს უფლისწულთა ამათ ძლით მორჩილ ქმნილი, ვიახელ უგანათლებულესობასა მისსა მეფის ძესა იულონს და ვმსახურებდი ეზოსა შინა თვისსა მღუდელობით და ძეთა მისთა წიგნის კითხვით.

აწ ჟამმან მომცა აღწერად, შვილნო ჩემნო, ვახსენე რა ნიადაგ ყმობა ჩვენი საქართველოს უფლისწულთა, თუ ვინაჲთ არს ადგილობა ჩვენი და ვითარ. პაპა ჩემი ყოფილარს დგომით დაბასა გომიჯვარსა უფლისწულთაგან გააზატებით და შესაფერისა მოჴელობით ყოფნას ქართლსა შინა ყიზილბაშთასა და ფლობას მათსა, რომელსამე მიზეზით აყრილა მუნით და მისულა სამშვილდეს, მუნ მიუცია აბდულა ბეგს, რომელი || იყო ტომი ქართველ- 15a
თა მეფისა, მამული და უცხოვრებია კარსა ზედა თვისსა მამა და ბიძა ჩემი, პატივითა და შესაფერითა საჴელოებითა. გარნა ვინაჲთგან აბდულაბეგს დასცალებია მცირე ხანი მუნ, და აყრილა სამშვილდეცა ლეკთაგან, განშორებულან მამა და ბიძა ჩემი და უცხოვრიათ თვის თვის, თვისად. ბიძა უკჩ̃ჲ ჩეპი დაშთენილა ქალაქს და აღსრულებულა უშვილოდ. ხოლო მამასა ჩემსა, უცხოვრია შიდა ქართლს სხვა და სხვათა ადგილთა მწირობით; სხუასა, შემდგომსა ყოველსა, ჰსცნობთ წარკითხვითა ამის აღწერილისათა.

წელიწადსა 1795 ქრონიკონს უპგ (483), ვცხოვრებდი ქალაქსა შინა თბილისსა და ვჱსახურებდი მეფის ძესა

იულონს. ვწუხდი წინა თქმულისა მწირობით ცხორე-ბისათვის, გარნა შემდგომი მექმნა უძნელეს და უმწა-რეს. ამას წელიწადსა წარმოვიდა მპყრობელი სპარსეთისა ალამამადხან[1]; დღე და დღე მოდიოდა ჰამბავი მოსვლისა მისისა, მოვიდა ყარაბაღს და მოადგა შუშას[2], ვერ აღიღო ციხე სიმტკიცის გამო. სეკდემბერს შემოვიდა საქართველოსა შინა. დაეცა შიში დიდი ყოველთა ერთა ზედა და უმეტეს ტფილისელთა. ვ (6) სეკდემბერს წარ-მტაცა სიკუდილმან მცირე ყრმა,[3] და თქვენი თეკლა, მცირედღა ნაკლები ორისა წლისა, მაგრა არღარა მა-ცალა ჟამმან მწუხარებად ამას ზედა, ვინათგან დღესა მეორესა ამისვე თთვისა, რიცხვსა Ꮭ (8), მოვიდა ალამა-მადხან იალღუჯასა ზედა. ღამესა ამას, აიყარნენ სა-მეფო ფომილია და წარჩინებულნი ვინცა მყოფიყვნენ მას ჟამსა ტფილისს შინა და წარვიდნენ სახიზრად მთი-ულეთს. ეჰა! საკვირველი და საგლოველი[3] რომელ, წარ-ჩინებულთა ცოლნიცა მრავალნი ვიდოდეს ქვეითად, ვინათგან ვერ შოვობდეს ცხენსა ავდარსა, წვიმასა და ტალახსა შინა მძაფრსა; ვინათგან შვიდეულისა უმეტეს-საცა ჟამსა, იყო წვიმა გარდულებელი და ესრეთ გავყევ მეცა მაშინ მათ, მეფის ძის იულონის შეწევნით. ვი-არეთ ღამე იგი და დღე მეორე კვირიაკე. დღესა მე-სამესა, ორშაბათს, ძლივ შეუძელ მიწევნად დუშეთს. დავჰყავით დღე იგი და ღამე მუნ ია (11) სეკდემბერი; დაღამდარა დღე სამშაბათი, საღამოს ჟამს მოვიდა ჰამბავი შესაწუხებელი, საგლოველი და სატირელი, რომელ დამარცხებულ იყვნენ ორნი მეფენი: მეფე ქართველთა და კახთ, ირაკლი და მეფე იმერთა, სო-ლომონ. ხოლო მას ჟამსა იყო იგიცა მოსული ჯარითა იმერლისათა, შესაწევნელად ‖ პაპისა თვისისა, მეფისა 15b ირაკლისა. ესენი გამოქცეულნი, — მეფე ირაკლი წარ-მოსულიყო კახეთის მხარესა საგურამოს და აგრეთვე

[1] ავტოგრაფში: „ალმამადმხან“
[2] ავტოგრაფში „შუშის“.
[3] ავტოგრაფში: „ყრმაა“.

მუნიდამ მოვიდა დღესა მესამესა მთიულეთს. ხოლო მეფემან სოლომონ, შევლო ქართლსა ზედა და წარვიდა იმერეთს. მას ჟამსა შემოვიდა აღამამადხან ტფილისს შინა, ტყვე ჰყო მუნებურნი, აღიღო ალაფი, რამეთუ ყოვლითურთ მუნ დარჩა, ხაზინა სამეფო, ნივთნი ეკლესიისანი და სიმდიდრე სხვათა სახლთა და მოქალაქეთა აღურაცხელი. მოწვა ცეცხლითა პალატნი და სახლნი სამეფონი და სრულიად ტფილისი, განუტევა მარბიელნი ვიდრე გორადმდე; დაჰყო დღე ცხრა, მდგომმან სოღანლუღს და წარვიდა ეგრეთ. ვაჲ, ვაჲ, ცოდუათა ჩვენთა სიმრავლესა! რაოდენნი ქალწულნი განიხრწნეს, რაოდენნი მღუდელნი და მოწესენი მოისრნეს, რაოდენნი ტყვე იქმნეს და მიზეზ ექმნათ დატევებად ქალაქსა, რამეთუ ვგონებ მაშინდელსა დაკლებულსა სიკუდილით და ტყვეობით, ვიდრე სამოცი ათას სულადმდე და უმეტესსაცა. ამას ჟამსა დაიკარგა ნაწილი მკვლავი მთელი წმიდის დიდის მოწამის ევსტათისა, ხატი და სამკაული მეტეხისა, სამკაული სიონისა, სამკაული ალავერდისა, სამეფო გვირგვინნი, სკიპტრა და სხვანიცა მრავალნი ძვირფასნი ნივთნი; უკეთუ რაჲ გარდარჩათ აუკლებელ და წაუღებელ ყიზილბაშთა და გამოეტანათ ვისმე რაჲე, იგიცა აიკლეს, გამოქცეულთა იმერთა და სხვათა აგრეთვე მეკობრეთა ქართველთა და მთის კაცთა, რამეთუ ჟამსა მას, ვიდრემდის ჰსცნობდნენ წარსვლასა აღამამადხანისასა, ქართლსა და კახეთსა შინა, თვით იკლებდენ ურთიერთთა[1] ვინ ვისცა მოერიის, არარას სინიდისის მგრძნობელნი თვის შორის.

აწ ვიწყებ პირველისვე სიტყვისგან, ჟამსა ამას თუ რანი გარდამჴდენ მე. ღამესა მას საჳშაბათსა, ია (11) სეკდემბერს, მოვიდა რა ჰამბავი მეფეთა დამარცხებისა და ქალაქსა შინა შესევისა, აიყარნენ ფომილია სამეფო და სხვანი მყოფნი დუშეთით და წარვიდნენ მთიულეთს. გავყევ მეცა მათ ქვეითათ და წარვიყვანე დედაცა

---

[1] ავტოგრაფში: „ურთიერთთთა".

თქვენი, ქვეითათ, შვილნო ჩემნო. || შვილო ჩემო შიო, მაშინ ვერღა იყავ შენ წლისა ოთხისა და არა საკვირველ არს, უკეთუ ქვეითად ვერ შემძლებელ იქნებოდი სიარულსა და დედაცა ჩემი, ბებია შენი, ვერ შემძლებელ იქმნა ღამესა მას ქვეითად მოყოლად ჩვენდა, მოხუცებულობის გამო. ამისათვის დაგიტევე თქვენ მას ღამესა დუშეთს და გავყევ მე ხალხსა მას, დედით თქვენით. გათენდა, რა მივედით ანანურს. მუნ იყო საკვირველ ხილვა ხალხისა მის, რამეთუ ვერვინ იხილვიდა სხვასა რაჲმესა ეგოდენსა ერსა შინა, გარნა დუმილსა და მოსწრაფედ სიარულსა. ეგოდენ იყო ხალხი იგი, რომელ ანანურიდამ ვიდრე მუხრანის მინდვრადმდე, ვერსადა იხილავდი გზასა ცალიერსა, რომელსა ზედა არა ვიდოდნენ უმეტეს ქვეითნი, ქალნი მორჲულნი და ცოლნი წარჩინებულთანი. გათენდა რა დღე ოთხშაბათი, სეკდემბრის იბ (12), დავბრუნდი ანანურიდამ, მოველ თქვენთანა. გიხილე დედაჩემი და შენ, შვილო შიო, მომავალი. წარგიყვანე მუნით უმეტეს მხარზედ მჯდომით და ხანდიხან ქვეითად მოსიარულე. ვლეთ დღე ოთხშაბათი, და ღამე იგი ხუთსშაბათს. მივედით სეკდემბრის იგ (13) მთიულეთს, ცხაოტს, რამეთუ მუნ დაებანაკათ სამეფოს ფომილიას და დედა შენიცა დაგვხდა მუნ. შევიყარენით ერთად, მხოლოდ ცალიერნი და ტიტველნი, რამეთუ უკეთუ წარმოგვეღო რაჲმე ქალაქით, იგიცა ყოველი დაგვრჩა დუშეთს, ურემსა ზედა დადებული. აქა მთიულეთსა შინა რაოდენიცა ხანი დავყავით, გამოვიარეთ შიმშილი ფრიადი, — რამეთუ არა იყო პური, არამედ უფროსღა გამოვიზარდენით კორცითა და ცერცვითა. მივედით რა ხუთშაბათს, ღამე იგი და დღე პარასკევი სეკდემბრის იდ (14) დავყავ მუნ, რამეთუ იყო დღესასწაული დიდი, საუფლოსა და ცხოველს მყოფელის ჯურის ამაღლება. 16 a

მეფე ირაკლი მობრძანდა მუნ და არავინ იყო მღუდელი დღესა მას გარდა ჩემისა. მუნ ულოცე ცისკარი და მწუხრი, თვინიერ ყოვლისა ცერემონიისა. გათენდა

რა დღე შაბათი, სეკდემბრის იე (15), წარველ დუშეთს, ნუ უკუჱ ბარგისა რაჲმესა ქვეშაგებისა, ტანისამოსისა, ანუ სხვა რაჲსამე შემძლო მოტანა. მიველ რა დუშეთს, ველარა რა ვიხილე ბარგთა ჩემთაგანი, რამეთუ, აეკლოთ და წაეღოთ ყოველივე არა თუ მარტო ჩემი, მეფის ძის იულონისა, ყოველივე რაცა აქვნდა, ქათალიკოზისა ყოვლის შესამოსლით და სვე ‖ ტის ცხოვლის სამკაულით, 16b დუშეთს შინა მდგომთა ერთა, — უმეტეს სომეხთა და სხვათა გარემოს მყოფთა მახლობელთა დაბათაგანთა. მოველ რა და ვიხილე იავარ ქმნილი დარჩენილი მუნ ნაქონები ჩემი და სხვათა ყოველთ, წარმოველ ცალიერი. თუ რანი დავკარგე მუნ, აღარ განვაგრძობ გარდ[ა] ამისა, არამედ გაუწყებ მოკლედ, რომელ რაჲცა დამრჩა: ქალაქს სახლი, ანუ სხვა იგი ყოველი წარტყვენილ იქნა და წარმოღებული თან ქვეშაგები, ლოგინი, ჭურჭელი სპილენძისა და სხვანი ნივთნი, ვიდრე ოცდათხუთმეტის თუმნისადმდე, ანუ მეტი, აღიკლეს დუშეთს. წარმოველ რა დაკარგულთა ამათ ნივთთათვის შეწუხებული, მოველ კვალადვე თქვენთანა მთიულეთს. მას ღამესა ვლოცულობდი რა მწუხრს, მეფის ძესა იულონთან, ლოცვასა ზედა შემიწუხდა გული მწუხარებისაგან, რომელ ძლიე მობრუნებულ ვიქმენ.

დავყავით ვიდრე კზ(27) სეკდემბრამდე მთიულეთს, სხვათა და სხვათა ადგილთა. დღესა ამას კზ (27) ხუთშაბათს, წამოვედით ნაზლაიძის კარიდამ. მას ღამესა მოვედით ამირიძის კარს; მეორეს დღეს პარასკევს ვლეთ სალამომდინ, დავრჩით ჭალასა შინა. შაბათს, სეკდემბრის კთ (29) მოვედით ანანურს ქვეით, ერთს მცირეს სოფელში და კვირას, სექდემბრის ლ (30) ჩამოვედით დუშეთს. ვითარ მოგითხრა, შვილო ჩემო შიო, — თუ ვითარის მწუხარებით ვლევით ეს გზები. იქნება გახსოვდეს და დიახ ყმაწვილი იყავ, იქნება არ გახსოვდეს; ხან ქვეითს გატარებდი და ხან მჴარზედ გისვემდი, აგრეთვე ბებია შენი და დედა შენი მოდიოდნენ დალალულები. ცხენი არ მეშოებოდა და სხვა გზა არ საით

მქონდა. ველარ გამეგო თუ რომელი მწუხარება მეწუხნა: ქვეყნის წახდენა, რაც გვქონდა და მებადა იმის დაკარგვა და აკლება, თქვენი მშივრების და ქვეითების სიარული, ჩემის სიმამრის და სიდედრის,—პაპის შენის და ბებია შენის, დაკარგვა, რომ ქალაქში დარჩნენ და სრულებით დაიკარგნენ, თუ სხვა და სხვა შეწუხება?

მოვედით რა დუშეთს, მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი და ყოველი ფომილია სამეფო. დაეჭერინებინა მეფეს რამდენიმე ბარგისა ამკლებნი ავაზაკნი და მოეტანათცა ნივთნი რომელიმე, უმეტეს სამკაულნი სვეტის ცხოვლისანი; და უკეთუ მოჰქონდათ, ქურდთა და ავაზაკთა რაჲმე, თვინიერ ეკკლესიის ნივთისა, აწ იკლებდენ იასაულნი, დაყენებულნი მეფისაგან და არა ანებებდენ პატრონთა 17a
თვისთა, უკანონობისა ძლით ქვეყანისა ჩვენისა. აქ ვიპოვე დიახ მცირე რამ, ჩემის დაკარგულის ნივთებიდამ, წიგნებიდამ: პარაკლიტონი, სამოციქულო, კურთხევანი, კონდაკი და ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. ქვეშაგებიდამ: ერთი ჯეჯიმი. სპილენძიდამ: ტასტი და ორი სინი და სხვა ვერა რა. დავყავით მცირე ხანი შეწუხებით მუნ. მეფე, სამეფოს ფომილიით კახეთს წაბრძანდა. თვისი შვილი, იულონ, ქართლში გამოგზავნა. წარმოვყევ მუნიდამ მეფის ძეს იულონს. პირველად მოვედით მეჯვრისხევს, 26 დეკემბერს ჩავედით გორს. ზამთარი იგი განვლევით მუნ, გორის ციხეში დგომით და მეფის ძეს იულონთან სამსახურით. იქნება შენც გახსოვდეს, შვილო შიო, და იქნება არ გახსოვდეს ამ ჟამებში რამდენი მწუხარება გვქონდა. არაფერი სასმელ-საჭმელზედ მოსახმარები ჰურჰელი არა გვეშოებოდა რა. ქვაბი რომ გვეშოვნა მოსახარშავათ, ჯამებს ველარ ვიშოვნიდი; აგრეთვე სხვას ნივთებს. რაღა გავაგრძელო: ან უქვეშაგებობა, ან უტანისამოსობა და ან სხვას ნივთებისაგან მოკლება, რომ აღარა გვქონდა რა და ყველა დავკარგეთ, ეს კმარა. ამავ წელიწადს, ეს მდგომარე ოკდომბერი რომ გავიდა, ნოემბერში გარდმოვიდა რუსის ჯარი საქართველოს მფარველათ,

ორი ბატალიონი. იმათი კამანდირი იყო პოლკოვნიკი სირეხნოვი. პირველად დადგნენ მუხრანს, შემდგომად გორს და ქ. ტფილისს. || 17ხ·

წელიწადსა 1796, ქრონიკონს უპდ (484), თთვესა შინა იანვარსა წარვედ დუშეთს ბრძანებითა უგანათლებულესის მეფის სძლის სალომესითა, მეფის ძეს ვახტანგთან, ნუ უკუ̂ჱ ბარგთა ჩვენთაგანი მეპოვენა რაჲმე. მუნ ვპოვე წიგნები ჩემი: ღრამმატიკა, ლოღიკა, მეტაფისიკა, ითიკა და ფისიკა, სხვა ვერა რაჲ.

ჰქმნა უჯერო ერმან დუშეთისამან და მახლობელ მისსა მდგომმან, აკლებითა მრავალთა წარჩინებულთა გვამთა ბარგისათა და ნივთთა ეკკლესიისათა და შემდგომად, კუალად არღარა გამოჩენითა, რომელ მრავალნი ნივთნი ეკკლესიისანი არიან დღესაც დაკარგულ მათ შორის და სხვას რაღას გამოაჩენდენ. ესე ყოველი იქმნა ერთაგან მუნებურთა. არა უწყი, მიიწერების საქმე ესე მპყრობელსა და მფლობელსა მათსა ზედა, ანუ არა, თვით ჰსცან შენ მკითხველო, რამეთუ მე არა აღვწერ, ანუ არა ძალმიძს. მოვედ მუნიდან კუალადვე გორს, ვერარას ბარგთაგანისა მპოვნელი, თვინიერ წიგნთა ზემო ჰკსენებულთა.

თთვესა ფებერვალსა კა (21) მომეცა ასული, რომელიცა მოვანათვლინე გორს, მეფის სძალს სალომეს და უწოდე ფებრონია. განვლე წელიწადი ესეცე გორს ყოფნით და ფრიადისა მწირობით. ამას წელიწადსა წარმოგზავნა ჯარითა დიდითა ზუბოვი იმპერატორმან ეკატერინა დარ[უ]ბანდის მხარიდამ. გარმოდგომილ ჰყვნეს დარუბანდი და აღიღეს მაისის ცხრას. ზაფხული იგი დაჰყვეს მუნ. შემოდგომას გამოვიდნენ ადრიბეჟანში, მუღალნჩონში, გარნა არავინ გამოჩნდა შემბმელი და წინა აღმდგომი მათი. მასვე წელიწადს, დეკემბერში, მოვიდა ჰამბავი დიდის იმპერატორის ეკატერინეს გარდაცვალებისა, რომელიცა იყო უბედურება საქართველოსა. დაჯდა იმპერატორად რუსეთისა ძე მისი, პავლე პეტრეს-ძე. ამან მიუწოდა ჯარითა თვისითა ზუბოვს; მუნვე

წარვიდა, ეგრეთვე გზასა ზედა დარუბანდისასა; ჯარისა მისგან, ექვსი ათასის კაცით, იარან[ა]ლი კურციკოვი 18ა
მოვიდა ზამთარსა მას, საქართველოსა შინა, გამომვლელი განჯასა ზედა.

წელიწადსა 1797, ქრონიკონს უპე (485), გაზაფხულსა მოვიდა კუალად ჰამბავი აღამამადხანის წამოსვლისა. შეჰქმნა რყევა სრულად საქართველომ, შიშითა მისითა. ამასვე ჟამსა გაძვირდა პური ესრეთ, ქალაქში იყიდებოდა ლიტრა ორ აბაზად და ოდესმე ათ შაურათ, ეგრეთვე შემსგავსებულად სხვაგან. ამ წლის ივნისის დაწყებაში, მოვიდა აღამამადხან შუშას[1], და ენება მუნიდამ შემოსევა ქართლსა და კახეთსა შინა, გარნა მოხედა ღმერთმან მოწყალებით საქართველოს: ივნისის დ (4) ღამით, უღალატეს ფარეშთა თვისთა აღამამადხანს და მოკლეს შუშის ციხესა შინა. განიბნია ჯარი მისი და წარვიდნენ თვის თვისად. ესრედ იჰსნა ღმერთმა საქართველო ოხრებისა მათისაგან. ამასვე წელს ივნისში, წაბრძანდა მეფის ძე იულონ ფომილიით გორიდამ, მამულსა შინა თვისსა, ბელოთს. მაშინ წარგიყვანე თქვენცა, შვილნო ჩემნო, დაგაყენე ტყვიავს და მე ვახლდი მეფის ძესა იულონს ბელოთს და ვცხოვრებდით ეგრეთვე მწირობით. აგვისტოში, რაც საქართველოში რუსნი იყვნენ, სულ წავიდნენ იმპერატორის პავლეს მიწოდებით. მაშინ მეფე ირაკლი ფომილიით თელავს იმყოფებოდა; მოუვიდა მეფის ძეს იულონს ჰამბავი დაბარებისა თელავით მამისა თვისისაგან, რამეთუ ომარხან ლეკის ჯარით ჭარში ჩამოსულიყო და ბატონი მეფე ერეკლეც ავათ გამხდარიყო. წარვიდა ბელოთიდამ კა (21) აგვისტოს. მე დავჰშთი მუნ, მეფის სძალთან ბელოთს, ვმსახურებდი მღუდელობით და ძეთა მისთა წიგნის კითხვით. შემდგომად არა მრავალთა დღეთა, ჩვენც კუალადვე წარმოვედით ბელოთიდამ გორს, და თქვენც ჩაგიყვანე ტყვიავიდამ გორსვე. ამ ჟამათ ოთხი თთვე დაუგვიანდა

[1] ავტოგრაფში: „შუშის".

მეფის ძეს იულონს კახეთს. მოვიდა გორს, დეკემბრის ია (11), ჟამს მას, ოდეს სმენოდა ძმისა თვისისა ფარნაოზის ქართლში წამოსვლა და სურამის ციხის მიტაცება. || 18b

წელიწადსა 1798, ქრონიკონს უპვ (486), გარდაიცვალა იანვრის ია(11), სანატრელ სახსოვარი, მეფე ირაკლი. მოგვივიდა ჰამბავი ესე გორს. განუცხადეთ ძესა მისსა იულონს და ფომილიასა მისსა. გარდიხადა[1] კვირა რაოდენიმე შესაბამის გლოვით. შემდგომად შემოეყარა ქართველნი, სამღუდელონი და საერონი; წარვიდა თელავს სატირლად წმიდისა. ორმეოცისა დაწყებასა შინა ამ ჟამს, იყო ტფილისში სენი მომსვრელი ცოდვათა ჩუენთა ძლით და განბნეულ იყო ხალხი მუნებური. გამოირჩიეს ძმათა თვისთა მეფედ უხუცესი ძმა, ძე მეფის ირაკლისა გიორგი, და დაჯდა მეფედ, უმეტეს ჯერ ჩინებითა და შეწევნითა ძმისა თვისისა იულონისათა. დაუმტკიცეს რა მეფობა ვ (6) მაისს, მოვიდა კუალადვე თელავიდამ მეფის ძე იულონ გორს. — დროთა ამათ შინა, ვითარ ვიქმნებოდი მწუხარებით, ჟამი ესე აცხადებს თვით.

განმრავლდა ცოდვათა ჩვენთა ძლით სენი იგი მომსვრელი, რომელსა უწოდებენ ჰირსა და განეფინა ქართლსა და კახეთსა შინაცა და ესრეთ გაჩნდა გორშიაც მაშინ. დიდსა სიმსწრაფლით ავიყარენით გორიდამ ი (10) ივლისს და მივედით კულბითას. მოეფინა სენი იგი მომსრველი ქართლს შინა, მაგრა უმეტეს გამრავლდა და გარდაემატა სენსა მას, შური მეფის გიორგისა, ძმათა თვისთა ზედა; გაუტეხა პირობაები, მოიყვანა ჯარი ლეკთა ვიდრე ხუთი ათასადმდე, დაუწყო ძმასა თვისსა იულონს თხოვა გორის ციხისა, გარნა მან, ვითარცა კაცმან მშვიდობის მოყვარემან, მისცა ციხე იგი ძმასა თვისსა ადრევე, მოყვანამდე ლეკის ჯართა; მაგრა მას ვინაითგან მუცლად ელო სალმობა, რომელ არს შური და მტრობა ძპათა თვისთა, არა დასცხრა მუნამდე, ვიდრემდის შვა შემსგავსებულად მიდგომილებისა, მაგრა

[1] დედანში: „გარდიხდა“.

ვგონებ ვითარმედ თხემსა მისსა, საცა დაუხდა იგი.

აქ, კულბითს ყოფნაში მომეცა ასული, და თქვენი, შვილნო ჩემნო, სექდემბრის იზ (17). ესე მოვანათლინე ოსე მღივნის ძეს დავითს და უწოდე სოფია. კულბ || ი- 19ა თიდამ ავიყარენით და დეკემბრის ვ (6) მივედით ბელოთს. ზამთარი იგი დავყავით მუნ, რამეთუ ქართლში ყოველს სოფელში ლეკის ჯარი იყო დარიგებული მეფის გიორგისაგან.

წელიწადსა 1799, ქრონიკონს უპზ (487), გაზაფხულს შეკრიბა კუალადვე სრულად ლეკის ჯარი ქალაქში მეფემან გიორგი და ზაფხულიცა იგი დაყვეს მუნ. მოკრიფა ქართლსა და კახეთსა შინა ჯამაგირი მათი და გაისტუმრა ეგრეთ; მაგრა ასეთსა შეწუხებასა შინა იყო ქალაქი ტფილისი ლეკის ჯარის მუნ ყოფნაში, რომ ვინც იმ დროს იმათ ყოფას არ დაესწრა, დაწერილს არც კი დაიჯერებს. არას დიდს კაცს, თუ მოქალაქეს, არა ვგონებ, რომ ქუდი შერჩენოდეს ქალაქში, რომ არ მოეტაცნოთ. ალებ-მიცემა და დუქნის გაღება ხომ სულ აღარ ყოფილა, სანამ ლეკის ჯარი ქალაქში იყო და სხვას რამდენს უჯეროს საქმეებს შვრებოდნენ, დადუმება სჯობს.

ამავ წელიწადს შემოდგომაზედ[1], მეფის გიორგის თხოვნით მოვიდა ერთი ბატალიონი რუსის ჯარი და მინისტრი პეტრე კავალენცკი და მოუვიდა სამეფო გვირგვინი და ნიშნები მეფის გიორგი იმპერატორის პავლესაგან. აგრეთვე მოუტანინა (sic) თავის შვილს დავითს მემკვიდრეობა და გამოაცხადა საქართველოს მემკვიდრედ. მე ასე ვგონებ, თუ მდგომარე ჟამი ჰგებს უფრო ეულათ, რომელიც მწირს ჰქვიან მდაბიურის ენით ქართულებ, ამაებით მეფეს გიორგისა და იმის ძმებში თუ რა გარემზომაები იშვა, შემდგომნი საქმენი აცხადებენ.

წელიწადსა 1800, ქრონიკონს უპთ (488), დაწყებაში მეფის ძე იულონ აიყარა ფომილიით ბელოთიდამ და-

[1] „შემოდგომაზედ"-ს მოსდევს სიტყვა „აგვისტოში". უკანასკნელი წაშლილია, მაგრამ ისე რომ ადვილად იკითხება.

ქრცხინვალს ჩამოვიდა. მეც ჩამოვყევ თან და თქვენც ჩამოგიყვანე, შვილო შიო. აქ მომეცა ღუთისაგან ძე, ძმა შენი, იანვრის კზ (27), რომელიც მოვანათვლინე მეფის ძის ძეს, ლეონს და უწოდე გაბრიელ. ესრეთ დავყავით ზამთარი ესე მუნ, მაგრამ ვმწუხარებდი ორისა მიზეზისათვის: ერთი || ამისთვის შემდგომის ჩვენის უბედუ- 19в
რების ნიშნები ცხადად ჩნდა და მეორეთ ამისთვის, რომ დედა ჩემი, ბებია თქვენი, მომატებულის სნეულებით დამძიმდა და ველარ ადგა. ამ წლის[1] ორმეოცის დაწყებაში, ფებერვალში მოვიდა კახეთის ჯარით ბატონიშვილი დავით გორს. მეფის ძე ფარნაოზ შევიდა სურამის ციხეში და გაამაგრა. დავითმა დაუწყო მოციქულობა და სურამის ციხის თხოვნა. ამ ჟამიდან, ბატონიშვილი იულონ საცა წაბრძანდებოდა, თან არ გამიყოლებდა ხოლმე, ბატონის სძალს ვახლდი, მღუდელობით ვმსახურებდი და ყმაწვილებს წიგნს ვაკითხებდი. ამ ჟამიდგან კი, თავისთან დამაწყებინა სიარული მეფის ძემ იულონმა მწერლობის მიზეზით, რომ მწერალი არავინა ჰყვანდა. ტყვიავს მიბრძანდა ბატონიშვილი იულონ, მეც თან ვახლდი. თავის ძმისწული დავით დაიბარა. ამოვიდა იქ, ნახა, ორს კვირამდინ იქ დაგვიგვიანდა, შემდგომად ისევ ქრცხინვალს გადმოვედით. აჰყარა თავის ფომილია და ბელოთს წაიყვანა მეფის ძემ იულონმა. გავყევით ჩვენც ისევ თანა აპრილს[2] ოთხს დიდს ოთხშაბათს[3] მოციქულები მოუვიდა დავითისა იულონს; სურამის ციხეზედ მინდა მივიდე, ან ჯარით გამომყევ შენც თანა, თუ არა და აღდგომის მეორეს დღეს ორშაბათს შენზედ მოვალო. ამან სურამს გაყოლის უარი შეუთვალა Ө(8). აპრილს[4], აღდგომის დღესასწაული რომ გარდავიხადეთ, ორშაბათს, თ (9) აპრილს, ჯარს დაუძახა და კულბითს

[1] „წლის“ ჩამატებულია დედანში ავტორისავე ხელით.

[2] „მარტს“ წაშლილია.

[3] „დიდს ოთხშაბათს“ ჩამატებულია.

[4] „ Ө (8) “ მოსდევს სიტყვა „მარტს“, რომელიც წაუშლია, ისე კი, რომ იკითხება.

ჩაბრძანდა. მეც თან მიხლო. ოცდა თოთხმეტი დღე იქ ვიდექით ჯარით. დავით ჩვენზედ კი აღარ მოვიდა. ფარნაოზს სიტყვით საბრხე შეუმზადა, შეჰფიცა, ციხიდამ გამოიყვანა, გორს ჩავიდა დავითთან, ფარნაოზ რა კელთ იგდო, დაიჭირა, ციხე წაართო, ჯარი დაშალა და წავიდა. ამ კულბით დგომაში დედაჩემი, ბებია თქვენი, დიდათ ავათ იყო. ამდენი ვერ მოვიცალე, რომ სანახავათ ამოვსულიყავ; არა თუ ჩემი საქმე მქონდა, ბატონიშვილი თავს არ მანებებდა, რომ ნიადაგ საქმეები ჰქონდა და სხვა მწერალი არავინა ჰყვანდა. ერთს დღეს დავეთხოვე, ამოველ ბელოთს, დედაჩემი ვნახე და მეორეს დღეს ისევ დავებარებინე, წამიყვანეს. ჩემის ცოდვით და უბედურებით ამისთანას ჟამს, მომივიდა ჰამბავი, რომ დედაჩემი ალ || სრულებულიყო, მაისის დ (4). წამოველ და იმ ღამეს 20a მოველ ბელოთს, სალამოს ხანზედ შევიტყვე, დღისა ერთი საათი იქნებოდა კიდევ; ღამისა ორი საათი იქნებოდა გასული, რომ მოველ; ბელოთს ხომ ეკლესია არ არის მიცვალებულის დასამარხავი. მეორეს დღეს, რითაც ღონით იყო ვეცადე, რომ მიცვალებული არბოს ეკკლესიაში ჩავიტანე და იქ დავმარხე. კაცი გამოეგზავნა ბატონისშვილს იულონს, ზევით აღარ გამომიშვა; იქიდამ ისევ კულბითს გამიყვანეს.

ამ დროს მისთანა მწუხარებაები მომადგა მშობელს და მოამაგეს დედის სიკვდილზედ. ამ გვარათ მოუცლელობა; თქვენ იქ ბელოთს იყავით უპატრონოთ, ეს კიდევ სხვა საწუხარი იყო. დღე ყოველ შფოთს მოველოდებ მას გარდა [1], ეს კიდევ სხვა საწუხარი მქონდა.

დავითმა ჯარი დაშალა და ქალაქს წავიდა. ჩვენც ბელოთს მოვედით. ეს ზაფხული ასე მწუხარებით განვ[ვ]ლეთ. ბატონისშვილი ქალაქს წაბრძანდა დედოფლის წამოსაყვანათ; სამნი ძმანი: იულონ, ვახტანგ და ფარ-

[1] „მოველოდებ"-ის შემდეგ „მას გარდა" ჩამატებულია, ხოლო მომდევნო წინადადება: „ეს კიდევ სხვა საწუხარი მქონდა", წაშლილია ერთი ხაზით ისე, რომ ადვილად იკითხება.

ნაოზ[1] ჩავიდნენ ჯარით ავჭალას დედოფალი კავალენცკიმ არ დაანება და მოვიდნენ ისევე ცარიელები. ამ ჟამათ, ბატონის სძალს ციება დააწყებინა. ბელოთიდამ კულბითს ჩამოიყვანეს. სამი თვე მე იქ ვახლდი და თქვენ, უპატრონოთ, ბელოთს იყავით. ამ წელიწადს რამდენმაც თვემ გაიარა, ახალი და ახალი სამწუხაროები მემატებოდა, რომელსაც ბოლოს დასასრულ უარესი მიეცა; გიორგი მეფე გახდა ავათ. მორჩენის იმედი გადაწყვეტილი იყო. მეფობას დავით ცალკე ცდილობდა, იულონ ცალკე.

ამ წელს[2], დეკემბრის იჱ(18) წაბრძანდა ბატონისშვილი იულონ ქალას, თავის ძმის, ვახტანგის სანახავათ. იქ შეიყარნენ ერთათ, კ (20) დეკემბერს საღამოზედ, მეც იქ ვახლდი. ერთი საათი იქნებოდა ღამისა გასული, კაცი მოვიდა, მეფის გიორგის სიკვდილის ჰამბავი მოიტანა. მაშინ კი შეღონებულიყო და ისევ მობრუნებულიყო, მაგრამ ცოცხლის ანგარიშში კი აღარ იყო. კ (20) დეკემბრიდან, კჱ (28) დეკემბრამდინ, ისე სულთ მობრძავმა იცოცხლა და ოცდა რვას დეკემბერს კი აღსრულდა. ‖ 20b

ქალიდან რომ წამობრძანდა ბატონისშვილი, ბელოთს აღარ ასულა. შობის დღესასწაული მეჯვრის ხევს გარდავიხადეთ და იქიდამ ზემო ქართლში წაველით. დირბს მიბრძანდა. იქ შემოეყარნენ ქართლის თავადიშვილნი, ამილახვარი და წარჩინებულნი ყოველნივე; იქიდამ რუისს ჩამოვედით. ნათლის ღების დღესასწაული იქ გარდავიხადეთ. იქ მოუგზავნეს[3] მოციქულები და დაჰპატიჟეს მეფის ძეს იულონს, რომ მეფობა ეწოდებინა, მაგრამ არ ინება.

---

[1] „სამნი" წაშლილია ერთი ხაზით.

[2] „ამ წელს" ჩამატებულია ავტორისავე ხელით, როგორც ყველა მსგავს შემთხვევებში.

[3] მოუგზავნეს. შემდეგ წერია „კაცი", ოღონდ წაშლილია ერთი ხაზით ისე, რომ იკითხება.

ჴელმწიფესთან რომ მუჯალამა (sic) მისწერეთ და ჩვენც არზები მივართვით, იმას მოუცადოთ და კახელების შეყრასაო. აქედამ წარსულნი ჩავედით მუხრანს. იქ შემოიყარნენ ძმები: ვახტანგ და მირიან. ამ ჟამებში, წერისაგან ამდენი მოცლა არა მქონდა, რომ ოცდა ოთხს საათში ექვსი საათი დამეძინა და შემესვენა. ბევრჯელ ოცდაოთხ საათში, ერთი და ორი საათიც ვერ მოვიცალე რომ დამეძინა. აქ, მუხრანს, ლაზარევს იარანალს თავის ატუტენტი გამოეგზავნა და წერილები, რომელიც აცხადებდა, რომ გიორგი მეფეს საქართველო ჴელმწიფისათვის მიურთმია (sic) და ჴელმწიფესაც მიეღო, დავით მემკვიდრე უნდა იყოსო და ჴელმწიფის ბრძანებას უნდა მოუცადოთო.

წელიწადსა 1801, ქრონიკონს უპთ (489) [ბატონიშვილს იულონს] ქართველნი ყოველნი თან ახლდენ, კ (20) იანვარს წავედით მუხრანიდამ კახეთში შესასვლელად. იმ ღამეს მივედით მარტყოფს. ჩვენი წასვლა რომ შეეტყოთ, იოანე ბატონისშვილი ჯარით და გულაკოვი (sic) იარანალი თავის[1] პოლკით გამოგვედგომოდენ. ვახშამთ უკან კაცი მოგვივიდა მარტყოფს, რომ ქალაქიდამ გამოვიდნენ და თქვენზედ მოდიანო. ჩვენ მაშინვე ავიყარენით და ქიზიყს წავედით. სამნი ძმანი იყვნენ იქა: იულონ, ვახტანგ და მირიან. მირიან არაგვზედ წამოსასვლელათ დააბრუნეს და ორნი ძმანი, იულონ და ვახტანგ ქიზიყისაკენ წავიდნენ. ოთხასი კაცი ვიქნებოდით სულ იმ ღამეს; როგორც მარტყოფიდამ ავიყარენით, ერთი ასეთი საშინელი ქარი ამოვიდა, რომ არას დროს იმისთანა ქარი არ მინახამს. კა (21) სალამოზედ[2] ქიზიყს[3] ჩავედით[4]. ბოდბეს რომ გათენებულიყო, იოანე ბატონისშვილი და რუსის ჯარი

---

[1] „თავის“ შემდეგ წერია „ბატალიონით“, რომელიც იოანეს წაუშლია ერთი ხაზით და შეუცვლია „პოლკით“

[2] „სალამოზედ“-ს მომდევნი სიტყვა „ბოდბე“ წაშლილია.

[3] „ქიზიყს“ შემდეგ წერია „მალარო“, რომელიც წაშლილია.

[4] „ჩავედით“-ს შემდეგ, ისევ „ქიზიყი“ სწერია.

მარტყო ‖ ფს მოსულიყვნენ. მირიანს გარდა, ჩვენი ხალხი 21a ვინც დაეხელებინათ იქა, ყველანი დაეჭირათ და ავათ მოპყრობით ქალაქს გაეგზავნათ. სიონის დეკანოზი იოანე იყო ჩვენთან და იქ დარჩა; ისიც დაეჭირათ, ავათ მოპყრობით ქალაქს გაეგზავნათ. ჩვენი ქიზიყისკენ წასვლა რომ შეეტყოთ, ახლა იქ გამოგვდგომოდენ უკან. ქიზიყს კა (21) იანვარს, ღამე მივედით. მეორეს დღეს კბ (22) იანვარს იქ დავყავით. ქიზიყელნი და ბებურიანი მოვიდნენ, შემოგვფიცეს იულონის მეფობაზე და შემოგვეხვივნენ. კბ (22) იანვარი რომ დაღამდა, ჩვენი გამოდგომილი რუსის ჯარი წინა კაცი მაღაროს მოვიდნენ და დადგნენ გზაზედ. რაც უკან კაცი დაგვრჩა, ან ბარგი, ისინი სულ იჭირეს და აბრუნეს ვინც[1] ქართველნი იოანე ბატონისშვილს, ახლდნენ იმათა. იანვრის კგ (23) დილაზედ რუსების მომდინარეობა რომ შევიტყევით, ქიზიყელნი ყველანი ჩამოგვეცალნენ. ჩვენც გამოვედით ქიზიყიდამ იორში და ჩამოვედით. ის ღამე გათენებამდინ სულ ვიარეთ და რომ გათენდა, სართის ჭალას მოვედით. ცოტას ხანს შევისვენეთ იქა, რომ იმ საშინელმა ქარმა, სიმშილმა და უძილობამ ძალა გვიყო. კდ (24) იანვარს საღამოზედ ნორიოს მივედით. იმ ღამეს იქ შევისვენეთ და მეორეს დღეს, კე (25) იანვარს, მუხრანს ამოვედით. მარტყოფიდამ წასული სანამ მუხრანს მოვიდოდით, ასეთი საშინელი სიცივე და[2] ქარი იყო, რომ ბევრი კაცი დაბერვით ცხენიდამ გადააგდო ქარმა და ცხენი წააქცია.

იანვრის კვ (26) მუხრანს შევიტყევით, რომ ერისთვის შვილები მეჯვრის ხევს შესულანო. იანვრის კვ (26) და კზ (27) იქ დაგვიგვიანდა. წიგნები ჰქონდათ საწერი, იანვრის კჱ (28) მუხრანიდამ წამოვედით, იმ ღამეს ჭალას ვიყავით. იქიდამ კთ (29) თორტიზას მი-

---

[1] აქ „ვინც" ჩამატებულია და შემდეგ წაშლილია ისე, რომ იკითხება.

[2] „სიცივე და" ჩამატებულია ზემოდან ავტორისავე ხელით.

ვედით და ლ (30) ჯარიაშენს, სამჯერ ერისთვის შვილებთან სროლა მოგვიხდა. აქ ჯარიშენს დგომაში, ორჯერ და სამჯერ ქალაქიდამ დაჭეშმარიტებით ჰამბავი მოგვივიდა, რომ დავით მოდის რუსის ჯარით თქვენზედაო. ამ მიზეზით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ, ფებერვლის ვ (6) მეფის ძე იულონ ფომილიით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისაკენ წამოსასვლელათ გამოემგზავრა. მეც აგყარე თქვენ და კრცხ||ინვალს ჩამოგიყვანე; 21b იქიდამაც მინდოდა იმერეთს წამომეყვანენით, მაგრამ თოვლი, ზამთარი და ავი დარი იყო; ოთხნი, ცხენზედ ჰელში დასაჭერი წვრილი ყმაწვილები იყავით, შვიდირვეა ცხენი გვინდებოდა, ამის მიზეზით თქვენ კრცხინვალს დაგაგდე და მე იმერეთს, ბატონისშვილს თან გამოვყევ. ორ[ი] თვე იყო, შინ არა ვყოფილიყავ და თქვენი არა ვიცოდი რა. ახლა ეს მომიხდა. რის ყოფით და მწუხარებით მთა გადმოვიარეთ. ერთი ლამე თოვლში და ავდარში მთაზედ ლამე (sic) დავრჩით. მე ჩემის თავის აღარც დაღალვა მეწუხებოდა, აღარც სიცივე. სული ჰორცში თითქმის აღარ იდგა. თქვენი მწუხარება მკლევდა, რომ ისე საცოდავათ დაგყარე იქა. თუ მეც თქვენთან დამდგარ ვიყავ, და არ გავყოლოდი ბატონისშვილსა, უფრო ბიაბრობა მომადგებოდა [1].

ი(10) ფებერვალს გადმოვედით იმერეთში. რამდენიმე დღე სვერსა და გზაზედ სოფლებში შევისვენეთ. კმ (23) თებერვალს ჰალატყეს მიგვიყვანეს. ჩვენი დასადგომი სახლები იქ გაეკეთებინათ. ვიდექით იქ და ვიყავ მწუხარებით. აქ ჰალატყეს მომივიდა თქვენი ჰამბავი და თარხანისშვილის წიგნი, რომ აეყარენით კრცხინვალიდამ თქვენ და გორს ჩაეყვანეთ თარხნისშვილს [2]. რა საკვირველია, ჩემს მწუხარებას ეს კიდევ უფრო მოემატებოდა. ვიყავ ამ მწუხარებით მარხვა დარჩენილი და [3]

[1] „თუ წამეყვანეთ“ წაშლილია ისე, რომ იკითხება.

[2] „თარხნის შვილს“ ჩამატებულია, ტექსტის ხელითვე.

[3] „მახვა დარჩენილი და“ ჩამატებულია.

საუფლო დღესასწაული აღდგომისა, აქ, ჰალატყეს გარდავიხადეთ. აქავ დგომაში მოგვივიდა ჰამბავი რუსეთის იმპერატორის პავლეს გარდაცვალებისა; ია (11) მარტს გარდაცვლილიყო.

აპრილის კთ (29) ავიყარენით ჰალატყიდამ და ჩავედით ქუთაისს. აწ ვართ აქა სამეფოს პალატში. ივნისში მოგვივიდა ჰამბავი ინსპეხტორის[1] ტფილისში მოსვლისა და დავითის მემკვიდრებიდან გადაყენების და კვალადვე ამბავი ინსპეხტორის ისევ წასვლისა. აგვისტოს იდ (14) წავედით გელათს დღესასწაულზე. იქ დავყავით და მოვედით კვალადვე ქუთაისს. ამის წერას სეკდემბრის 10 მოვყევ. დღეს ოკდომბრის ორი არის, რომ მოვაწიე აქამდინ დავწერე; უფრო მალე დავწერდი, მაგრამ მეფის ძემ ფარნაოზმა, მეორე ტომი ღუთისმეტყველება მათხოვა, იმას ვკითხულობდი და ეს კი დამრჩა. ‖ 22a

წელიწადსა 1801 ქორონიკონს უპთ (489), ოკდომბრის ვ (6) ამის წერა შევასრულე აქამდინ[2], ვიმყოფები აწ ქუთაისს, სამეფოს კარის საყდრის კარის ბჭეში, თქვენის ამდენის ხანის მოშორებით შეწუხებული. რაც მახსოვდა წარსული, თავსა ზედა ჩემსა ქმნილი საქმენი, ყოველივე ამას ზევით აღვწერე და შემდგომი, უწყის ღმერთმან, შვილო შიო და გაბრიელ! ჩემი ამას ზევით რაც მწუხარება სწერია, ეს მიზეზი იყო და ახლაც იმერეთში გადმოყოლა; ამდენს ხანს თქვენი მოშორეება და აქ ყოფნა ეს მიზეზი არის, რომ თქვენთვის საბოლოო რიგიანი ბინა მინდა დამეგდო. ღუთით, მოიმედეცა ვარ კიდევაც, თუ ვიცოცხლე, უბინაოთ არ გაგიშვათ. სანამდინ იმერეთში გადმოვყვებოდი ბატონიშვილს, [იულონისაგან] მანამდინვე წიგნი მაქვს ნაბოძები,—1797 წელიწადს ქორონიკონს უპე (495), მეორე ანუ შუა[3] აზნაურ შვი-

[1] „ინსპეხტორის“ — დედანშია.

[2] „აქამდინ“ წაშლილია ისე, რომ იკითხება.

[3] „ანუ შუა“ ჩამატებულია, ამავე ხელით.

ლის შესაფერი ყმა და მამული ჩემგან მოგეცემა, გომიჯვარს საქმე აღარა გაქვსო, თარხნისშვილი რომ ექიდებოდა იმ მიზეზით, იქიდან კელი ამაღებინა. პატივი და სისხლიც, შუა აზნაურ შვილისა უნდა გქონდესო. ჩემი ცდა ეგ იყო, რომ ამისათვის სისრულე მიმეცა, რომ თქვენ ამ პატივზედ და ამ ხარისხზედ დამყარებულიყავით და ახლაც ეს არის. ეს ნაბოძები წიგნი, ხომ ადრინდელს სამსახურების მაგიერია. აქამდინ მამულსა და ყმაზედ, კიდეც ვიდგებოდით, მაგრამ, როგორც ზევით დავწერე, არეულ[მ]ა დრომ და ჟამმა არც ბატონი მოაცალა, და არც მე მომაცალა. ოქმით ნაბოძებიც მაქვს მამული, ღუთის მოწყალებით[1]. იმედი მაქვს, რომ რუსეთის იმპერატორმა მოწყალებით მოხედოს და ბატონი ჩემი, მეფის ძე იულონ, ბედნიერობით საქართველოში გარდმოვიდეს. მაშინ ყოველსავე, ყმასა, მამულსა და ჩვენს ბედნიერობას სისრულე მიეცემა. ვინ უწყის, შვილნო, თუ ჩემის ცოდვით თქვენი ნახვა აღარ მეღირსოს, რადგან ამისთანა ადგილსა ვარ მიცემული, კაცი ვარ კორცში მყოფი, რა ვიცი, რა მეწიოს. ახლა რომ არცერთს ჭკუა და გაგება არა გაქვსთ, ყმაწვილები ხართ. სრულს ჰასაკში რომ მიიწიოთ, თუ ამ ჩემგან დაწერილმა თქვენთან მო-
22b აწიოს და ნახოთ, ჩემი საქმე ყოველივე ასე იუწყეთ: || ყმა არა გრჩებათ, მამული და სხვა ასეთი რამ, იმის გარიგება ანდერძად დაგიწერო. წიგნები დამრჩება და ბარძიმ-ფეშხუმი, ეცადენით ეს წიგნები დაისწავლოთ, არ დაჰყიდოთ და უბრალოთ არ დაჰფანტოთ.

ჩემი დარიგება კიდევ ეს არის, რომ, რომელიც სარწმუნოება მიგიღიათ, მართლ მადიდებელთ აღმოსავლის ეკკლესიისა, მაგაზედ მტკიცეთ და შეურყევლათ იყვენეთ; კეთილი საქმის მოგებით და სათნოების აღსრულებით, თქვენი თავი შეზღუდოთ, ეკკლესიის განწესებას ყოველსავე დეამორჩილნეთ, დედით თქვენის მორჩილებას ეცადნეთ და აღასრულოთ; ორი წვრილი დები გყავთ,

[1] დედანში „მამული ღრ-ს მოწყალებით". ჩამატებულია ზემოდან.

ღმერთმა რომ მშვიდობა მოგცესთ და დაიზარდნენ, ეცადენით რომ ეგენიც გაათხოვოთ, ან სამღვდელოს კაცს მისცეთ და ან კელოვნების რისამე მცოდნეს. მართალია ჩემგან საბოლოო კი არა გრჩებათ რა, მაგრამ მეც ამას გევედრებით, რომ არ დამივიწყოთ და მომიგონებდეთ ხოლმე; წელიწადში ერთხელ შეგეძლოსთ, თუ ორჯერ, მიწირვინებდეთ. შვილო შიო! დედაჩემი, ბებია შენი თამარი, დიდი მოამაგე იყო შენი,—ღმერთმა რომ მშვიდობა მოგცეს, ნურც იმას დაივიწყებ მოგონებით და მოჴსენებით. ასე გარწმუნებ, რომ მას უფრო დიდი ამაგი აქვს ჩემგან შენზედ.

კიდევ ამას გევედრები, შვილო შიო! [თუ] ღმერთმა ინება, შეძლება მოგცა, რომ შენც სამღუდელოთ გაიზარდე და შენი ძმაც სამღუდელოთ გაზარდე, ხომ რა კარგი; თუ არა, შენ გონებასა და ასაკს მალე მოხვალ, სიყრმეს მალე დაუტევებ, შენი ძმა გაბრიელ პატარა არის, მაგისას მაინც ეცადე, რომ სამღუდელოთ გაიზარდოს და მღუდელობა მიიღოს. ႬႭჃႢႤႸႨႬႱ ႫႺႤႫႤႪႭ ႱႭჃႪႭ ႼႫႨႣႠႭ [1], ნუ განმიყვანებ მე კერძთაგან დღეთა ჩემთასა, არამედ წმინდა მყავ ყოვლისაგან ბიწისა და შემეწიე რა მეცა უმჯობეს იყოს აღსრულებად აღსვლისა მომართ ზენაისა სამეფოსა, რათა თაყვანს გცემდე თანა, ႫႠႫႨႧ და ႻႨႧႭჃႰႧ [2], უკუნისადმე, ამინ. ‖ 23a

იმის უმაღლესობას მეფის სოლომონს წიგნების დასაწერათ დაევებარებინე ცხრაწყაროს. ქუთაისიდამ წაველ ოკდომბრის ზ(7). ერთი კვირა ვახლდი. კვალადვე ქუთაისს მოველ მეფის ძეს იულონთან ამის თვის 14.

იმისმა უგანათლებულესობამ, მეფის ძემ იულონმა, გამგზავნა მეფესთან კულაშს, სამიქელაოში. აქ ყოფნაში მიიღო დასასრული თვემან ამან ოკდომბერმან და დაიწყო ნოემბერი. დავჰყავ მუნ დღენი რაოდენნიმე, მოვლეთ

---

[1] ნუგეშინის მცემელო სულო წმიდაო.

[2] მამით და ძითურთ

სოფლები ვაკისა სხვა და სხვა. ნოემბრის ვ(6) მოველ კვალადვე ქუთაისს. ნოემბრის 14 მომივიდა წიგნი და ჰამბავი მშვიდობით ყოფნისა თქვენისა, შვილნო ჩემნო. აწ დღესა ამას, ნოემბრის 15 ვარ ქუთაისს და შემდგომი უწყის ღმერთმან, რომლისა მიერ განეგების[1] ყოვულივე, რომლისაცა უმაღლესსარე ნებასა ქვეშე შევვედრებ მეცა თავსა ჩემსა. ნოემბრის 27 მეღვინეთ ხუცის შვილი—პაატა წამოვიდა ქართლში, ჩემი ვეცხლის ბარძიმფეშხუმი იმას გამოვატანე მიბარებით, ამანათათ. ბარათი მაქვს იმისაგან მოცემული ყველასი, რაც იმ კოლოფში არის. თთვემან ამან, ნოემბერმან, მიიღო დასასრული და იწყო დაწყება დეკემბერმან. ჟამსა ამას გაისტუმრეს უმაღლესს კარსა ზედა რუსეთისასა დესპანი რომელ არს ელჩი.

დავჰსწერენ წიგნნი გასატანებელნი მისნი, არზანი მეფის სოლომონისა და მეფის ძის იულონისანი დიდებულებისადმი მისისა და სხუათა ჩინებულთა გვამთა. წელსა ამას, ჟამნი ესე ზამთრისანი იყვნეს ტაროსნი ესრეთს ქუთაისს შინა, რომელ მსგავს იყო მაისისა. დეკემბრის 13 მოერთო ვარდი მაისისა და ივნისის მსგავსი. გენათლისაგან დღესვე ამას მომიტანა ჰამბავი მშვიდობით ყოფნის თქვენისა ალექსიძე ანდრიამ. თვე ესე დეკემბერი დავჰყავ კვალადვე ქუთაისს. გარდავიხადეთ დღესასწაული საუფლოჲსა შობისა; აწ კვალად დღესა ამას იანვრის ა (1) გარდამხდელი დღესასწაულისა. 1802 წელს იანვრის 1 ვარ ქუთაისს მწუხარებითა თქვენითა გარემოცული, ვწერ ამას ჟამისა მწუხრის დარეკისასა. ‖ 23b

შემდგომათ თთვესა ამას შინა იანვარს, ვიწყე მზადება იმერეთით ქართლს წამოსასვლელად, ნების მოცემითა მეფის ძის იულონისათა. წარველ ვარციხეს გამოსათხოვნელად მეფისა, დავჰყავ მუნ საუფლოსა დღესას-

[1] „განეგების“ ნაცვლად დედანში „განებების“ სწერია, არევია „ბ“ და „გ“ ერთ შემთხვევაში.

წაულსა ნათლისღებისასა. თთვესა ამას, იანვრის 31, წარმოველ იმერეთით საქართველოდ. ფებერვლის ვ (6) მოველ სურამს. აქა უკუჱ იყო კაპიტანი პართენ ეკთიმიჩი. ამან დამაყენა ორსა უკვე ღამესა ტეძერს (sic) და შემდგომად სურამს გარდამახდევინა კარანტინი[1] კვირიაკესა ორსა. აქა უმეტესითა შეწუხებითა დავყავ, ვითარცა პყრობილმან. ფებერვლის 18 დღესა ამას, მომცა ბილეთი და გამომიტევა ჴსენებულმან კაპიტანმან. ტფილისში მოველ თთვესა ამის 22 დღესა. ჟამსა მას იყავით თქვენ პატარძეულს; არა მაუფლა იანარალმან ლაზარევმა წარმოსვლა პატარძეულს, ამისთვის დაგიბარე თქვენ ტფილისს ქალაქსა შინა, ჩამოხვედით[2]. განვიდა თვეცა ესე ფებერვალი.

მარტის 10 ჩამოხვედით თქვენცა ავლაბარში, განვიხარე ხილვით თქვენითა. ვთხოვე სახლი უმაღლესს საქართველოს დედოფალს დარეჯანს, მიბოძა, დავდექით ავლაბარში. მე კვალად მეგულვების წარსვლა იმერეთს, ამისათვის ვარ უ·ეტეს მწუხარე; ვინაჲთგან ვერ ძალმიძს უპატრონოდ გაშვებად თქვენდა და ესრეთ სრულ იქმნა თთვეცა ესე.

აპრილს 1 ავიღე ბილეთი იმერეთს წასასვლელად, მაგრა ველარა შევიძელ წასვლა მი[ზე]ზთა რომელთამე ძლით, ვინათგან მოვიდნენცა კნორინღი და კოვალენსკი[3] აპრილს 9. წარკითხვა მანიფესტისა და დაფიცება ტფილისის სავსებისა აღსრულდა აპრილს 12, ეკლესიასა შინა სიონისასა, წინას ჯვარსა ზედა, რომელთა თანა ვიყავ მეცა. აპრილს აგიჴრევინე ყვავილი ოთხთავე, შვილნო ჩემნო, და ესრეთ აღსრულდაცა თთვე ესე და კოვალენსკი დაადგინეს საქართველოს განმგებელად.

მაისის 8 მოხდა ცერემონიით ტფილისში ღუბერნიის გახსნა. თვეთა ამათ შინა მაისსა და ივნისსა იხადეთ

---

[1] დედანში „კარახტინი“.

[2] „ჩამოხვედით“ წაშლილია ისე, რომ ადვილად იკითხება.

[3] „კოვილინსკი“ დედანში.

თქვენ ყვავილი და ყოველისა საქმისა || დამატებული, მას 24ა ჟამთა გივლიდი თქვენ.

განთავისუფლდით თქვენ ყვავილისაგან შეწევნითა ღუთისათა, მაგრა აწ უკვე ვარ ამას მწუხარებასა შინა, ვინაჲთგან ვერღარა შემძლებელ ვიქმენ წარსვლად იმერეთს და დაკლებულ ვარ აღმზრდელისა ჩემისა და უხვად მოწყლისა მეფის ძის იულონის ხლებასა და ხილვასა, მეუღლისა და ძეთა მისთასა მოშორებითა მათითა შეწუხებული ვარ. უკჳჱ თთჳჱსა ამას შინა, აწ დაწყებულსა აგვისტოს ვ (6) [ვიმყოფები] ავლაბარში დედოფალს დარეჯანთან და კვალად ვმწუხარებ ამას ზედა, ვინადგან მოკლებულ ვარ მდღევარისა საზრდელისაგან; არა უწყი სადით წარვიდე, ქართლად, ანუ კახეთად, რათა მოვირეწო საზრდელი თქვენთვის[1]. ექვსი თთვე არს ყოფა ჩემი ქალაქსა ამას შინა და არა ვარ მშოვნელ ექვსისა აბაზისა; გარნა არა წარვიკჳჱთ სასოებასა და ველი რათა ნუგეშინის ცემა ჩემი შესრულდეს თვესა ამას შინა, ძალითა ღუთისა დედისათა, ვინათგან სახელითა მისითა წოდებულ არს თთვე ესე, და იგი არს სასო მისდა, ვისდამიც არს მოლოდება ჩემი. დღესა ამის, აგვისტოს 7, აღვწერე პუნქტი ესე, ვიდრე ამად ადგილადმდე.

თთვესა ამას[2] შინა მოხდა სხვა და სხვა რიგად აღრეულებითი დრონი, კახეთსა და ქართლსა შინა, რომელსაცა ვინცა წარიკითხავს, მაშინდელი დრო[ს] მოგაგონებს[3]. აღვასრულე თთვე ესე, სამსახურსა შინა ყოფნითა უმაღლესის დედოფლისა დარიასითა, რომლისაგანც მომებოძა თთვესა ამის აგვისტოს დაწყებიდამ ულუფა, დალათუ არა საკმა, გარნა შესაბამი დროსა და მდგომარეობისა ამის.

---

[1] „თქვენთვის“ ჩამატებულია იმავე ხელით.

[2] „თვესა ამას“ ვიდრე „მაშინდელი დროს მოგაგონებს“ წაშლილია ერთი ხაზით, — იკითხება თავისუფლად.

მიიღო დაწყება თთვემან სეკდემბერმან, ესეცა სრულვყავ ზემო ჰკსენებულის მდგომარებისამებრ; ეგრეთვე თთვე ოკდომბერი თქმულითავე სახითა. თთვესა შინა ნოემბერს წარველ ქართლს, დავყავ მცირედსა ხანსა და აწ უკვე ვიმყოფები კვალად ტფილისს შინა მსახურებასავე შინა დედოფლის დარიასა; აწ უკვე დაწყებასა შინა თთვისა დეკემბრისასა და ვწერცა პუნკტსა ამას, || გარ- 24b
ნა შემდგომი უწყის მხოლოდ განგებამან საღმთომან.

II

## მოსაგონებელნი რიცხვნი

წელნი აღწერილნი სახსოვრად შობისა ჩემისა და ძეთა 2a
და ასულთა ჩემთა და სხვათაცა რ[ომე]ლთამე, ვითარცა უწყებულ არს ჩემდა.

შობილ ვარ მე 1772-სა წელს, სეკდემბრის 20-სა დღესა, ქართლს, სოფელსა შინა ფხვენისს.

ვიკორწინე 1788 წელსა, იანვრის 16-სა დღესა, ქალაქსა ტფილისს.

დიაკონად ჴელდასხმულ ვიქმენ 1788-სა წელსა, მარტის 12-სა დღესა ტფილელ მიტროპოლიტის გერმანესაგან, ქალაქსა ტფილისს.

ღრამმატიკას მოჰყვევ 1791-სა წელსა, აპრილის თთჳ̂ჱსა არხიმანდრიტს ვარლამთან.

მღუდლად ჴელდასმულ ვიქმენ 1792-სა წელსა, იანვრის 6-ს-ა დღესა. კათალიკოსის ანტონისაგან ტფილისს.

შიო დაიბადა 1792-სა წელსა, ფებერვლის 12-სა დღესა, ქალაქსა ტფილისს.

თეკლა დაიბადა 1793-სა წელსა, სეკდემბრის 23-სა დღესა ქალაქსა ტფილისს.

თეკლა მიიცუალა 1795 წელსა სეკდემბრის 6-სა დღესა შინა ტფილისს || 2b

ალამამადხანმა ტფილისის ქალაქი წაახდინა და დასწუა 1795-სა წელსა, სეკდემბრის 11-სა დღესა, ჩვენ გავიქეცით მთიულეთში.

მთიულეთიდამ დუშეთს მოვედით ამავ წლის ოქტომბრის 1-სა დღესა, დუშეთიდამ ამავ თვეში წავედით გორს.

ფებრონია დაიბადა გორს 1796-სა წელსა ფებერვლის 21-სა დღესა.

მეფე ირაკლი მიიცვალა თელავს და მეფობა მიიღო ძემან მისმან გიორგი; 1798-სა წელსა იანვრის 11-სა დღესა.

გორში ჰირი გაჩნდა ამავ წლის იულისის 10-სა, ავიყარენით და მივედით კულბითს.

სოფიო დაიბადა კულბითს 1798-სა წელსა სეკტემბრის 17-სა დღესა. აქედამ წავედით ბელოთს დეკემბრის 22-სა დღესა.

ბელოთიდამ ცხინვალს წავედით ხიზნით 1799-სა წელსა დეკემბრის 29 დღესა.

გაბრიელ დაიბადა ქრცხინვალს 1800-სა წელსა იანვრის 27-სა დღესა. ქრცხინვალიდამ ბელოთს წავედით ისევ ამავ წლის მარტის თთჳჱსა.

დედაჩემი თამარ მიიცჳალა ბელოთს 1800-სა წელსა, მაისის 4-სა დღესა ბელოთიდამ წამოვიღე, დავმარხე 3ა
არბოს. ||

გიორგი მეფე მიიცჳალა 1800-სა წელსა დეკემბრის 28-სა დღესა.

იმერეთს გავიქეცით ბელოთიდ და ჩემი ხიზანი ქრცხინვალს დარჩა 1801 წელს ფებერვლის 6-სა დღესა.

იმერეთიდამ მოველ ტფილისს 1802-სა წელსა ფებერვლის 22-სა დღესა და ვახლდი დედოფალს დარიას ავლაბარში; ამავ გაზაფხულზედ იხადეს ყვავილი შიომ, გაბრიელმა და სოფიომ და ფებრონიამ.

1802 წელს აპრილის 12 დაიფიცა საზოგადოობამ[1] რუ-

---

[1] ასეა დედანში

სეთის ჴელმწიფის ყმობაზედ. ღუბერნია გაიხსნა ამავე წლის ივნისის 8-სა დღესა.

შიოს და ფებრონიას სახადი ჰსჭირდათ ამავ წლის დეკემბრის თთვეში.

ჭირი გაჩნდა ქალაქში; 1803-სა წელსა, იულისის ცხრასა, ხიზნით წაველ მუხრანს. დედოფალიც იქ მობრძანდა ამავ თთვეში.

დიმიტრი დაიბადა მუხრანს 1803-სა წელსა სეკდემბრის 7-სა დღესა.

დედოფალი წაბრძანდა მუხრანიდამ რუსეთს 1803-სა წელსა, ოკდომბრის 25-სა დღესა, მე დავრჩი ისევ მუხრანს. ‖ 3b

სკოლაში განწესებულ ვიქმენ ქართულის ენის პირველ მოძღურად; ჯამაგირი მომეცა ორმოცი თუმანი თეთრი ფული 1804-სა წელსა მაისის 1-სა დღესა.

სკოლა გაიხსნა 1804-სა წელსა მაისის 21-სა დღესა.

ხიზანი მოვიყვანე მუხრანიდამ ტფილისს ამ წლის იუნისის 12-სა დღესა.

დიმიტრი მიიცვალა 1805-სა წელსა, აპრილის 23-სა დღესა, ტფილისს. [1]

მიხეილ დაიბადა 1806-სა წელსა, მარტის 3-სა დღესა, ტფილის.

პროტოპაპად[2] კურთხეულ ვიქმენ, ამავე მარტის 25-სა დღესა, კათალიკოსის ანტონისაგან.

ჯუარი მებოძა ხელმწიფისაგან და მომემატა ათი თუმანი ჯამაგირი 1806 სა წელსა დეკემბრის 2-სა დღესა.

წლის ჯამაგირი მებოძა ჴელმწიფისაგან 1808-სა წელსა. ამავ წლის დეკემბრითაგან, შიო განწესებულ იქმნა უეზდის სუდის პერეოჩიკათ სამსახურში დაწერით.

თამარი დაიბადა 1808-სა წელსა, დეკემბრის 24-სა დღესა.“

‖ ფებრონიას მადლი გარდავიხადე უთნელისშვილს ბეჟანზედ, ფებერვლის 22-სა დღესა, 1810-სა წელსა, ტფილისს. 4a

---

[1] „ტფილისის“ მოსდევს დაუმთავრებელი წინადადება..
„ჯუარი მებოძა ჴელმწიფისაგან და მომემატა ათი თუმ.“,—ეს სტრიქონი იმავე მელნით წაშლილია. ვინაიდან ახალ აბზაცში, ქვემოთ, შეაქვს ეგევე ცნობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით.

[2] „პროტოპაპად“ – სიტყვას მოსდევს „ჴელდასმულ“, იგი წაშლილია მხოლოდ ისე, რომ იკითხება.

შიო განწესებულ იქმნა სუდა (sic) ისპრავის ექსპედიციაში პერეოდჩიკად იულისისა 2-სა 1810 წელსა, ჯამაგირი მიეცა ოცდახუთი თუმანი თეთრი ფული.

ფებრონია დავაქორწილე 1811 წელსა, იანვრის 31-სა დღესა, წაიყუანეს ამავე წლის ფებერვლის 2-სა დღესა.

თეკლა დაიბადა მარტის 10, ხუთშაბათს, შუალამის დროს 1811 წელსა, ტფილისს.

1811-ს წელსა, ივნისის 16-ს, ჭირის მიზეზით აეყარენით ქალაქითგან, ვიყავით პირველად მარტყოფს, აგვისტოს პირველამდე; მერმე ნორიოს, აგვისტოს 31-მდე; შემდგომად თათრების სოფელს, მუღანლოში, ივრის პირზე დეკემბრის 12-ს მოვედით კარანტინში[1], ავლაბარში, და 14-ს შემოვედით ქალაქში.

პატარა თეკლა იყო ძიძასთან მიბარებული. ქალაქს მოსრულთ შევიტყევით სიკუდილი მისი, გარნა არ ვიცი რომელ რიცხვში მომკუდარ არს: ეგრეთვე შევიტყე ფებრონიასაგან ჭირის ხდა სეკდემბრის თვეში და დაქვრივება მისი, რადგან მოჰკდომია ქმარი ჭირით, ბექან უთნელისშვილი, ნოემბრის თვეში. ‖ 4b

ნინო დაიბადა მაისის 16-ს რიცხვს დილით მზის ამოსვლის დროს, ხუთშაბათს, 1812-ს წელს ტფილისს, მოვანათვლინე თავადს, გიორგი ეგნატიჩს თუმანოვს, იუნისის 4-ს რიცხვს ამასვე წელს ტფილისს.

შიო გარდაიცვალა ჭირით, დეკემბრის 11-ს გორს; მე გამიმელავნეს ამავ თთვის 21-ს, საღამოზედ, ტფილისს, 1812 წელს.

[ამის შემდეგ დაცულია მინაწერი სხვა ხელით]:

„მონა ღთისა მიხაილ, ნებითა ღთისათა, დამკვიდრდება „უდაბნოსა შინა დავით გარეჯისასა მარტის თორმეტსა დღესა 1845 წელსა“,

---

[1] ავტოგრაფში „კარახტინში“.

## II ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ 7a

| | სია შემოსავალთა, ანუ ნაშოვნთა 1797 წელს | |
|---|---|---|
| წელიწადი | წვრილათ ვიშოვნე | ვ/მს[1] |
| | ბატონისშვილმა მიბოძა | ა/პ |
| 1798 წელსა | წვრილათ ვიშოვნე | ზ/უ |
| | ბატონისშვილმა მიბოძა | გ/ |
| 1799 წელსა | წვრილათ ვიშოვნე | გ/ს |
| | ბატონისშვილმა მიბოძა | ა/ |
| 1800 წელსა | წვრილათ ვიშოვნე | ვ/პ |
| | ბატონიშვილმა მიბოძა | პ |
| 1801 წელსა | წვრილათ ვიშოვნე | ბ/ჩუ |
| | ბატონისშვილმა მიბოძა | დ/ |
| 1802 წელსა | წვრილათ ვიშოვნე | ბ/წ |
| | ბატონისშვილმა მიბოძა ერთი შალის სარტყელი | |
| | ბატონის სძალმა თავის ნაცვამი განდიდურის | |
| | კაბა. მეფე სოლომონმა მომცა | ბ/პ |
| | დედოფალმა | ხ |
| | სახლთხუცესმა | პ/ს |
| | დარეჯან დედოფალმა | დ/ |
| | კიდევ დედოფალმა ამანვე | გ/წ |
| | ჩემი ემართა გოდერძა შვილს გამოვართვი | ა/ც |
| 1803 წელსა | წვრილათ ვიშოვნე | დ/პ |
| | კათალიკოსმა მიბოძა | ა/ |
| | დედოფალმა | ვ/ 7b |

[1] ირიბი ხაზის წინ მდებარე ასოები გამოხატავს თუმნების რაოდენობას, ხოლო ირიბი ხაზის შემდეგ მდებარენი — მანეთებისა და კაპიკებისას (ქართული ანბანით რიცხვისა და ფულის ანგარიშის ცხრილი ნ. 113 გვერდზე).

| | | |
|---|---|---|
| ამავ წელს 1803 | დედოფალმა მიბოძა საწირავათ . . . . . . | პყ |
| | კიდევ წასვლის დროს . . . . . . . . . . | ა/ძ |
| | გზაზედ მომცა კაიშაურის კარს . . . . . . | დ/ |
| 1804 წელს | წვრილათ ვიშოვნე . . . . . . . . . . . | ა/მ |
| | კათალიკოსმა მიბოძა . . . . . . . . . . | ბ/ |
| | კიდევ საწირავათ მიბოძა . . . . . . . . . | ჯ |
| | კიდევ ვიშოვნე . . . . . . . . . . . . . | პყ |
| | ამავე წელიწადს სახლების ქირა ავიღე . . . | პუ |
| | ამავე წელიწადს ერთის ტრეტის ჯამაგირი . | იგ/ა |
| იანვრის | **1805 წელს იწყება თთვე და თთვე წერა** | |
| 1 | თურქისტანოვმა მომიტანა ერთი ოქრო . . | Ⴑქ |
| 14 | საწირავი ვიშოვნე . . . . . . . . . . . | უ |
| 20 | პოლოსას გამოვართვი სარგებელში . . . . . | ჯ |
| 30 | სახლების ქირა ავიღე . . . . . . . . . | ჩტ |
| ფებერვლის 14 | გავლილის ტრეტის ჯამაგირი ავიღე . . . . | იგ/Ⴑ |
| 17 | ტყავი გავასყიდვინე . . . . . . . . . . . | ჩს |
| 25 | ვიშოვნე . . . . . . . . . . . . . . . | ჩს |
| 28 | სახლების ქირა ავიღე . . . . . . . . . | ჩს |
| აპრილის 1 | კომენდატის საწირავი მივიღე . . . . . . . | ჩ |
| 24 | თავადის ვახტანგ ორბელიანოვისაგან მომივიდა 5 ადლი მაუდი საანაფორეთ | |
| მაისის 6 | გავლილის ტრეტის ჯამაგირი ავიღე . . . . | იგ/Ⴑ |
| 10 | ღრაფის სამტვერიო მივიღე . . . . . | ႱႴ |
| 14 | ყაფლანიანთაგან მომივიდა 3 კოდი ფქვილი, გაიყიდა ფასი ‖ . . . . . . . . . . . . | წ ზგ |
| 23 | შალიკოვისაგან მომივიდა 3 კოდი ფქვილი . | მ |
| იუნისის 7 | ჩოლოყაშვილი ქაიხოსროს სამტვერიო მივიღე | ჩ |
| 10 | ამისივე საწირავი . . . . . . . . . . . . | ყ |
| 21 | პოლოსას გამოვართვი სარგებელში . . . . . | მრ |
| იულისის 5 | თავადმა თამაზ ორბელიანმა მომცა 4 ადლი აგლინსკის მაუდი . . . . . . . . . | |
| 10 | ამანვე ორბელიანმა სახლების საძირკვლის საკურთხად 1 ფარდაგი . . . . . . . . | |
| აგვისტოს 3 | სახლის ქირა ავიღე . . . . . . . . . . | ჩ |

| | | | |
|---|---|---|---|
| სეკდემბრის | | | |
| 3 | სახლის ქირა ავილე კიდევ . . . . . . . . . | შ | |
| 9 | ყმაწვილის სანათლობო ვიშოვნე . . . . . . | ჩ | |
| 12 | გაელილის ტრეტი ჯამაგირი ავილე . . . . | იგ/ც | |
| 19 | კიდევ ყმაწვილის სანათლობო . . . . . . . . | ც | |
| 21 | ვიშოვნე . . . . . . . . . . . . . . . . | ფ | |
| 25 | პოლოსას სარგებელში გამოვართვი . . . . . | ჩ | |
| ოქტომბრის 30 | სახლის ქირა ავილე . . . . . . . . . . . . | ქ | |
| ნოემბრის | კათალიკოსმა მიბოძა ათი კოდი ხორბალი. | | |
| 21 | ამწლისა ჯამაგირი დადგა . . . . . . . | | |
| | მგ/მ | | |
| იანვრის | **1806 წ ე ლ ი** | | |
| 1 | თურქისტანოვმა მომიტანა ერთი ოქრო . . | ცფ | |
| 2 | სახლების ქირა ავილე . . . . . . . . . . . | ჩქ | |
| 19 | გაელილის ტრეტის ჯამაგირი ავილე . . . . | იგ/ც | |
| 30 | სახლთხუცის მალალაშვილის ამილბარის სამტვერიო მივილე . . . . . . . . . . . | ჩქ | |
| ფებერვლის | ვიშოვნე . . . . . . . . . . . . . . . . . | ცტნ | |
| 17–23 | პოლოსას სარგებელში გამოვართვი . . ll . . | ცყ | ჩს |
| მარტის | სამს იშვა მიხაილ, შაბათს, შუადღიდამ 6 საათს | | |
| 8 | სახლების ქირა ავილე, ერთისა, ორის თვისა | ჩტნ | |
| 9 | თაეადის ერისთვის შვილის ელიზბარის საწირავი მივილე . . . . . . . . . . . . | ყ | |
| 10 | პოლოსამ მომიტანა სარგებელი . . . . . . . | ჩლ | |
| | ამავე დღეს პატარა მიხაილ მონათლა მისმა მაღალ ღირსებამ, პროტოპაპმა, დირექტორმა ალექსიმ. დაანათლა შვიდი ადლი განდიდური ერთი სალეჩაქე . . . . . . . . . . . | | |
| 12 | სახლის ქირა ავილე . . . . . . . . . . . | ჩშ | |
| 17 | დავით მდივნის სამტვერიო მივილე . . . . . | ჩ | |
| 19 | ალექსანდრე მაყაშვილის ქალის სამტვერიო . | ქ | |
| 27 | სახლის ქირა ავილე . . . . . . . . . . . | ჩ | |
| 31 | კნეინას ულოცევდი მარხვაში, გამოეგზავნა . . | ჴ | |
| მაისის 3 | პოლოსას გამოვართვი სარგებელში . . . . | ჩ | |

| | | |
|---|---|---|
| 4 | სახლის ქირა ავიღე . . . . . . . . . . . | შნ |
| 8 | კიდევ ავიღე სახლის ქირა . . . . . . . . | ფ |
| 18 | ჯამაგირი ავიღე ტრეტისა . . . . . . . . | იგ/ც |
| იუნ. 12 | პოლოსას გამოვართვი სარგებელში . . . . . | ცს |
| ივლისის 4 | მაისის ტრეტის ჯამაგირიდან გამოვართვი ეკსპედიციაში . . . . . . . . . . . . . | ე/ც |
| | სახლების ქირა ავიღე . . . . . . . . . . | ჩუ |
